# საერთო გაზეთი

№42 (171) ● 26.10-02.11, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ზაზა შათირიშვილი:

სინამდვილეში, ღვთის ნებაა ის, რასაც ადამიანები ლოგიკით ვერ ხსნიან და ამის გამო შემთხვევითობას ეძახიან. სწორედ ასეთი „შემთხვევითობაა“ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა ქართულ პოლიტიკაში



## თემურ ქორიძე:

ivaniSvilma gabeda da monstrs daupirispirda... es ukve gmirobaa...



## ნესტან კირთაძე:

axla qarTveli xalxis gadasawyvetia, kvlav jojoxeTSi darCeba Tu am jojoxeTidan Tavis dasaRwevad ibrZolebs?..

## თინა ხიდაშელი:

nervebis TamaSi daiwyo, romelsac saakaSvili jerjerobiT pirwmindad agebs _ cnobilia, rom mas nervebi ar uvarga...



ganisvene, libia, ganisvene... Sen ukve rotSildebis kuTvnileba xar...



## რედაქტორის სვეტი



ქართველი ხალხის მთელი ყურადღება კოჯრის ასახვევთან აღმართული ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციისკენ არის მიპყრობილი.

ბიზნესმენის გადაწყვეტილება, მოსულიყო პოლიტიკაში, საბაბი გახდა იმისა, რომ ხელისუფლებას მიზანში ამოეღო იგი და შეტევაზე გადმოსულიყო.

ჯერ პირველი ნაბიჯების იქით საქმე არ წასულა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ივანიშვილზე შტურმის ბრძანება გაეცათ.

ფაქტობრივად, ივანიშვილი და მისი რეზიდენცია დღეს ალყაშია მოქცეული.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა რამდენჯერმე კატეგორიულად განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია ყოველგვარი ქუჩის აქციების და რევოლუციებისა და მხოლოდ არჩევნების გზით, ცივილიზებული ფორმით აპირებს პოლიტიკურ ბრძოლას, ხელისუფლებამ მას მაინც ძალისმიერი მეთოდები დაუპირისპირა, რითაც საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და საკუთარი თავი გათქვა — მას არ შეუძლია იყოს დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, ის თავისი ბუნებით ავტოკრატიისკენ არის მიდრეკილი და ყველა უკიდურეს ზომას გამოიყენებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

როცა მოქალაქეობა შეუწყვიტეს, ბიძინა ივანიშვილს შეეძლო ერთი სიტყვით, ერთი მოწოდებით ქუჩაში გამოეყვანა უამრავი ადამიანი — ასიათასი, ორასიათასი, თუნდაც მილიონი, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რითაც ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ის არ გადაუხვევს ერთხელ არჩეულ პრინციპებს, არ ისარგებლებს მოსახლეობაში დაგროვილი პროტესტით და თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად არ გამოიყენებს ამ პროტესტს.

ის ჯერჯერობით ფაქტობრივად მარტო ცდილობს გაუმკლავდეს ხელისუფლების ზეწოლას, ყოველგვარი პანიკის გარეშე, მშვიდად, აუღელვებლად აგრძელებს დაწყებულ საქმეს, თითქოს არაფერი საგანგაშო არ ხდება მის გარშემო და თითქოს არც მას და არც მის ახლობლებს არავითარი სერიოზული საფრთხე არ ემუქრებათ.

სხვა მის ადგილას დაუფიქრებლად გამოიყენებდა მოსახლეობის საპროტესტო განწყობას პოლიტიკური მიზნების სწრაფად და ოპერატიულად გადასაწყვეტად, მაგრამ ივანიშვილმა ეს არ იკადრა.

ბიძინა ივანიშვილმა საქმით აჩვენა, რომ ის ქართველ ხალხს დატყმის ქვეშ არ დააყენებს და მის ზურგს უკან ამოფარებული არ დაიწყებს ოპონენტების წინააღმდეგ ომს.

ის უფრთხილდება ქართველ ხალხს, ხოლო უფრთხილდები მას, ვინც გიყვარს და ვინც გეძვირფასება...

ბიძინა ივანიშვილი ცდილობს ურთიერთობის ახალი კატეგორიები შემოიტანოს და დანერგოს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში — ესაა მორალურ-ზნეობრივი ნორმებისადმი პატივისცემა, წესიერება, გულწრფელობა, უანგარობა, ღირსების გრძნობა.

ის ცდილობს დაანგრიოს დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და ქართულ სინამდვილეში გადმოიტანოს ვაცლავ ჰაველის ფორმულა: პოლიტიკა არის კრისტალურად სუფთა და ზნეობრივად მაღალი ადამიანების ასპარეზი.

გაიგებს და მიიღებს სააკაშვილი და მისი გუნდი ივანიშვილის მიერ შემოთავაზებული თამაშის წესებს?

მიხვდება კი სააკაშვილი და მისი გუნდი, რომ მათთვისაც და ქვეყნისთვისაც პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა ბიძინა ივანიშვილის მიერ შემოთავაზებული გზაა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ქართველ საზოგადოებას!

ჩვენ უნდა ვძლიოთ შიშს!..

ჩვენ უნდა დავარღვიოთ დუმილი!..

დუმილით უნდა გამოვხატოთ პროტესტი და დუმილით უნდა დავაქუხოთ ზარები!..

ჩვენი აზრები და მისწრაფებანი ისე ემთხვევა ერთმანეთს, როგორც არასდროს!..

მოვუწოდებ მთლიანად ქართველ საზოგადოებას და, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც დღემდე დუმდა და უკმაყოფილებას გულში იმარხავდა, შევუერთდეთ სოსო ჯაჭვლიანის მოწოდებას: შევიკრიბოთ 30 ოქტომბერს დღის 3 საათზე სამების საკათედრო ტაძრის ეზოში, ავანთოთ სანთლები და უფალს საქართველოს კეთილდღეობა შევთხოვოთ — დუმილით დავარღვიოთ დუმილი!..

აქვე ვეხმიანები ყველა იმ ღირსეული ქართველის განცხადებას, რომ ისინი უარს იტყვიან საქართველოს მოქალაქეობაზე, თუკი ხელისუფლება სასწრაფოდ არ აღუდგენს საქართველოს მოქალაქის სტატუსს ბიძინა ივანიშვილს და მათთან ერთად მეც ვიტოვებ უფლებას უარი ვთქვა სააკაშვილის ტირანულ საქართველოში მოქალაქეობაზე...

ძალადობაზე დამყარებულ ასეთ სახელმწიფოში მოქალაქეობა კი არა, სიცოცხლეც არ მსურს!

**მერაბ შათირიშვილი,**
მწერალი, პუბლიცისტი

# მიმართვა საქართველოს ყველა მოქალაქეს

საქართველოში კონსტიტუციის დამდგენი სუბიექტი საქართველოს მოქალაქენი არიან.

საყოველთაოდ აღიარებული განმარტების თანახმად: ‘‘კონსტიტუცია არის იმ სამართლებრივი პრინციპების და ნორმების ერთობლიობა, რომლითაც იმართება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების თანამდებობის პირთა საქმიანობა’’. უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ, ნებისმიერი კონსტიტუცია ადგენს პარლამენტის წევრების, პრეზიდენტის თუ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების თანამდებობის პირთა მოვალეობებს ანუ მათი თანამდებობრივი საქმიანობის ფარგლებს, საზღვრებს.

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის ტექსტის სრული დაცვით საქართველოს მოქალაქეებს ვეკითხები:

**სააკაშვილმა დაიცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ერთიანობა და განუყოფლობა თუ არა?**
**სააკაშვილმა იზრუნა ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის თუ არა?**
**სააკაშვილმა იზრუნა ხალხის და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისთვის თუ არა?**
**სააკაშვილმა დაიცვა საქართველოს კონსტიტუცია?**

თუ პასუხი უარყოფითი იქნება, რა კონსტიტუციური ნორმა არსებობს, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს უფლებას მისცემს ხელისუფლების გვერდის ავლით სააკაშვილი გადააყენოს?

კითხვაზე პასუხს გასცემს საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5, რომლის ძალით:

1. ’’საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის და **უშუალო** დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით . . .’’ (მონიშვნა — ბ. ს.).

ისმის კითხვა: აქვს თუ არა საქართველოს ხალხს უფლება **უშუალოდ** ანუ ხელისუფლების გვერდის ავლით ჩაატაროს რეფერენდუმი? საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 5-დან გამომდინარე პასუხი ერთმნიშვნელოვანია: **აქვს!**

შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 6, რომლის ძალით: ‘‘საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოსათვის უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.’’

რა სახსრებით შეუძლია ხალხს **უშუალოდ** ანუ ხელისუფლების გვერდის ავლით ჩაატაროს რეფერენდუმი?

სახსრების მოძიება კანონის სრული დაცვით შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას საქართველოს მაშტაბით: არასამთავრობო ორგანიზაციებს და საზოგადოებრივ მოღვაწეთა ჯგუფებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

და ბოლო კითხვა: როგორ უნდა იქნას ფორმულირებული სარეფერენდუმო შეკითხვა?

**1. შეასრულა თუ არა სააკაშვილმა საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლით გათვალისწინებული საკონსტიტუციო მოვალეობანი?**

**2. თუ არ შეასრულა, ვის ისურვებდით საქართველოს პრეზიდენტად?**

**იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის მიწვეული პროფესორი — ბიძინა სავანელი**

## საქართველოს ჟან-კლოდ მინიონი ეწვია



საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ჟან-კლოდ მინიონი ეწვია.

დაგეგმილია მისი შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან, უშიშროების საბჭოს მდივან გიორგი ბოკერიასთან, სახელმწიფო მინისტრთან რეინტეგრაციის საკითხებში ეკა ტყეშელაშვილთან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძესთან, ასევე ევროკავშირის სპეციალურ წარმოამდგენელთან სამხრეთ კავკასიაში ფილიპ ლეფორთან.

იგი ასევე დაათვალიერებს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს.

ჟან-კლოდ მინიონი საქართველოს 28 ოქტომბერს დატოვებს.

## დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხალი დაიწყო

გვიან ღამით, დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხალი დაიწყო. ამერიკის ატმოსფერული კვლევების ეროვნული ცენტრის ცნობით, გეომაგნიტური ქარიშხალის ინდექსი 6 ერთეულს შეადგენს.

სპეციალისტების განცხადებით, ქარიშხალი დიდხანს არ გაგრძელდება და ის 24 საათის განმავლობაში დასრულდება.

მაგნიტური ქარიშხალი მზეზე პლაზმის ამომფქვევამ განაპირობა, რომელიც 22 ოქტომბერს დაფიქსირდა.



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# nestanis gaqceva `qajeTis cixidan~

„ლეიბორისტების“ ნესტან-დარეჯანმა, ქალბატონმა ნესტან კირთაძემ, როგორც იქნა, ქაჯეთის ციხეს თავი დააღწია და ივანიშვილის ციხე-სიმაგრისკენ აიღო გეზი.

ეს გადაწყვეტილება კირთაძემ მას შემდეგ მიიღო, რაც მთავარმა ლეიბორისტმა, რესპუბლიკის ვეტერანმა ოპოზიციონერმა შალვა ნათელაშვილმა ივანიშვილს ამერიკული პროექტი უწოდა, რამაც მორალურ-ზნეობრივად მდგრადი კირთაძე ისე აღაშფოთა, რომ პარტიის სასწრაფოდ დატოვება გადაწყვიტა, თუმცა, როცა ნათელაშვილი ივანიშვილს რუსეთის პროექტს უწოდებდა და ოკუპანტების ემისრად აცხადებდა, კირთაძეს ამაზე ხმა-კრინტი არ დაუძრავს და არც პარტიიდან წასვლა უფიქრია.

**საინტერესოა, რუსეთის პროექტი ხარო, რომ ეუბნებიან საქართველოზე და ქართველ ხალხზე გადაყოლილ კაცს, ეს არ არის აღმაშფოთებელი და მხოლოდ ამერიკის ხსენებაზე უნდა გადაირიო?**



გვახსოვს, ცოტა ხნის წინათ ქალბატონი ნესტანი პირდაპირ დირექტივას და მითითებას აძლევდა ქართველ ხალხს, არჩევნები არ ვიცი მე, საქართველოს პრეზიდენტად, გინდათ თუ არა, ნათელაშვილი უნდა იყოსო.

ეს „ბრძანება“ ქალბატონი კირთაძის ბაგეთაგან მაშინ გაჟღერდა, როცა ექსტაზში შესული ლეიბორისტების ლიდერი ივანიშვილს ლანძღავდა და თათხავდა, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი პოლიტიკოსი კირთაძისთვის ზემოაღნიშნული „ბრძანება“ გამოეცა და ქართველი ხალხი ნამუსზე „შეეგდო“ – ნათელაშვილის გარდა სხვა ვინმეს გაპრეზიდენტება არ გაბედოთო.

– მე ახლა ყველაზე მეტად წარმატება მჭირდება და წარმატება მისურვეთ, – მოითხოვა ქაჯთა ციხიდან ოტებულმა ნესტანმა.

ამ პატარა თხოვნას როგორ დაგამადლით, ძვირფასო და მშვენიერო ქალბატონო ნესტან, წარმატებას გისურვებთ, გენაცვალე!

# gamococxleba salxineTSi



ივანიშვილს ჯერ არც პოლიტიკური პარტია შეუქმნია და არც ხელისუფლებაში მოსულა, მაგრამ უკვე აკეთებს კარგ საქმეებს.

პოლიტიკურ ასპარეზზე სწორედ მის გამოჩენას უნდა უმადლოდნენ პოლიტიკური პარტიები იმას, რომ, შეიძლება, მალე სპეციალური ფონდი შეიქმნას, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობას დააფინანსებს.

– ოღონდ ივანიშვილთან არ წახვიდეთ და ჩვენ დაგაფინანსებთ – ასეთია ხელისუფლების მესიჯი, ანუ როგორც სალომე ზურაბიშვილი იტყოდა, „მესეჯი“.

ამ გახსენებაზე, სულ დავავიწყდით ქალბატონ სალომეს, არადა მოგვენატრა მისი ქართულ-ფრანგული საუბარი და სიმღერ-სიმღერით ჩაღიღინებული საესტრადო ნომრები.

მეორე სიკეთეც გაგვიკეთა ივანიშვილმა მეტროს 5-ლარიანი სამგზავრო ბილეთების სახით, რომელიც გიგი უგულავამ აშკარად მის პოლიტიკურ მოსვლას მიუძღვნა.

და მესამე: უკვე დაიწყო სამთავრობო ცვლილებები – კვეზერელი გაუშვეს, გოროზია „შემოუშვეს“. ამბობენ, გილაურსაც უშვებენ, კალმახელიძესაც, ხაჩიძესაც და კიდევ სხვებსაცო.

ესეც, რა თქა უნდა, ივანიშვილის დამსახურებაა!

თუმცა ჯერ სადა ხართ, ივანიშვილი კიდევ ბევრ სიკეთეს მოუტანს საქართველოს, ამ ხელისუფლების „უმწიკვლო“ წარმომადგენლებიდან ბევრს აიძულებს ცოტა აზრზე მოვიდნენ და ჭაჭანაჭამი ინდაურებივით აცა-ბაცა რომ დაბორიალობენ, გამოფხიზლდნენ და საქმეს მოჰკიდონ ხელი.

ასე რომ, აქამდე ჩათვლემილ-ჩაბნედილ „სალხინეთში“ აშკარა გამოცოცხლება დაიწყო.



# takimasxroba




მშვენიერმა ჩიორამ და არანაკლებ მშვენიერმა თეამ, თუთბერიძემ, ბრძანეს: ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა კანონიერების ფარგლებში ჯდებაო, ხოლო აკომ, მინაშვილმა, დაამატა, მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ივანიშვილს მოქალაქეობას ცოცხალი თავით არ აღვუდგენდიო.

**მოკლედ რომ ვთქვათ, ჩიორა, თეა და აკო წყვეტენ სამების ტაძრის ქტიტორის და უამრავი ეროვნული მნიშვნელობის საქმის გამკეთებლის ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხს – უნდათ, მისცემენ, უნდათ ჩამოართმევენ.**



ამ შესანიშნავ სამეულს კიდევ ერთი აქტიური მხარდამჭერი გამოუჩნდა – პროფესიით ექიმი და შეთავსებით არტისტი ოთარ ტატიშვილის სახით, რომელიც „იმედის“ ეკრანიდან თავისი ჭკუით ბიძინა ივანიშვილს „აშაყირებს“ და აბიაბრუებს.



მართალია, ექიმ ტატიშვილს ჰგონია, რომ დიდი არტისტია, მაგრამ სინამდვილეში არტისტი კი არა, ჩვეულებრივი ტაკიმასხარაა, რომელიც ხელისუფლების გულის მოსაგებად და საამებლად, ღირსეული ადამიანისთვის უკადრებელ საქციელს კადრულობს და სინამდვილეში ივანიშვილს კი არა, საკუთარ თავს ამასხარავებს და აბუჩად იგდებს.

**საერთოდ, მთელი ეს ტაკიმასხრობა, რასაც ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა ჰქვია, მხოლოდ ერთი კაცის, ივანიშვილის კი არა, მთელი საქართველოს შეურაცხყოფა და აბუჩად აგდებაა.**



როდის მიხვდება ამას საქართველო და როდის გასცემს მის შეურაცხმყოფელებს საკადრის პასუხს?

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.




**ირაკლი ალასანია:** მოგვდის ინფორმაცია, რომ ხელისუფლების მეორე და მესამე ეშელონში უკვე დიდი ამბებია, მიმდინარეობს მზადება იმისთვის, როგორ გადმობარგდნენ სახელისუფლებო ბანაკიდან ოპოზიციაში. ეს ბუნებრივი პროცესია, ყველა ქვეყანაში ასე ხდება, როცა ხელისუფლების რეალური ალტერნატივა ჩნდება.რაც შეეხება უშუალოდ ხელისუფლების ძირითად გუნდს, იმ ხუთ-ექვს კაცში, რომლებიც რეალურად მართავენ ქვეყანას, ჯერჯერობით ბზარს ვერ ვხედავ. გადაწყვეტილებას მხოლოდ რამდენიმე კაცი იღებს. მათ შორის ივანიშვილის ფაქტორი ბზარს ვერ



შეიტანს, რადგან ამ ადამიანებს აერთიანებთ საერთო დანაშაულის განცდა და იციან, რომ ერთის ჩაძირვა ყველას ჩაძირვას ნიშნავს.

ჩემთვის, ისევე როგორც ივანიშვილისთვის, ყველა ჩვენი პარტნიორისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ხელისუფლებაში არ მოვიდეთ რევანშით და შურისძიებით. მე ღრმად ვარ დარწმუნებული და ვიცი პირადად, რომ ხელისუფლებაში, საჯარო სამსახურში დიდი უმრავლესობა არის პატრიოტი თავისი ქვეყნის. მათ არ უნდათ იყვნენ ისეთი პოლიტიკური დიქტატის ქვეშ, როგორც დღეს არიან.

**თამარ ჩხეიძე:** გულდასმით წავიკითხე ივანიშვილის ინტერვიუ, მან ჩემზე გულწრფელი კაცის შთაბეჭდილება დატოვა, ოღონდ ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია მისი გამონათქვამი აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში, რომ საქართველო



მიმზიდველი უნდა გახდეს მათთვის. ეს ნიშნავს, რომ ეს სხვა ტერიტორიაა, და არ არიან უპირობო ნაწილი საქართველოსი. თუმცა რაკი ეს ადამინი განიხილავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ვიღაც-ვიღაცებივით არ უშვებს ამ ტერიტორიების გასხვისებას, ეს უკვე მისასალმებელია. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც სიფრთხილეს მოითხოვს, არის პარტნიორების არჩევა ივანიშვილის მხრიდან, კერძოდ, რესპუბლიკელებზე მაქვს საუბარი. თუმცა მე არ გამოვრიცხავ იმ აზრს, რომელიც ითქვა, რომ ივანიშვილმა ისინი აირჩია არა სულიერი და პოლიტიკური სიახლოვის გამო, არამედ იმ ალიბის შესაქმნელად, რომ პრორუსული არ არის, რადგან რესპუბლიკელები სარგებლობენ პროდასავლური ძალის სახელით.

ქუჩაში გამოსვლით შეიძლება კონკრეტული მოთხოვნების წამოყენება, მაგრამ ამ გზით ხელისუფლების შეცვლა არ უნდა მოხდეს. კონსტიტუციური ფარგლებით მუშაობის გზა გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე ქუჩის აქციების გზა.

**ლაშა ამირეჯიბი:** ეროვნული ძალა ვერაფერით ვერ შეიქმნება, რადგან ჩვენ ორი ჩექმა გვადევს კისერზე - რუსული და



ამერიკული. არც ერთს და არც მეორეს არ აწყობს ეროვნული ძალის შექმნა. თვითონ ბიძინა შეიძლება ეროვნულია, მაგრამ მის ირგვლივ ეროვნული არვინ არ არის. ეროვნული მოძრაობა დამთავრდა ზვიადის პერიოდში. ამიტომ არავინ მოგატყუოთ, რომ ეროვნული ძალა მოდის. ეროვნულობა არ არის ჩოხას რომ ჩაიცმევ და ორას ხინკალს შეჭამ. ეს არ არის ქვეყნის სიყვარული. ქართული, ნარჩევი საზოგადოება უნდა დაუდგეს ივანიშვილს გვერდით და მაშინ შესაძლებელი იქნება, გარკვეული ეროვნული ჯგუფის შექმნა.

დიპკორპუსი რომ შეხვდა ივანიშვილს, იქ რუსი ელჩი არ იჯდა ხომ?! თუმცა მე ვამბობ, რომ იჯდა, რადგან სადაც ამერიკას ვახსენებთ, იქ რუსებიც უნდა წარმოვიდგიონოთ, რადგან ესენი ერთმანეთის გარეშე არაფერს არ აკეთებენ. კი ამბობენ, რომ ივანიშვილი რუსული პროექტია, მაგრამ დავიმახსოვროთ, რომ რუსულ პროექტთან დიპკორპუსი ასეთი სირბილით არ მიდის. შესაძლოა, აქ მხარდამჭერი დახმარება მოდის ევროპიდან და ამერიკიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ არც ერთი ელჩი არ მივიდოდა, მით უფრო ბასი, რომელმაც 25-ში ქართველი ხალხის დახოცვის ბრძანება გასცა.

ამრიკელებმა კარგა ხნის წინ უთხრეს მიშას, რომ უნდა წასულიყო. 7 წლი გავიდა უკვე ფოჩიანი კანფეტი გადაუგდე, რაღაც გამოასწორე, რომ დაბალანსდესო, მაგრამ ესენი ვერ აკეთებენ ამას, რადგან იმდენი სიბინძურე აქვთ ერთად ნაკეთები, ეს ვერ უშველის და ამიტომაც აგრძელებს მათრახით ურთიერთობას ქართველებთან. ამათ იცით, რას ვეუბნებით, ჩვენ უნდა გამოვიდეთ თქვენი აშენებული ციხეებიდან და თქვენ ჩაგსვათ. და როგორ გგონიათ, ესენი საკუთრი ხელით აშენებულ ციხეებში წავლენ?

**დიმა ჯაიანი:** მე, პირადად, არანაირი ვალდებულება არ მაქვს ივანიშვილის მიმართ, ერთი თეთრი არასოდეს მიმიღია, მაგრამ ეს აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს, ჩემს გვერდით მყოფ ადამიანებს ხომ ეხმარებოდა. ჩვენ კიდევ ბევრი კეთილი საქმის შესახებ არ ვიცით, რაც ივანიშვილს აქვს გაკეთებული. სამებაზე არაფერს ვამბობ. ბოლომდე მის გვერდით დავდგები იმ არმიაში, ვისაც ის ლუკმა-პურს აძლევდა.

თუ ვინმე ვერ გრძნობს მის გაკეთებულ სიკეთეს, გამოვიდნენ და თქვან, იცით, ბატონო ბიძინა, აქამდე რასაც მაძლევდი, დიდი მადლობა, მაგრამ მე დღეს ამ ხელისუფლებასთან ვარ ჩახუტებული და აღარ მინდა თქვენი ფულიო. ეს კაცი ხომ ამ მადლს გულწრფელად აკეთებდა, თავისი გვარის გამხელაც არ უნდოდა. ახლა ვიღაც გარეწარი ამბობს, თურმე იმიტომ იხდიდა ამ ფულს, ჩაფიქრებული ჰქონდა პოლიტიკაში მოსვლა და ამით გვყიდულობდაო. ანუ თვითონაც მიეყიდა, ხომ?!



ნუ გავიმეორებთ იგივე შეცდომებს, რაც დავუშვით პატარკაციშვილის წინაშე!

**სოსო ჯაჭვლიანი:** ბანკის მანქანის დაკავება ეს იყო შეგნებული პროვოკაცია. იქ მისულან სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ადამიანები, ამ დროს ინკასატორებს სრული უფლება აქვთ, რომ ისროლონ. კიდევ კარგი, რომ არ მოხდა ეს უბედურება, თორემ რა გაგრძელება აქნებოდა, ყველამ ვიცით.

საქართველოს შველა ალბათ შეიძლება რამდენიმე წელიწადში. ბიძინა ივანიშვილმა ათასობით ადამიანი შეინახა მძიმე წლებში. მაგრამ ხალხი შეშინებულია და ხმას ვერ ირებს. ამასწინათ წავიკითხე ხელოვნების მოღვაწეთა გამოკითხვა და იცით, რას წერდნენ, ბიძინა ივანიშვილზე ვლოცულობთ და სანთლებს ვანთებთ, მაგრამ ეს რა გააკეთა პოლიტიკაში რომ ჩაერიაო. ახლა ლაპარაკობენ ვიღაცები, რომ თურმე ეს ადამიანი 15-20 წელი იმიტომ



ეწეოდა ქველმოქმედებას, რომ პოლიტიკაში მოსვლა ჰქონია ჩაფიქრებული. და რა არის ამაში ცუდი?!

ბატონი ბიძინა აფინანსებდა სპორტს, ხელოვნებას, მეცნიერებას, მას უდაოდ გააზრებული ჰქონდა, რომ საქართველოს ამით შეექმნა სახელი, პოლიტიკური ამინდი მსოფლიოში, ჩვენ ხომ იმდენად პატარა ქვეყანა ვართ, რომ სხვაგვარ პოლიტიკურ ამინდს ვერ შევქმნით. მაგრამ როცა მიხვდა, ქვეყანა საით მიდიოდა, იძულებული გახდა ჩარეულიყო პოლიტიკაში, რათა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დარგი არ განადგურებულიყო. ახლა თურმე ისეთ ადამიანებსაც ამზადებენ, რომლებიც გამოვლენ და იტყვიან, რომ მათ ბიძინა ივანიშვილის ფული არ სჭირდებათ. მაშინ დააბრუნონ ის აღებული ფული და მართლები იქნებიან.

**გოგი თოფაძე:** არ მინდა აქ ვილაპარაკო ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის იურიდიულ მხარეზე, ამაზე უჩემოდაც ბევრი ილაპარაკეს. მე მინდა აღვნიშნო, რომ არავითარი მორალური უფლება არ გაქვს ასეთი ჯიჯგნა დაუწყო ადამიანს, რომელსაც ამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის. ყველაზე საწყენი იცით, რა არის, გამოდის და ისეთი ხალხი აკრიტიკებს, ჯერ აგური აგურზე რომ არ დაუდიათ, მერე რა, რომ პარლამენტში მოხვედრა მოახერხა ვიღაც ახალგაზრდა კაცმა. რა არგუმენტები აქვთ, იმას დააკვირდით: რუსული ფული,რუსული სპეცსამსახურების ფული! ეს ფული ხომ საქართველოს მოხმარდა?! ამაშიც ხომ უნდა იყოს ლოგიკა? რუსეთი ჩვენი მტერი თავის მტერ საქართველოს ამდენ სიკეთეს უკეთებს და მილიარდობით ფულს აქ დებს?! თავს ვიჭრით ამით, ხომ უნდა გავიგოთ, ვინ გავლანძღოთ და ვინ -არა! რაღაც ზღვარი ვნახოთ, რაზე მოვედავოთ ამ კაცს. ბევრი მდიდარი ქართველი ვიცი, მაგრამ ივანიშვილისდენი არავის გაუკეთებია, ამიტომ მისი გალანძღვა, ქვეყნის გალანძღვად მიმაჩნია. ცოტა თავი შეიკავეთ და ქვეყანაზეც იფიქრეთ.

ქვეყანას არა აქვს თავისი ეკონომიკური სტრატეგია და დღეს რომ ლაპარაკობენ, რუსული ფული, რუსული ფულიო, ამერიკული ფული შემოვიდა საქართველოში 95 წლიდან, და რა მოგვიტანა?! რა მივიღეთ ამ დახმარების შემდეგ?! დანგრეული სოფლის მეურნეობა, დაცლილი სოფლები და მილიარდიანი ვალი. თურმე ამერიკის დახმარება შეიძლება, რომ მივიღოთ და ქართველი კაცის დახმარება, რომელმაც თავისი ნიჭით მიაღწია წარმატებას, არა! 3500 ქართველ მეცნიერს თუ ხელოვანს ეხმარება ბიძინა, ახლა „ქართუ ბანკს“ რომ გააჩერებენ და ეს ხალხი ვეღარ მიიღებს ამ დახმარებას და თავიანთი ოჯახებით ჩამოჯდებიან ქუჩაში, მერე ნახავენ ესენი. თუ პოლიტიკური ოპონენტია ის კაცი, სხვა თემებზე ილაპარაკეთ, რატომ ლანძღავთ.

ძალიან ბევრი უმსგავსობა ხდება საქართველოში, მაგრამ რატომღაც მორჩილად ვიტანთ. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვზივართ. ივანიშვილის მსგავსი ათი რომ გვყავდეს, ამდენი პრობლემა და სატკივარი არ იქნებოდა



საქართველოში. ჩვენი ხელისუფლების პროამერიკულმა ორიანტაციამ ფიასკო განიცადა. რაღაც ციფრებს ვნახულობთ, ვიღაცას ვეჯიბრებით, ვიღაცას ვასწრებთ, ამ დროს გადით ხალხში, რა ხდება! საქართველოს აქვს უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი, თუკი სწორად გამოვიყენებთ. სწორი მართვით, ქვეყნის სიყვარულით ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს საქართველოს. თუ არ გავყიდით ყველაფერს, თუ დავიტოვებთ რამეს, საქართველო მალე დადგება ფეხზე და დაიწყება ის რენესანსი, რაც ეკუთვნის ქართველ ხალხს.

რაც შეეხება ივანიშვილის მოქალაქეობის ჩამორთმევას და დეპორტაციას, ვერც დეპორტაციას გაუკეთებენ და ვერც მოერევიან, იმიტომ რომ ის კაცი მართალია. ხალხი ელოდებოდა რაღაცას, შველა დაინახა. შენ წარმოიდგინე იმ ქვეყნის იმიჯი, რომელიც ასეთ კაცს გააძევებს.

teleNEWS



# erTaderTi Sansi

ცოტა შორიდან დავიწყებ.

2005 წლის 7 აპრილის გაზეთ „ვედომოსტში" ბატონი ბიძინა ივანიშვილი კორესპონდენტის კითხვას პასუხობს: ხელისუფლებაში ახალგაზრდობა მოვიდა, მე მათი არც მომხრე ვარ, არც მოწინააღმდეგეო. ყველაფერი ნათელია და გასაგები. მომხრე არა ვარ, მაგრამ არც მტერი ვარ თქვენი, ხელს არ შეგიშლით, თუ კარგად მოიქცევით, პირიქით, დაგეხმარებით, თქვენს სამსახურში ვიქნებიო. თუმცა ის არ უთქვამს, რაც გინდათ ის აკეთეთ, სამშობლოზე უარს ვამბობ, მე ხელი დამიბანიაო. მშვიდად რომ ყოფილიყვნენ ხელისუფალნი, ეკეთებინათ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე, საკუთარი ტელევიზია („9 არხი") დახურა, ერთი შეხედვით, შორიდან მაყურებლის როლი არჩია და საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად.

ახლახან უფრო დააზუსტა ბატონმა ბიძინამ: ინაუგურაციის დღეს დავემშვიდობე პრეზიდენტსო.

შეიძლება იგივე ითქვას სამღდელოებაზე.

ეკლესიამ თავისი მილიონნახევრიანი მრევლი ლოცვას და ღმერთს მიანდო.

უწმინდესისა და უნეტარესის საშობაო, სააღდგომო ეპისტოლეები, ბრძნული, ნართაული გამონათქვამები უშედეგო აღმოჩნდა. ვისაც უნდა ელო ყურად, მათთვის ალილუია, ხან ძილისპირული და ხანაც მგლის თავზე სახარების კითხვა აღმოჩნდა... საბოლოოდ ის მივიღეთ, რაც მივიღეთ: ამა წლის 26 მაისის „ბართლომეს ღამეს" ქაშუეთის წინ ხალხი იხოცებოდა, ეკლესიის კარებს კი უროსხელა ბოქლომი ედო. ეზოში შეპარულ ადამიანებს კურდღლებივით იჭერდნენ და სასტიკად სჯიდნენ...

**თითქმის ანალოგიურად მოიქცა ქართული ინტელიგენცია, მისი გონიერი ნაწილი. თავიდანვე არსებობდა ეჭვი და უნდობლობა „ვარდოსნებზე", გრძნობდნენ, კარგს არაფერს მოუტანდა ქვეყანას მათი ეიფორია და უშნო ხუნტრუცი, მაგრამ შიში მეტი იყო, დიდი თვალებიც ჰქონდა... თუნდაც შიში იმისა, რაც 1991-92 წლებში და მერე დატრიალდა საქართველოში... ამ უბედურებაში მეტნაკლებ წილს საკუთარ მოქმედებაში თუ უმოქმედობაში ხედავდა იგი და დუმილის, გულგრილობის ნილაბი მოირგო, ანუ, როგორც საბჭოთა პერიოდში იყო, სამზარეულოში გადაინაცვლა.**

ესენი კი, მოგეცა ლხენა, ყირაზე გადავიდნენ...

რა დავკარგეთ, რამდენი დავკარგეთ... საით მივექანებით? საერთოდ, აქვს თუ არა ამ უაზრო ყოფას დასასრული, ამისი იმედიც არ არსებობს?!

იმ დღეში ვართ, ერიც და ბერიც ცალ-ცალკე ჩივის, დაიქცა ქვეყანაო.

ის ხალხი, ვინც გულმხურვალედ უჭერდა მხარს „ვარდოსნებს" მოსვლაში და დიდი წვლილიც აქვს, იმედგაცრუებულნი დარჩნენ. პირველი ბზარი მაშინ გაჩნდა, ალბათ, როცა მათი იდეოლოგი და მასწავლებელი, პრემიერი ზურაბ ჟვანია მოკლეს... აქ არ ჩავეძიები ამ ამბავს, რატომ გაიწირა ჟვანია, მხოლოდ ერთს ვიტყვი, იმ ტრიუმვირატიდან ერთი მკვდარია, მეორე — განდეგილი და მოკვეთილი, მესამე დღესაც ზეობს და ამ ქვეყნის აშენებას მესამედ არჩევის შემდეგ გვპირდება.

ნეტარ არიან (თუ არიან!) მორწმუნენი!

* * *

მართლმადიდებლები ვართ და თითქმის ყველამ ვიცით, მადლის ქმნას ზარების დარისხება არ სჭირდება. არადა, ნებისმიერი ბიზნესმენი თუ სახელგანთქმული ფირმა ქველმოქმედებაზე ათჯერ ნაკლებს ხარჯავს, ვიდრე მის რეკლამაზე, პიარზე... ნაციონალურ ტელევიზიებს, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთი სათავისო ხერხი — გარიგება აქვთ დამუღამებული. ხშირად გინახავთ, ალბათ, სამ კილოგრამ შაქარსა და ბრინჯის პარკით ხელდამშვენებულ პატივცემულ ქველმოქმედს ცხრა ოპერატორი მოსდევს უკან... ახლახან ბატონი პრემიერი ვნახეთ, როგორ გადაულოცა საკუთარი ოცლარიანი ვაუჩერი ერთ გაჭირვებულ ოჯახს, შვიდი-რვა მიკროფონისა თუ სამი-ოთხი მინისტრის თანხლებით.

ამ საუკუნენახევარში „მაღალი, უხვი, მდაბალი" ადამიანი ხუთ მილიონ ერში ხელზე ჩამოგვეთვლება. ბატონები: დავით სარაჯიშვილი, ილია ხოშტარია, ძმები ზუბალაშვილები. მათ მამულიშვილურ ღვაწლზე ცოტა უხერხულია საუბარი. ამ დიდკაცების სწორფერად თამამად შეგვიძლია დავასახელოთ ბიძინა ივანიშვილი.

მართლაც უცნაური ხალხი ვართ ქართველები.

ქველმოქმედებამ თუ არ იხმაურა, ქვეყანამ თუ არ გაიგო, რა ქველმოქმედებააო, ლამის ვაკანონებთ.

ურწმუნო თომებიც მოგვიმრავლდნენ...

ზოგს ივანიშვილის რეალურ პიროვნებაში ეჭვიც ეპარება...

ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ერთადერთი კაცია ბატონი ივანიშვილი, რომელმაც თავისი ცხოვრების წესით და საქმიანობით მსგავსი იაფფასიანი პიარი გამორიცხა.

ზოგი ოლიგარქად ნათლავს, ისიც რუს ოლიგარქად.

ამ კაცმა თავისი გონებით, ანუ ბიზნესით იშოვა ფული. ის არ ყოფილა ხელისუფლებაში არც აქ, არც საფრანგეთში და რუსეთში. ოლიგარქები ძმები ბეჟუაშვილები არიან, რომლებმაც ხელისუფლებაში და პარლამენტში იშოვეს დიდი ფული და, შეიძლება, ივანიშვილზე არანაკლები!

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ოლიგარქს ოლიგოფრენია მოსდევს, რაც თანდაყოლილ ჭკუასუსტობას ნიშნავს...

ჭკუასუსტებს რა გამოლევს ჩვენში...

**ზოგი იმაზეა ნაწყენი, კი აშენებს რაღაცას, ვილაც-ვილაცებს ეხმარება, მერე მე რაო?**

**ისე, სამებას რომ გახედავ, ცაში აჭრილი ოქროსფერი გუმბათი სულს რომ გაგინათებს — შენც ხარ უკვე მისი მემკვიდრე...**

**თუ ქართველი ხარ და მართლმადიდებელი!**

**ის ასობით მსახიობი, მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, — ივანიშვილის სტიპენდიით რომ არსებობს — შენი მოყვასია და ძმა.**

**ყინწვისიც შენია და დედა-უნივერსიტეტი — შენი და შენი შვილიშვილების კუთვნილება!**



... ამ ოთხიოდე წლის წინათ იურისტი და სპორტული ჟურნალისტი, საჩხერელი მეგობარი ოთარ კუსიანი შემეხმიანა, — რაიონული გაზეთის გამოცემა მინდა, რომელიც დანარჩენ საქართველოსაც დააინტერესებსო. რამდენიმე ნომერი გამოვიდა „საწუთროს" სახელწოდებით, საკმაოდ საინტერესოც. ჩვენთან თანამშრომლობდა ოთარის თანარაიონელი ჟურნალისტი ზურაბ თურმანიძე. გაზეთის ერთი ნომერი ბატონ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას მივუძღვენით, ვცდილობდით, საჩხერეთი შემოვფარგლულიყავით. არ გამოგვივიდა, თანაკლასელებისა და მეგობრებს გარდა ვთხოვეთ ბატონებს: ჭაბუა ამირეჯიბს, მუხრან მაჭავარიანს, ჯანსუღ ჩარკვიანს, გიგა ლორთქიფანიძეს, ბაჩანა ბრეგვაძეს, გრიგერ ფარულავას, თამაზ კვაჭანტირაძეს, მიხეილ ანთაძეს... სხვებს. კარგი ნომერი გამოგვივიდა.

„ცისკრის" რედაქციაში, გაზეთზე მუშაობისას, ბატონი ზურაბ თურმანიძე მოგვიყვა, ისიც მახსოვს, მისი სახლიკაცისგან ვიციო, დააყოლა.

მაშინ საფრანგეთში ცხოვრობდა ივანიშვილების ოჯახი. ერთ დღეს მამა-შვილი (პატარა უტა) სასეირნოდ წასულან, უცებ ბავშვი გაქცევია, კიბე ჩაურბენია, ფეხი წამოუკრავს და მწარედ დაცემულა. სანამ მამა მოვიდოდა, ვიღაც მოხუცმა კაცმა წამოაყენა უტა, დაუყვავა, დაფერთხა, მოეფერა... ისიც ჰკითხა, ვინა ხარ და საიდანო? ჭორვილადანო! — მოუგო ამაყად უტამ. არ ვიცი, ჭორვილას ხსენებაზე რა რეაქცია ჰქონდა კეთილ ფრანგ მოხუცს, მაგრამ ბატონ ბიძინას უთქვამს მაინც — სხვა სიხარული და ბედნიერება ვიგრძენიო.

ეს „სხვა სიხარული და ბედნიერება" ის არის, ალბათ, ჩემი შვილები ჩვენზე მეტი პატრიოტები გაიზარდნენო, რომ წერს.

ეს სიხარული და ბედიერება საკუთარ ბედნიერებაზე მეტია და მას, უბრალოდ, სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

ამიტომ...

კი დაემშვიდობა ბატონი ბიძინა ბატონ პრეზიდენტს, მაგრამ საქართველოდან არსად და არასოდეს წასულა!

მას საქართველოს ღირსებასა და სულიერებაზე გამუდმებით ედო ხელი, მის მდოვრე თუ აჩქარებულ პულსს პარიზში მოსკოვში თუ ჭორვილაში ერთნაირად გრძნობდა.

მე მაშინ ვიგრძენი, ის არსად წამსვლელი არ იყო!

მეტიც, ის აქ იყო სულ!...

ზურაბ თურმანიძის მონათხრობს ერთს ჩემსას მივამატებ:

უფროსი მეგობარი, მცხოვანი, გამოჩენილი კოლეგა მხვდება რუსთაველზე.

მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— შენთან საქმე მაქვს. ლუდზე გეპატიჟებიო, მეუბნება.

ფეხი ავითრიე.

მიმიხვდა.

— წამოდი, წამოდიო...

მხარზე მომითათუნა ხელი.

— პენსია გექნებათ აღებული, — გავუთამამდი, — რამდენი გაქვთ?

— დიდებულ აკაკის ჰკითხეს ერთხელ, რამდენი გაქვს პენსიაო... სარჯიშვილიანადო? — იქით შეუბრუნა კითხვა მგოსანმაო, იღიმება.

— ივანიშვილიანად...

არც მე დავიბენი.

— შვილიშვილებისთვის ნაყინს ვყიდულობ. შენი ლუდზე დაპატიჟება შემიძლია...ცოტაა?

ჩემი გადმოსახედიდან ცოტა მეტი იყო და...

ორივეს გაგვეცინა..

* * *

როგორც ჩანს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ქველმოქმედებაზე უფრო დიდ და მძიმე მოვალეობას აკისრებს განგება.

ეს ყველაფერი მის წერილებში თუ საქმიანობაში ორი ათეული წელია იკითხება.

მე თუ მკითხავს ვინმე, ეს ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი შანსია.

სანამ ცოცხალი ხარ, იმედი არ კვდება!

**ზაურ კალანდია,**
**მწერალი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## გოგა ხაჩიძე: ძალიანაც რომ მოვინდომო, წვიმად მაინც ვერ გადავიქცევი



საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე ბერა ივანიშვილის ახალ სიმღერას („ვერავინ, ვერასდროს, ვერსად") "ფეისბუკზე" განცხადებით პასუხობს.

ხაჩიძის თქმით, ბერას თხოვნას "წვიმად გადაქცევასთან" დაკავშირებით, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერ დააკმაყოფილებს.

"გასაგები მიზეზების გამო სრულყოფილად ვერ ვეხმაურები იმ გააქტუალურებულ კითხვებს, რომლებიც ბოლო დღეებში გაჩნდა. დროის მოგების მიზნით, ისევ მოკლე პასუხებით შემოვიფარგლები და ჟურნალისტებსაც აღარ მოვაცდენ ჩემთან დასარეკად. პირველ "თხოვნას", "წვიმად გადაქცევას" ვგულისხმობ, ძალიანაც რომ მოვინდომო, ვერ დავაკმაყოფილებ. "თხოვნის" ავტორს მამა-შვილურად მინდა ავუხსნა: მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება სიურპრიზი აღმოჩნდეს, არსებობს რიგი საკითხებისა, რომლებსაც ძალიან დიდი ფულიც კი ვერ აგვარებს. ეს ალბათ უფრო მომავლის საქმეა და ძირითადად მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე იქნება დამოკიდებული", - ნათქვამია ხაჩიძის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ბერა თავისი ახალი სიმღერის ერთ-ერთ სტროფში მღერის "არ ვიცოდი ვინ იყავი, მოგისმინე, გავიქეცი, გოგა, გთხოვ, წვიმად გადაიქეცი".

## ალ-ჯაზირა: მუამარ კადაფი გამთენიისას დაკრძალეს



დღეს გამთენიისას, ლიბიის ეროვნული გარდამავალი საბჭოს წარმომადგენლებმა, ლიბიის ყოფილი ლიდერი მუამარ კადაფი უდაბნოში, საიდუმლო ადგილას დაკრძალეს. ამის შესახებ ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა" იუწყება.

ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კადაფთან ერთად, მისი ვაჟი მუატასემიც უნდა დაეკრძალათ.

შეგახსენებთ, რომ ლიბიის ყოფილი ლიდერი მუამარ კადაფი, რომელიც ქვეყანას 42 წლის განმავლობაში მართავდა, 20 ოქტომბერს ქალაქ სირტაში მოკლეს.

**„მედიანიუსი"**

# Temur qoriZe:
# ivaniSvilma gabeda da monstrs daupirispirda... es ukve gmirobaa...



***ახლახან თემურ ქორიძეს სახლში ვესტუმრე. ცხადია, ჩვენი საუბარი, მისი გულწრფელი მასპინძლობის ფონზე, ქვეყნის ავკარგს შეეხო — წარსულს, დღევანდელობას, მომავალს... საუბარი თვითონ დაიწყო...***

— მიმაჩნია, რაც დღეს საქართველოში ხდება, უკვე აშკარად გამოხატულ აბსურდის ნიშნებს ატარებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ მხარეს დგას ფრიად კეთილშობილი ქველმოქმედი, სამების და სხვა მრავალრიცხოვან ეკლესია-მონასტერთა ამშენებელი, მეცნიერთა, ხელოვანთა, პედაგოგთა და მოწაფეთა შემწე-მფარველი, და სწორედ მას, ბიძინა ივანიშვილს, ასეთ ვითარებაში, რაღაც კაზუისტური პრობლემები ექმნება... ის, შეიძლება ქვეყნიდან გააძევონ, ან სულაც ციხეში ჩასვან და ამით დასრულდეს ყველაფერი.

რაზე მეტყველებს ეს აბსურდი?

უპირველეს ყოვლისა, იმაზე, რომ ის მიწა-წყალი, რომელსაც ისტორიულად საქართველო ერქვა, დღეს სახელმწიფოს არ წარმოადგენს, ჩვენ ვერ შევძელით აგვეშენებინა რეს-პუბლიკა, ანუ საერთო-სახალხო ერთობა. სწორედ ამიტომ არის, რომ კავკასიის ტერიტორიის ამ ნაწილს ახლა სააკაშვილი და მისი თანამოსაქმე ავანტიურისტები განაგებენ.

მათ უკვე დაგვარწმუნეს, რომ ისინი თვალის დაუხამხამებლად გაჭყლეტენ ბავშვს, თუ იგი მათი კომფორტული ესკორტის მსვლელობისას გზაზე შემთხვევით გადაეყრება.

ამით მე იმის თქმა მინდა, რომ ბიძინა ივანიშვილის ერთი შეხედვით უწყინარმა განცხადებებმა უკვე მიზანს მიაღწია: სააკაშვილი — ეს ყოვლად თავხედი და უწიგნური ადამიანი ახლა კედელთან არის მიმწყვდეული და უკვე სიტყვა მასზეა.

**— თქვენ ამბობთ, ახლა სიტყვა სააკაშვილმა უნდა თქვასო, რასაც ფიქრობთ, რას იტყვის სააკაშვილი?**

— გადავხედოთ სააკაშვილის ავადმყოფობის ისტორიას, ეს ისტორია გვაჩვენებს, რომ მიხეილი ფსიქოლოგიურად და ინტელექტუალურად ყოვლად მოუმწიფებელი ადამიანია. ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, მუდამ თვითრეალიზაციის პრობლემები ექმნებათ ხოლმე. გარემოებათა ხელშეწყობით სააკაშვილმა მოახერხა ამ პრობლემათა დაძლევა. დღეს ის საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის მეპატრონე და განმკარგველია. საკმარისია მას ეს ფსიქოლოგიური კომფორტი საპირისპირო დისკომფორტით შეეცვალოს და ჩვენ უმალ ვიხილავთ ერთ ჩვეულებრივ, მდაბალი ვნებებით შეპყრობილ ადამიანს, რომელსაც სინამდვილეში არავითარი შინაგანი საყრდენი, არავითარი ექსისტენცია არ გააჩნია.

აი, ასეთი მონსტრს უპირისპირდება დღეს ბიძინა ივანიშვილი, რაც სულაც არ არის უხიფათო საქმე.

აქვე დავძენდი, ბატონი ბიძინა, რაკი ის ქართული პოლიტიკის ჯუნგლებში შეღწევას აპირებს, ვალდებულია ბოლომდე გულწრფელი იყოს, რათა წარმატებით აღასრულოს თავისი ჩემი აზრით, უაღრესად კეთილშობილი ჩანაფიქრი.

**— პირადად თქვენ დაეხმარებოდით ბატონ ივანიშვილს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში?**

— რა თქმა უნდა, დავეხმარები. თანაც დავეხმარები ყოველგვარი საზღაურის გარშე! თქვენ, ასე თუ ისე, უკვე იცით ჩემი ცხოვრების წესი და ისიც იცით, რომ საზოგადო საქმე წმიდათაწმიდა თუ არ იქნება და იქ ადამიანები მხოლოდ გამორჩენისთვის მივლენ, — ამ საქმიდან არაფერი გამოვა. ბატონი ბიძინა ჩემთვის, უირველეს ყოვლისა, იმით არის მისაღები, რომ მთელ ამ ორომტრიალში ის „გამცემია“ და არა „მიმღები“. პოლიტიკაში მისვლით ივანიშვილს მოუხდება გაცილებით მეტი გასცეს, ვიდრე მიიღოს. ასეთია ჭეშმარიტი მოღვაწის, ანუ, როგორც სულხან-საბა ბრძანებდა, მოჭირნახულის ხვედრი. ვიმეორებ, ეს ხვედრი ნამდვილად არ არის შესაშური, ეს გზა აღსავსეა ფათერაკებით, იმედგაცრუებებითა და ბევრი, ძალიან ბევრი გულისმომკვლელი უმადურობით.

**— გეთანხმებით, ისტორიამ უმადურობის მრავალი მაგალითი იცის, მაგრამ ასევე იცის საპირისპირო მაგალითებიც.**

— დიახ, მეც გეთანხმებით, ქართულ სინამდვილეში და არა მხოლოდ ქართულ სინამდვილეში საპირისპირო მაგალითები ნამდვილად არსებობს. გავიხსენოთ თუნდაც არც თუ ისე შორეულ წარსულში მოღვაწე დავით სარაჯიშვილი. მე იმ სარაჯიშვილზე მოგახსენებთ, რომელიც გულწრფელად აღიარებდა: „როგორც კი ერთი ვინმე ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშიერი უკან დაედევნება და სანამ არ გახრავენ, თავს არ დაანებებენო“... თავის დროზე დავით სარაჯიშვილი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ვერ განხორციელდებოდა ილია ჭავჭავაძის მრავალი ჩანაფიქრი. ყურადღება მივაქციოთ: დავით სარაჯიშვილი ილიასთან მეგობრობდა და არა მაინდამაინც ნოე ჟორდანიასთან, რომელიც დღემდე რჩება მიხეილ სააკაშვილის და მისი პარლამენტისთვის იდეალურ მოღვაწედ. მაგრამ მე ვლაპარაკობ ბიძინა ივანიშვილთან შედარებით ერთობ მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე ძველ ბიზნესმენზე, რომელსაც თავის დროზე მაღალი ქართველი საზოგადოება პირდაპირ „ხელის გულზე ატარებდა“, მიუხედავად იმისა, რომ დავით სარაჯიშვილს ჰქონდა მაშინდელი საქართველოს პატრიოტული აზრისთვის ყოვლად მიუღებელი საპატიო ტიტული: —„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ოჯახის მიმწოდებელი...“

ახლა წარმოვიდგინოთ, რა ამბავი ატყდებოდა, ვინმე „ნაციონალთაგანს“ ბიძინა ივანიშვილის



სამამულო ღვინის ეტიკეტში რომ წაეკითხა: „ღვინო ესე ეძღვნება მის აღმატებულება რუსეთის პრეზიდენტს“... ამის ნაცვლად, როგორც ბატონი ივანიშვილის ბოლოდროინდელი ინტერვიუდან თუ გულწრფელი აღსარებიდან ირკვევა, დღემდე ის თავის „ღვინოს“, ანუ „სისხლს“ — უშურველად უძღვნიდა „მის აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტს“, რომელიც, მადლობა ღმერთს, რომ როგორც ბატონი ბიძინა ამას ახლახან მიხვდა, საქართველოს პრეზიდენტი წინმჯდომარე და თავმჯდომარე კი არა, ჩვენი სამშობლოს თავზე წამომჯდარი თავაშვებული ტირანია და სხვა არავინ.

**ანა ვადაჭკორია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Cveni mTavari amocanaa, sazogadoebaSi SiSi gavaqroT da nabij-nabij, mtkiced viaroT dasaxuli miznisken...

**ირაკლი სესიაშვილი,**
**ექსპერტი:**

**— ირაკლი, ბიძინა ივანიშვილმა თავის განცხადებაში ხალხს უთხრა რადგან დაგპირდით აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაშიო. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლამდე საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი. როგორ წარმოუდგენია მას გამარჯვებამდე მისვლა?**

— პირველ რიგში, ეს სტრატეგია განიხილება, როგორც ბიძინა ივანიშვილთან, ისე სხვა ექსპერტებთან, მრჩევლებთან ერთად. ამ ეტაპზე სტრატეგიის შემუშავების პროცესში ვართ. ჩვენი მთავარი ამოცანაა საზოგადოებაში შიში გავაქროთ, გავზარდოთ მოტივაცია, გამარჯვების გზები, ხელი შევუწყოთ ქვეყანაში დემოკრატიულ, მშვიდობიან პროცესებს, რათა არანაირ რევოლუციებს, დაპირისპირებებს, სისხლისღვრას ადგილი არ ჰქონდეს. თუ შევძლებთ პროცესების ზუსტად და სწორად მოტივირებას, თუ ვიქნებით გულწრფელნი, დარწმუნებულნი ვართ, როგორადაც არ უნდა გააყალბოს ხელისუფლებამ არჩევნები, საზოგადოების, ხალხის მხარდაჭერით ყველა შემთხვევაში გავიმარჯვებთ. საქმე სახელმწიფო ინტრესებს ეხება, რისთვისაც საზოგადოების კონსოლიდირებას, ქვეყნის განვითარების სწორი სტრატეგიის შერჩევას შევძლებთ.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ვინც პოლიტიკაშია, საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, ყველას თავის დროზე გარკვეული ადგილი ჰქონდა. რაც შეეხება იმ საკითხს, რა პრიციპით არჩევს ბატონი ბიძინა ხალხს — ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია — არის ფსევდოოპოზიცია, სახელისუფლებო მედია, რომელიც მხოლოდ ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება, ხოლო დანარჩენ ადამიანთა ჯგუფს მან სთხოვა სამართლიანი პოზიცია დაიჭირონ. როდესაც ია ანთაძის ინტერვიუზე მოპატიჟების საკითხი გადაწყდა, ამ ყველაფერს როგორც თქვენ აღნიშნეთ, წინ უძღოდა ივანიშვილის მხრიდან ჟურნალისტისადმი კრიტიკული შენიშვნები. ია ანთაძემაც სხვადასხვა მედია-საშუალებებით საკმაოდ კრიტიკულად ისაუბრა ბატონ ბიძინაზე. როცა დადგა საკითხი, თუ რომელი ჟურნალისტი უნდა მოსულიყო ინტერვიუზე, პირველ რიგში, გავითვალისწინეთ შემდეგი — იგი არ უნდა ყოფილიყო რომელიმე საინფორმაციო საშუალების, პრესის წარმომადგენელი, რადგან არ დარღვეულიყო ჟურნალისტთა შორის ეთიკა და მათი კონკურენტუნარიანობისთვის ხელი არ შეგვეშალა, ამიტომ შევარჩიეთ დამოუკიდებელი ჟურნალისტი. ია ანთაძის შერჩევა სწორედ ამ ნიშნით მოხდა, რომ იგი კრიტიკულად იყო განწყობილი. სწორედ ასეთ ადამიანებთანაა საჭირო საუბარი, სწორედ მათგან მივიღებთ უფრო მეტ შენიშვნას და ჩვენც შევეცდებით დავარწმუნოთ ბატონი ბიძინას სწორ სტრატეგიაში.

**— თანამშრომლობაზე მზადყოფნა ბატონმა ბიძინამ „რესპუბლიკელებთან“ გამოთქვა, რომლებმაც ხალხს თავი „სოროსის ფონდიდან“**



**და „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ დაამახსოვრეს და სააკაშვილის გაპრეზიდენტებაშიც არანაკლები როლი შეასრულეს. რამდენად სწორია ივანიშვილის გუნდის წევრებად მათი მოაზრება?**

— ალასანიასთან, „რესპუბლიკელებთან“, რომლებზეც ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ სიმპათიები აქვს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მხოლოდ კონსულტაციები. საუბარი არ არის რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებზე, თუნდაც თანამშრომლობაზე. არამც და არამც, უბრალოდ მიმდინარეობს დიალოგი, სხვა არაფერი. ყველაფერი სამომავლოდ გადაწყდება, მათ შორის, ისიც, მოხდება თუ არა საერთოდ მათი ურთირთთანამშრომლობა. იცით, რომ ბატონ ბიძინას მოქალაქეობის შეწყვეტასთან ერთად ამ მოცემულობაში ეკრძალება პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება და პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსება. ამიტომ, სანამ ეს საკითხები არ გაირკვევა, ცხადია, ივანიშვილი ვერ შექმნის პარტიას და აქედან გამომდინარე რაიმე ალიანსზე ამ თუ სხვა პოლიტიკურ ძალებთან საუბარიც ზედმეტია ამ ეტაპზე. საზოგადოებას არანაირად არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეს საკითხები უკვე გადაწყდა. რაც შეეხება, სხვა პოლიტიკურ ძალებს, როგორც ივანიშვილმა განცხადებაში აღნიშნა, მან გარკვეული სადემარკაციო ხაზი გაავლო, ფსევდოოპოზიციასთან არავითარი სურვილი არა აქვს რაიმე შეხება ჰქონდეს. დანარჩენი პარტიების პოზიციებს სიამოვნებით გაეცნობა, შეეცდება მათთან ჰქონდეს ნორმალური, კონსტრუქციული ურთიერთობა, ვინაიდან, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს რეჟიმთან და არა ბრძოლა სკამებისთვის, ამიტომ ამ პარტიებთან ასევე იქნება მცდელობა კოსტრუქციული თანამშრომლობისა. დაფინანსებაზე ან რაიმე სახის შეთანხმებებზე საუბრები არ იმართება.

**თამარ შველიძე**

# ax l a qar Tve l i xa l xis gadasawyvet ia, kv l av j o j oxeTSi darCeba Tu am j o j oxeTidan Tavis dasaRwevad i br Zo l ebs?..

***სანამ შალვა ნათელაშვილი ქართველი ერის ლანძღვით გულს იჯერებდა და სულ „კიკუებად“ მოიხსენიებდა, ამასობაში „მშრომელთა“ რიგებს ერთ-ერთი აქტიური წევრი ნესტან კირთაძე გამოაკლდა.***

**— ქალბატონო ნესტან, რატომ გადადგით ეს სენსაციური ნაბიჯი გადადგით, რატომ დატოვეთ „ლეიბორისტები“?**

—დიდი მადლობა ყურადღებისათვის თქვენს გაზეთს და მის მკითხველს.მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი მეშვეობით მივმართო საზოგადოებას: ყველაზე მთავარი, რაც დღეს უნდა განიცადოს ყველა ჩვენთაგანმა, რა სტატუსითაც ვართ ჩვენ, რა განცდებითაც...რა ემოციებითაც-ეს არის დროის განცდა. რეალური დროის განცდა.

2012 წელი-ვადაში მოხდება არჩევნები, თუ ვადის გარეთ მოხდება არჩევნები, ეს არის ხელისუფლების შეცვლის წელი. მიშას ერთპარტიულმა რეჟიმმა, რომელმაც ქართველ ხალხს ჯოჯოხეთი მოუწყო, ამოწურა ყველა სახელისუფლებო ვადა და ჩვენ, ახლა, თუ ამ დროს ვერ შევიგრძნობთ ზუსტად და ჩვენ, ახლა, პასუხისმგებლობას ვერ შევიგრძნობთ ზუსტად, რომ ეს კრიმინალური ხელისუფლება ცდილობს კვლავ სათავეში დაბრუნებას და თუ, ჩვენ, ამას წინ არ აღვუდგებით, ჩვენი პროტესტით, ჩვენი პრინციპებით, ჩვენი დროის შეგრძნებით და არ ვეტყვით ერთმანეთს, რომ კმარა ჯოჯოხეთი.

ჩემი გადაწყვეტილება — ჩემი მტკივნეული, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტილება. სწორედ ემსახურება, აი, ამ პრობლემის ყველაზე მკაფიოდ წინა პლანზე წამოწევას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ქართულ პოლიტიკაში ვიქეცი მნათედ და შემოვკარი დედოზარი ყველასათვის, რომ ერთი მესიის მომლოდინედ კი არ იქცეს ქართველობა, არამედ იმ ადამიანმა, რომელმაც გააჩინა რეალური პოლიტიკური ფაქტორი, რომ ქვეყანაში რეალური ცვლილებები შესაძლებელია, დაარღვია მიშას შეხმატკბილებული უნისონი პოლიტიკური პარტიებთან, მათ შორის, ოპოზიციასთან და გაჩნდა რეალური ცვლილებების დრო, რომელსაც სჭირდება, მხოლოდ პრინციპული დადგომა, თუ ამას არ გავიაზრებთ და არ ვიქნებით პრინციპულნი, მაშინ საქართველო ისევ რჩება ჯოჯოხეთში, მაშინ საქართველო ისევ რჩება ამ ხელისუფლებაში და ისევ ვეტყვით ერთმანეთს-იგივენი და ჩვენ. იგივენი-რამდენიმე ათეული ოჯახი ცხოვრობს თავისთვის კარგად, ლაღად. უდიდესი უმრავლესობა ქართველობისა ცხოვრობს ჯოჯოხეთში, უპერსპექტივოდ, უიმედოდ, უღირსებოდ, მომავლის გარეშე, სადაც ჩვენ გვაქვს დაშლი-



ლი და დაქუცმაცებული ქართული სახელმწიფო.

**— ქალბატონო ნესტან, ფიქრობთ, რომ „ლეიბორისტებმა“ ეს რეალობა ვერ გააცნობიერეს?**

— რატომ ვერ გააცნობიერეს და არ დაუდგნენ გვერდში ივანიშვილს, ეს უკვე ჩემი პრობლემა აღარ არის. ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისათვის, ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, ჩემთვის- როგორც ქართველი ხალხის ნაწილისათვის სრულიად შოკი იყო ის განცხადება, რომელიც შალვამ გააკეთა, ვინაიდან ეს არ იყო პოლიტიკური განცხადება. არც ერთი იქ დასმული აქცენტი არ იყო პოლიტიკური, ეს იყო რაღაც, პირადი ვენდეტებისა და პირადი შურისძიებებით აღვსილი განცხადება, რომელმაც ვერ დაინახა რეალობა, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ოპოზიცია თითქმის აღარ არსებობს და ამას ამბობს ხალხი, ამ დროს პასუხისმგებლობით სავსე ოპოზიციურლეიბორისტულ პარტიას დროის განცდა და ნამდვილი რეალური ფაქტორის ეს განცდა უნდა გამოეყენებინა მხოლოდ იმისათვის, რომ ხიდები კი არ დაეწვა, ივანიშვილისთვის სოროსი-2 კი არ ეძახებინა, არამედ გაეჩინა კიდევ უფრო ძლიერი ოპოზიციური, რეალური ფაქტორი, რათა ქართველი ხალხის ბოლო 8 წლის ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო.

**— „ლეიბორისტები“ როგორ შეხვდნენ თქვენ წამოსვლას?-**

— არ მაინტერესებს ემოციები და არ ვჭორაობ. ვინ როგორ შეხვდა პრესა ამას კარგად გრძნობს, მაგრამ არ ვაპირებ ამ დიდი პოლიტიკური ნაბიჯის შემდეგ, დავწვრილმანდე და ჩავიკარგო რაღაც ლოკალური ტიპის ემოციებში. ტყუილად მოცდება პრესა, ამაზე პასუხი არ მექნება თქვენთვის.

**— შენიშნეთ, ხელისუფლებასთან უნისონში მყოფი პარტიები, იმედია, „ლეიბორისტებზე“ არ მიანიშნიეთ?**

— არა. ცხადია, „ლეიბორისტებმა“ და სხვათა შორის, მათ რიცხვში, მეც, ბევრი გავაკეთეთ, თუმცა ახლა სხვა რეალობაა და არ უნდა დავკარგოთ დროის შეგრძნება. ერთსა და იმავე წრეზე არ უნდა იაროს პოლიტიკურმა პარტიამ, ერთი და იგივე პოლიტიკური რეპერტუარით არ უნდა გამოვიდეს. მხოლოდ განცხადებების დონეზე გამოსვლებით სტაგნაციაში არ უნდა შეიყვანოს პოლიტიკური პროცესი,რადგან ყველა პარტია არის ძლიერი მხოლოდ მაშინ, როცა ჰყავს ძლიერი მხარდამჭერი-ხალხი. ეს ხალხი ცვლილებას მოელის, ეს ხალხი მომავლის პერსპექტივას მოელის. რამდენი წელი შეიძლება ჩვენ ტელევიზიებიდან ავუხსნათ ხალხს, რომ ისინი ძალიან ცუდად ცხოვრობენ? რამდენი წელი შეიძლება ხალხის უბედურებაზე,ჩვენ, „ფიარები“ ვაკეთოთ? რამდენი წელი შეიძლება, ჩვენ, ამ ხალხის უბედურებით პოლიტიკური ნიშა დავიკავოთ? ეს არ არის ჩვენი მოვალეობა, ჩვენი ვალდებულება, ჩვენი უფლება. ჩვენი ვალდებულებაა ხალხის ცხოვრება წინ წავიყვანოთ და ქვეყნის ცხოვრება წავიყვანოთ წინ.

**— ესე იგი, თქვენ გამორიცხავთ, პატარკაციშვილის სცენარი განმეორდეს და ივანიშვილის თაოსნობით ხალხის ჭაობიდან ამოყვანის იმედი გაქვთ?—**

-ჯერ ერთი, პატარკაციშვილისა და ივანიშვილის ფენომენი აბსოლუტურად განსხვავდება, ბევრი მიზეზის და გამო. აღარ შევუდგები დაკონკრეტებას, რადგან ეს არის პოლარულად განსხვავებული ვითარება, მეორე და ყველაზე მთავარია: არ ვიცი, რა სცენარები განმეორდება, რადგან საქმე გვაქვს რეჟიმთან, რომელიც არაფერს თმობს და არც დათმობას აპირებს, მაგრამ არის მეორე რეალობა-საქმე გვაქვს ხალხთან, რომელსაც იმის იქეთ უკვე აღარ შეუძლია. ან დგება ქართველი ხალხი ახალი რეალობის წინაშე, რომლის პოლიტიკური ფაქტორი გააჩინა სწორედ ბიძინამ. ფაქტორი გააჩინა მან და არა როგორც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა, არამედ როგორც პოლიტიკაში შემოსულმა თავისი პოლიტიკური მიზნების განცხადების მქონე ავტორმა და რეალურმა პერსონამ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ის არ ეგუება და არ შეეგუება ამ სინამდვილეს, ამით ქართველმა ხალხმა უნდა მიაღწიოს რეალურ ცვლილებებს და რეალურ გამარჯვებას, რა ფასადაც არ უნდა დაჯდეს ეს. ბრძოლა ასეთია-50/50-ზე, შანსებიც ასეთია 50/50-ზე. ახლა ქართველი ხალხის გადასაწყვეტი იქნება ვის მხარეზე დადგება გამარჯვება. გამარჯვება უდაოდ ქართველი ხალხის მხარეს უნდა დადგეს.

**— თავისი განცხადებით ივანიშვილმა ფსონი დადო „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებზე“, ისინი ზომიერი პოლიტიკის გამტარებლები არიან, ხოლო თქვენ რადიკალად მოიაზრებით,ხომ არ არის მოსალოდნელი იმიჯი იცვალოთ?-**

— რადიკალიზმი, პირობითი ცნებაა. თუმცა ახლა სწორედ რადიკალური გადაწყვეტილებების მიღების დროა და ეს რადიკალიზმი, რევოლუციას, ომს, კონფრონტაციას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ უკიდურესად პრინციპულ გადაწყვეტილებას ჩვენი ხალხისაგან, რომელთაც უნდა თქვან:ჩვენ უკან აღარ დავიხევთ.

**— თუ გქონდათ თანამშრომლობის შემოთავაზება ივანიშვილის მხრიდან?**

— ყველაფერი არის წინ: შეხვედრები, პოლიტიკური დიალოგები. პოლიტიკური პროცესი დასაწყებია, ამ პროცესს ჰქვია ბრძოლა საქართველოს ხვალინდელი დღისათვის, რათა რეალურად შევცვალოთ ქვეყანაში ვითარება.

**ნათია ნოდია**

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია ივანიშვილის მეუღლის საქმეზე კომენტარს არ აკეთებს



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ბიძინა ივანიშვილის ადვოკატების განმარტებებზე, რომლის თანახმადაც, ივანიშვილის მეუღლის ეკატერინე ხვედელიძის საქმე ბიზნესმენის შემთხვევისაგან განსხვავდებოდა და ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა უკანონოდ მოხდა, კომენტარს არ აკეთებს.

როგორც დღეს პრეზიდენტის სასახლეში გამართულო ტრადიციულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ საკითხთან დაკავშირებით მოკლე კომენტარით შემოიფარგლება.

„ამ საკითხზე განცხადებას არ ვაკეთებთ და კომენტარისაგან თავს შევიკავებთ“, — აღნიშნა მანანა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს და მის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს მოქალაქეობა 11 ოქტომბერს შეუწყდათ.

## ბაღათურია ხელისუფლებას ივანიშვილისათვის „წართმეული“ ფულის უკან დაბრუნებისაკენ მოუწოდებს

პოლიტიკური პარტია “ქართული დასის” ლიდერი ჯონდო ბაღათურია ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილისათვის “წართმეული, ნაყაჩაღარი ფულის” უკან დაბრუნებისაკენ მოუწოდებს.

როგორც დეპუტატმა პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ადამიანის დამცირება, შეურაცხყოფა და კედელთან მიყენება ხელისუფლების სტილი გახდა.

ბარათურიამ ბანკ “ქართუს” თანამშრომლების დაკავების ამასწინანდელი შემთხვევა გაიხსენა, რომელსაც „წარმოუდგენელი ფაქტი“ უწოდა.

“ეს ნაყაჩაღარი და ახეული ფულია. დააბრუნეთ ფული უკან”, — მიმართა ბაღათურიამ ხელისუფლებას. მისი თქმით, ასევე წარმოუდგენელია, როგორ უნდა წაართვან მოქალაქეობა ისეთ ადამიანს, რომელიც საქართველოში დაიბადა და გაიზარდა და ქვეყნის საზღვარი 10 წლის განმავლობაში არ გადაუკვეთავს.



ბაღათურიას გამოსვლას უმრავლესობის რეპლიკები მოჰყვა. პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი დაინტერესდა, “დაუძახა თუ არა უკვე ბაღათურიას ივანიშვილმა”. ოპოზიციონერი დეპუტატის ნაცვლად მას უმრავლესობის წევრმა მარიკა ვერულაშვილმა ასე უპასუხა: “ჯერ არა”.

„მედიანიუსი“

facebook

# xalxis azriT

ისეთ ხალხსაც ვიცნობ, სამ-სამი სამსახური რომ აქვს, არსად წესიერად არ ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ სოლიდურ ხელფასს იღებს. და თან ივანიშვილისგან მოდის ფული. მგონი ივანიშვილმა ჯერ თავის დაფინანსებულთა სიას უნდა გადახედოს და გაცხრილოს! ამ ხალხმა კომუნისტებისგანაც მიიღეს სარგებელი თავის დროზე, საკმაოდ პრივილეგირებულები იყვნენ, ივანიშვილისგანაც, არც მიშას ჯამიდან თქვლეფაზე ამბობენ უარს.

საზოგადოებამ გულგრილობა თუ გააგრძელა, კარგად დაიხსომეთ ჩემი სიტყვები მეგობრებო — მიხეილ სააკაშვილი ახლაც მოგვიგებს, როგორც 2008 წლის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნით მოგვიგო! უნდა გავაცნობიეროთ რომ, საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრები ვართ, აქედან ბრძოლის და, თავდადების გარეშე არავინ გაგვიშვებს! ცოტა ხანში ინტერნეტის გადასახდელი ფულიც არ გვექნება და, აქაც ვერ მოვიოხებთ გულებს და, მასიურ ფსიქოზამდე მივა ხალხი!

ეს მედროვეები და ფსევდო პატრიოტები ფეისბუქზე და რეალში მალე ერთმანეთს დაჭამენ, არა მე უფრო კარგად შევაქე ბიძინა და არა მეო. ზოგმა ვითომ კონსტრუქციული კრიტიკოსის პოზიცია დაიჭირა, ჭირვეული ბავშვივით, რომ ბიძინამ დაიბაროს და ფული მისცეს დასაწყნარებლად :))) იმედი მაქვს ბიძინა ამ მედროვეებს თავს არ გამოაყენებინებს და თვითონ "გამოიყენებს" მათ :)

ივანიშვილი ის ლავაა,რომელიც ჩამქრალ ვულკანში დიდი ხანია იყო დაგროვილი და ელოდა მზის შუქს. ამიტომაც არაა გასაკვირი არც მის გარშემო საზოგადოებრივი აზრის მეტნაკლები კონსოლიდირება, არც მესამე გზის შესაძლებობის მოსპობა და არც ნეიტრალურების მობრუნება პოლიტიკური პროცესებისადმი. მე ამ კონტექსტში განვიხილავ ამ ემოციებს ,ხოლო უკვე გაჩენილი შეთქმულებების თეორიები ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება.პირველ რიგში ესაა შიდაპოლიტიკური ვნებების ამოფეთქვა, რომელიც ამჯერად ამ კაცს დაუკავშირდა.რაც შეეხება პერსპექტივას,მაშფოთებს კონფორმისტების მომრავლება ივანიშვილთან დაახლოების მსურველთა შორის. თუმცა მგონი, მას მაინც გაცნობიერებული აქვს სააკაშვილის სტრატეგიის მთავარი თვისება — "ან ყველაფერი ან არაფერი".

ერთი სიტყვით, თქვენი არ ვიცი, და მე კმაყოფილი ვარ ბატონი ბერნსის ვიზიტით, დეტერმინიზეიშენი გაუკეთა, მგონი! ვლასტის გადაცემა ლამაზადო! აკაკი მინაშვილმა - ხელისუფლების "გადაცემა" არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლება იგივე პოლიტიკურ ჯგუფს და იგივე ადამიანებს გადაეცეს!!!! ბლინ, გადაცემა შენარჩუნებაში ეშლება ამ ჩემის ცამპა-ცუმპას!

ჩვენ, ფეისბუქის ჯგუფ "აპერიტივის"-წევრები, ვგმობთ, ბიზნესმენისა და მეცენატის, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის მიმართ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ყოვლად უგუნურ და აშკარად პოლიტიკური მიზნებით მოტივირებულ ზემოქმედების ფაქტებს, რაც პოლიტიკური არენაზე მის გამოჩენას მოყვა. მივმართავთ მოთხოვნით ქვეყნის პრეზიდენტს ბ-ნ მ. სააკაშვილს:
-აღუდგინეთ საქართველოს მოქალაქეობა ბ-ნ ივანიშვილს... , რომელიც - საქართველოს აღმშენებლობის საქმეში მის მიერ შეტანილი წვლილით - უპირობოდ იმსახურებს ამას ! აგრეთვე, აღუდგინეთ მოქალაქეობის სტატუსი ბ-ნ ბიძინას მეუღლეს! თქვენ ყოველთვის გვარწმუნებდით, რომ გული გწყდებათ საქართველოში ძლიერი ოპოზიციის არარსებობის გამო, რადგან ეს დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა. დაგვიმტკიცეთ, რომ ეს არ იყო ლიტონი სიტყვები და მიეცით ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს საშუალება, ნორმალურ, სამართლიან გარემოში აწარმოოს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა!

ინტელიგენციებო, სად ხართ შემძვრალები? საახალწლო ინდაურების მოლოდინის შიშმა ხომ არ დაგამუნჯათ, თქვე ინტლიგენტებო, თქვენა, ჰა ??? რამე თქვით მაინც, ან ასეთი, ან ისეთი. პოზიცია არა გაქვთ? თქვე აპოზიტიურებო, თქვენა, ჰაა ...




*„საერთო გაზეთის" სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი **ირაკლი ბათიაშვილი** ესაუბრა.*

**— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ დღეს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას?**

— უნდა გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას თავიდანვე მივესალმე, ისევე როგორც მთელი სახალხო კრება. მისმა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ საზოგადოების უმრავლესობაში გავრცელებულ ნიჰილიზმსა და სასოწარკვეთილებაში გარდატეხა მოახდინა. აღშფოთებული ვარ ხელისუფლების ანომალიური და პათოლოგიური ქმედებებით, რასაც ბიზნესმენის მიმართ ახორციელებენ. თუმცა მათი ქმედებები არც მიკვირს, ეს არის ბუნებრივი, ორგანულად დამახასიათებელი სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის.



ივანიშვილს შეუზღუდონ ფინანსური რესურსები, რაც ამ ეტაპზე მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ხელისუფლების მხრიდან, ვფიქრობ, გაგრძელდება ტერორი და დაპატიმრებები. სახალხო კრების წარმომადგენლებმა კარგად ვიცით, რა მეთოდებით მოქმედებს სააკაშვილი. მაისის მოვლენების დროს იჭერდნენ არა ლიდერებს, არამედ ჩვენს გარშემომყოფებს. ერთთვიანი და ორთვიანი სასჯელებით 300 ადამიანი დაპატიმრეს, 50 მხარდამჭერი კი სრულიად უსამართლოდ სისხლის სამართლის მუხლით გაასამართლეს.

ამით ხელისუფლება ცდილობს ადამიანები გამოიყვანოს წყობიდან, გატეხონ მორალურად.

**— „ნაცმოძრაობა" მოახერხებს ბიძინა ივანიშვილის მორალურად განადგურებას?**

— ვფიქრობ, ვერ უნდა მოახერხოს. ივანიშვილს აქვს სათანადო ჭკუა, გამოცდილება, გამობრძმედილი პიროვნებაა. მას ეცოდინებოდა პოლიტიკაში გამოჩენაზე სააკაშვილის მხრიდან რა რეაქცია იქნებოდა. შესაბამისად, გათვლილი ექნება რა კონტრზომებს გამოიყენებს.

დღეს თუ ვინმე ივანიშვილს ეტყვის, რომ დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება სააკაშვილის გამოხტომებს, რეპრესიებსა და თავდასხმებს, ძალიან სცდებიან და ცუდ სამსახურს უწევენ. სააკაშვილის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ძალიან შეშინებული და დაბნეულია, შესაბამისად, ყველაფერზე წავლენ. მათ შეუძლიათ მოქმედებების სწრაფი ტემპით გაშლა, ამიტომ ივანიშვილმა ოპერატიულად უნდა დაუპირისპიროს კონტრქმედებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასიურობამ, შესაძლოა, ძალიან ცუდი შედეგები გამოიღოს.

ჩვენმა პოლიტიკოსებმა დაამკვიდრეს აზრი, თითქოს ქუჩის აქციები საქართველოსთვის წამგებიანია, ეს იგივეა საფარიკაოდ გახვიდე და დაშნაზე უარი განაცხადო. ევროპაში ვინმეს რომ უთხრა მსგავსი აზრი, გიჟად ჩაგთვლიან, გეტყვიან, რომელი პლანეტიდან ხარო. ხედავთ, რა ხდება საბერძნეთში, მარტო საქართველოში არაა აქციები. ასე რომ, პოლიტიკას აქვს თავისი მოქმედების არსენალი, მათ შორისაა აქციებიც.

# ivaniSvilma saakaSvils operatiulad unda daupirispiros kontrqmedebebi, winaaRmdeg SemTxvevaSi, pasiurobam, SesaZloa, cudi Sedegebi gamoiRos

ჩვენ გვყავს დიქტატორული ხელისუფლება, რომელიც პარანოიითაა შეპყრობილი და ბოლოდროინდელი პროცესებიდან გამომდინარე, პარანორმალური ქმედებები უფრო გაუმძაფრდათ, რადგან თავს კედელთან მიყენებულად გრძნობენ.

**— ივანიშვილს ჩამოართვეს მოქალაქეობა, ბანკ „ქართუში" შესული არის „ეროვნული ბანკი", დაკავებული იყვნენ „ქართუ ჯგუფის" წარმომადგენლები. მომხდარი ფაქტებიდან გამომდინარე, რა პროგნოზს გააკეთებთ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვამბობთ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები არიან შეურაცხადები, მოქმედებენ იმპულსურად, ყოველთვის მაინც თავის ქმედებებში თანმიმდევრულები არიან, როცა რაღაცას იწყებენ, აღარ ჩერდებიან და მიზანმიმართულად მოქმედებენ.

**— ანუ ხელისუფლება მიზანმიმართულად მოქმედებს ბიზნესმენის წინააღმდეგ?**

— ეჭვიც მაქვს და შესაბამისი ინფორმაციაც, გარკვეული წრეები რომლებიც ქვეყანაში გადაწყვეტილებებს იღებენ, გადაწყვიტეს, რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულად იმოქმედონ, რათა ივანიშვილმა ვერ მოახერხოს საკუთარი მოქმედებების გაშლა, ფორმირება ორგანიზაციული თვალსაზრისითა და პოზიციების საზოგადოებაში გამყარება.

**— ამ შემთხვევაში რა სტრატეგია აქვს მმართველ გუნდს? ივანიშვილის დაშინებას ცდილობს?**

— ხელისუფლების მიზანია, ბიძინა ივანიშვილი გაანადგურონ მორალურად, პოლიტიკურად, არ ვლაპარაკობ ფიზიკურ განადგურებაზე, თუმცა ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევს. ცდილობენ შეაფერხონ „ბანკი ქართუს" მუშაობა. ამით კი აუცილებელი, მაგრამ შეიძლება დადგეს აუცილებლობა. დღეს კონკრეტული პროცესები ივანიშვილის ირგვლივ ვითარდება, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რას მოიმოქმედებს ბიზნესმენი.

**— შესაძლოა, რომ ასე თამაშ-თამაშ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებამ საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს?**

— ამას გამოვრიცხავ, თუმცა კატეგორიულად ვერ ვისაუბრებ, რადგან ივანიშვილს არ ვიცნობ. უბრალოდ, გავრცელებული განცხადებებიდან გამომდინარე, დავიჯერე მისი გულწრფელობა და პათოსი.

**— მიმდინარე პროცესების პარალელურად, თითქმის სამი კვირაა საზოგადოება დუმს და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სეირს უყურებს. პროცესების განვითარებაში რამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ჩართვას?**

— რა უნდა ქნას საზოგადოებამ? ქუჩაში იმ შემთხვევაში გამოვლენ თუ დაუძახებენ.

**— ანუ ლიდერის პრობლემა გვაქვს?**

— დღეს ხალხის გამოსვლა არაა

**— შესაძლებელია პოლიტიკური მოძრაობა საზოგადოებრივ მოძრაობად გადაიქცეს?**

— მივესალმები ივანიშვილის ინიციატივას თუ ის მიიღებს საერთო სახალხო მოძრაობის სახეს. პროცესში, რაც უფრო ბევრი ადამიანი ჩაერთვება, მით უფრო მარტივად და უმტკივნეულოდ შეიცვლება მდგომარეობა.

**— რა აღელვებს და რა აინტერესებს ირაკლი ბათიაშვილს?**

— ჩვენი ქვეყნის ბედი. ავტორიტარული ხელისუფლების პირობებში ქართველი ხალხისთვის ყოველი დღე ტანჯვა-წამებაა, დღითი დღე უარესდება ეკონომიკური ვითარება და ა.შ.

**— სადამდე შეიძლება მივიდეს ეს სიტუაცია?**

— ეჭვი მეპარება, ხელისუფლებამ რაიმე კეთილგონივრული ნაბიჯი გადადგას და წავიდეს კომპრომისზე. პირიქით მათი მხრიდან აგრესიული ქმედებები დღითი დღე გაიზრდება. არ მგონია, ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა კვლავ დაუბრუნონ. მათი მიზანია, ბიზნესმენი არჩევნებამდე არ მიუშვან, იმ რეიტინგით, რაც დღეს ივანიშვილს აქვს, არჩევნებზე ყველაფერი თავდაყირა დადგება.

**— თუმცა „ენ-დი-აი"-ს კვლევებით, ნაცმოძრაობას მაღალი რეიტინგი აქვს?**

— „ენ-დი-აი"-ს კვლევებს ისევე ვენდობი, როგორც დიმა შაშკინის გამოკითხვებს ვენდობოდი, როცა რესპუბლიკური ინსტიტუტის შეფი იყო. ამიტომ, რეალობა განსხვავებულია და არა ისეთი, როგორისაც საერთაშორისო ორგანიზაცია გვიხატავს.

**— იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილს არ დაუბრუნეს მოქალაქეობა, როგორ წარმოგიდგენიათ მისი ბედი ქართულ პოლიტიკაში?**

— ვერაფერს გეტყვით, დღეს პროცესების ინიციატორი ბიძინა ივანიშვილია და ეს კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ პოლიტიკაში სრული სტაგნაცია გვექნებოდა, ამ ვითარებამ კი დაძრა სიტუაცია.

**— ბატონო ირაკლი, ივანიშვილი აპირებს შექმნას ახალი პოლიტიკური გუნდი, რამდენად შესაძლებელია ძველი სახეებით ამის მიღწევა?**

— მთავარია, პოლიტიკა აწარმოონ იმ ადამიანებმა, ვისაც შესაბამისი გამოცდილება აქვს. უკეთესია, როცა პროცესში ახალი სახე მონაწილეობს, ახალი გეგმებითა და სტრატეგიით. მოკავშირეები, ვისთანაც გადაწყვიტა და გადაწყვეტს ურთიერთობას ბიძინა ივანიშვილი — მისი არჩევანის საქმეა. ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ — ის სპონტანურად არ იღებს გადაწყვეტილებას და ყველაფერი კარგად აქვს გაანალიზებული.

ივანიშვილს შეუძლია ის აგრესია, რაც საზოგადოებას სააკაშვილის მისამართით აქვს, სათავისოდ გამოიყენოს, თუ ჭკვიანურად იმოქმედებს. რესურსებს რაც შეეხება, ამ ეტაპზე ფინანსურ რესურსზე მთავარი ნდობის რესურსია, რომელიც ხალხში გააჩნია ივანიშვილს, ბიძინა ივანიშვილმა ეს რესურსი თუ ბოლომდე ამოქაჩა და გამოიყენა, გამარჯვება გარდაუვალია.

**მირანდა ნაბახტეველი**

# nervebis TamaSi daiwyo, romelsac saakaSvili jerjerobiT pirwmindad agebs _ cnobilia, rom mas nervebi ar uvarga...

***„საერთო გაზეთს“ რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ესაუბრა. სხვათა შორის, ხიდაშელი არც საკუთარ პასუხისმგებლობაზე საუბარს მოერიდა და სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანაში საკუთარ წვლილზეც ისაუბრა:***

**— ქალბატონო თინა, თქვენი აზრით, რა ნიშნით დადო ფსონი ივანიშვილმა „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებზე“?**

— სამ კატეგორიაზე დაყრდნობით: დასავლური ღირებულებები, არჩევანი ლიბერალურ დემოკრატიაზე და არა რაიმე სხვა ტიპის დემოკრატიაზე. იმიტომ რომ, ბევრნაირი „დემოკრატიები“ შემოგვთავაზა სააკაშვილმა. მან მართული „დემოკრატიაც“ გამოიგონა:აი, თქვენ, დანარჩენებმა, არ იცით ქვეყანა როგორ გამართოთ, მე ვიცი მარტო და ერთადერთი ვარ, რომელიც ჭეშმარიტებას ვფლობ. ამიტომ, მე თვითონ უნდა ვიცეკვო, ვიმღერო და მუსიკაც თავად შევუკვეთოო- ზუსტად ასეთი დემოკრატია. ხოლო ბიძინა ივანიშვილის არჩევანი არის ლიბერალური დემოკრატია და მესამე-ზღვარი კონფორმიზმსა და წესიერ-პატიოსან პოლიტიკის კეთებას შორის.



**— ხელისუფლება ივანიშვილს უტევს: ჩამოართვა მოქალაქეობა, დაცვა განუიარაღა, საქმე დეპორტაციამდეა მისული. რამდენად მოსალოდნელია პატარკაციშვილის სცენარი განმეორდეს, ამ შემთხვევაში ფიზიკურ მოსპობას არ ვგულისხმობ, შესაძლოა, როგორც პოლიტიკოსი გაანეიტრალონ, ამის წინაპირობები ხომ უკვე აშკარაა?**

— ფაქტია, რომ ხელისუფლება პანიკაშია. შესაბამისად, როცა სააკაშვილი პანიკაშია შეცდომებს უშვებს, რაღაც სისულელეებს აკეთებს და ეს მოსალოდნელი იყო. პირადად, არ შევხვედრივარ ბატონ ბიძინას, მაგრამ ვინც შეხვდა, ისინი მეუბნებიან, რომ მზად იყო და მზად არის ასეთი გართულებებისთვის. რამე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც ანიჭებს. რაც შეეხება დეპორტაციას, ვერ გააკეთებენ. მიუხედავად იმისა, სააკაშვილის პირობებში რთულია რამეზე ვერ თქვა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან თუ ბიძინა ივანიშვილს დეპორტაციას გაუკეთებენ, როგორც დღესდღეობით საფრანგეთში მცხოვრებს, მაშინ საქართველოში მცხოვრებ, ზუსტად არ ვიცი რამდენია, ალბათ, ასეულობით და შესაძლოა მეტ შენგენის ქვეყნების მოქალაქეს პარალელურად უნდა გაუკეთონ დეპორტაცია, რადგან ზუსტად იმავე სტატუსით იმყოფებიან ქვეყანაში, როგორც ბიძინა ივანიშვილი. ეს უკვე იცით რა ტიპის აბსურდი იქნება? ჯერ მსგავსი არ ჩაუდენია მიხეილ სააკაშვილს. საკუთარ თავს აჯობებს მიხეილ სააკაშვილი ეს გადაწყვეტილება, რომ მიიღოს.

**— თუ რეპრესიები გაგრძელდა, მაშინ რას იზამენ ივანიშვილისგან მხარდაჭერილი პარტიები?**

— ბევრნაირი სქემაა. ამაზე წინდაწინ ვერაფერს ვიტყვი. თანაც, თუ პარტნიორულ რეჟიმში ხარ, მსგავს საკითხზე ხელაღებით და მარტოკა არ ლაპარაკობენ, ბუნებრივია. ეს ყველაფერი შეთანხმების ნაწილი უნდა იყოს.

**— თუ ივანიშვილის ირგვლივ დაიძაბება ვითარება, რამდენად მოსალოდნელია თქვენი პარტიის გარადიკალება, რადგან აქამდე მსგავი განწყობის პარტიად არ ითვლებოდით—**

— ჰო, მართალია, რადიკალები არ ვართ, მაგრამ 2007 წელიც არსებობს, სადაც ბოლოში ნამდვილად არ ვიყავით. გარადიკალებაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. თუმცა ჩვენს პარტიას ყველანაირი გამოცდილება აქვს, მათ შორის, ქუჩაში ყოფნისაც. ხოლო არჩევნების გზა ჩვენთვის პრიორიტეტული, რომ იყო ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლაში, ეს მუდმივად დასტურდებოდა. თუმცა იყო ვითარებები, როცა ხელისუფლება გამოსავალს არ ტოვებდა. ამიტომ ჩვენი გარადიკალება დიდ წილად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და მეორე მხრივ, იმ ადამიანების ნერვებზე, რომლებსაც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში უკვე ძნელია წონასწორობის შენარჩუნება მოსთხოვო და არ აჰყვე ხელისუფლებას უგუნურებაში.

**— ანუ, შესაძლოა ქვეყანაში ე.წ. ნერვების თამაშში ჩავერთოთ, ერთი მხრივ ხელისუფლება, ხოლო მეორე მხრივ ოპოზიცია და ზღვა ხალხი?—**

— დიახ, ნერვების თამაში, რომელსაც ჯერჯერობით სერიოზულად აგებს მიხეილ სააკაშვილი მან ბევრი შეცდომა დაუშვა. ამ დღეების წინ, ჯონ ბასის ვიზიტი პირადად ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში, ვფიქრობ, ძალიან ბევრი რამის მთქმელია.

ეს იყო გაფრთხილება, რომ ხელისუფლება ზღვარს არ გადავიდეს და პოლიტიკური ბრძოლა დარჩეს პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში და არ უნდა გადავიდეს ანგარიშსწორებაში, ქუჩური მეთოდებით ბრძოლაში, როცა-ხელი გადაგიწიე, ბევრი ვარ და გაჯობე-მეთოდები მუშაობს.—

**— ალბათ, ლოგიკას არ უნდა იყოს მოკლებული შემდეგი ვარაუდი: შესაძლოა, „რესპუბლიკელებს“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ ეს გამორჩეული ხვედრი ძვირად დაგიჯდეთ, რადგან კოლეგა-ოპოზიციონერების რისხვა დაგატყდეთ თავს?—**

— საქართველოში არსაწორი წარმოდგენები არსებობს ოპოზიციის ერთობის შესახებ. აი, მაგალითად, ქუჩაში ხალხი, რომ გავაჩეროთ, 10-დან 9 გვეტყვის, რომ ვარდების რევოლუციის დროს ოპოზიცია იყო ერთიანი. სინამდვილეში ეს არის ტყუილი. ნაციონალური მოძრაობა სულ სამი პარტიის ერთობა იყო: „ნაციონალური მოძრაობა“, „რესპუბლიკელები“ და „დღევანდელი კონსერვატორები“, მაშინ სხვა სახელი ერქვათ. ხოლო ცალკე იყრიდნენ კენჭს „ახალი მემარჯვენეები და მრეწველები“, „ლეიბორისტები“, „ბურჯანაძე-დემოკრატები“-ანუ, ჟვანია და ბურჯანაძე და კიდევ უამრავი სხვა. ზუსტად იგივე ვითარებაა 2007 წელსაც, თუმცა მაშინ გაცილებით მეტი პარტია იყო კოოლიციაში. ოღონდ, მაშინაც ცალკე იყვნენ იმ მომენტისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშეების ნაწილი. ამიტომ არასოდეს ყოფილა საქართველოს ისტორიაში, მით უფრო, იმ 90-იან წლებში ერთობა. აქედან გამომდინარე, რიცხოვნებაზე მთავარია, გააჩინო ალტერნატივის განცდა. როცა „ალიანსი“ გამოჩნდა, მაშინ ეს განცდა იყო. თუმცა „ალიანსმა“ ყველაფერი „გააკეთა“, რომ ეს განცდა დაკარგულიყო. ახლა ისევ მთავარია, ლეგიტიმაციის რა ხარისხი გვექნება, ხოლო მეორე მხრივ, რა ხარისხის და კატეგორიის იმედი დაუკავშირდება, იმ ერთობას, რომელიც საბოლოო ჯამში გამოცხადდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, დანარჩენი პარტიები თამაშგარედ დარჩეს.

**— ზუსტად სააკაშვილის პირობებში იყო საუბარი ხელისუფლებასთან გარიგებულ პარტიებზე...იყო შავი ფიარის ნიაღვარი... აქედან გამომდინარე,თუ რა ვითარება შეიქმნება ოპოზიციურ სპექტრში ეს კითხვა აქტუალური უნდა იყოს...**

— არა, ეს კითხვა უდაოდ აქტუალურია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. აქ უბრალოდ საუბარია იმაზე, რომ ყველამ ერთად „ვიმღეროთ“ და ასე ხომ არ გამოვა? მრავალხმიანი კი არის, ეს ქართული სიმღერა, თუმცა ამ მრავალხმიანობაშიც ერთიანი ძარღვია ყოველთვის. თუმცა თანამშრომლობის წინააღმდეგი ჯანსაღი პოლიტიკური ძალები ვერ იქნებიან, პირიქით, მხოლოდ ერთიანი ფრონტით იქნება შესაძლებელი ამ ხელისუფლების დამარცხება. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილს „რესპუბლიკელებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ გარდა, სხვა პარტიებთანაც ჰქონდა შეხვედრა, ეს ასეც უნდა იყოს, სათანამშრომლო ფორმატი აუცილებელია. მით უფრო, თუ მოტივაცია საერთოა- დავამარცხოთ არსებული რეჟიმი. ხოლო თუ ვინმე ტორტის უფრო დიდი ნაჭერის მიღებაზე დაიწყებს ზრუნვას, მაშინ ამ ბრძოლიდან ავტომატურად გარიყული აღმოჩნდება.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ლაშა ნაცვლიშვილი:**

7 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ გააწონასწორა და ბალანსი აღადგინა პოლიტიკურ სივრცეში. ანუ ნორმაში დაბრუნდა საქართველო. 7 ოქტომბრამდე საქართველო არის სულ სხვა საქართველო, სხვა თამაშის წესებით და მოედნით, სხვა მოლოდინებით და პროგნოზებით. 7 ოქტომბრის მერე ეს სრულიად შეიცვალა. და ეს არის ცალსახად დადებითი მოვლენა, რამეთუ ანომალიას ყოველთვის ჯობია ნორმა. მით უფრო იმ მატერიუალური



თუ არამატერიალური კაპიტალით ხელდამშვენებული ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა, ეს ფაქტი აღმოჩნდა ძალიან სერიოზული ინდიკაციის მატარებელი. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის და ბალანსის აღდგენის შემდეგ ყველაფერი გაშიშვლდა და ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, რომ ამ მღვრიე წყალში, ფსევდოპატრიოტული რიტორიკით თუ ნეოლიბერალური ბოდვებით შეფარულ მიზნებს იქით, იმალება ძალიამ მარტივი რამ — ვის აწყობს 7 ოქტომბრალდელი ძალთა ბალანსი, ვინ სარგებლობს ნაცმოძრაობის გარდა ამ მონოპოლიზაციით და ვინ ეძებს დივიდენდს ამ დისბალანსისგან და მეორეს მხრივ - ვის სურს იყოს ბალანსი, ჯანსაღი კონკურენცია და ნორმალური გარემო. ბიძინა ივანიშვილმა ფაქტიურად პოლიტიკური სანიტრის როლი შეასრულა, რადგან პოლიტიკური პარაზიტები, რომლებზეც ჩვენ გვქონდა ეჭვი, რომ იკვებობეოდნენ ნაცმოძრაობიდან, გაცხადდა.

სახელისუფლებო პროპაგანდა ძალიან ცდილობს ბიძინა ივანიშვილის ჩამოლაბორანტებას მილიარდერამდე. ივანიშვილი ამ საარჩევნო გარემოს განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია და მისი განხილვა როგორც მხოლოდ 9 ნულიანი კაპიტალის მქონე ბიზნესმენისა, ისეთივე პრიმიტიული იქნება, როგორც შანელი №5 რომ დავიყვანოთ შუშის ბოთლში ჩასხმულ სურნელოვან სითხემდე, მაშინ როცა ის არის ლეგენდა კოკო შანელზე, პარიზზე. ივანიშვილი თავად არის განმსაზღვრელი, გამწონასწორებელი და იმედის მომცემი და მისი ნულები მხოლოდ უკანსკნელი ამბავია. მის მაგივრად ლაპარაკობს სამება, კულტურისა და სპორტის ხელისუფლებისაგან გარიყული მოღვაწეები, ხელნაწერების გადარჩენილი ინსტიტუტი, მის მაგივრად ლაპარაკობს მისი წარმატება. იგი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი ფული; ივანიშვილი თავად არის ვალუტა!

ყველაზე მეტად მისი ინტერვიუდან დამრჩა ის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს რევანშს. მე პირადად ორ პოლიტიკურ რევანშს მოვესწარი დამოუკიდებელ საქართველოში და რაც არ უნდა გამწარებული უნდა ვიყოთ დღევანდელ პოლიტიკურ კლასზე, შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ. რადგან სამართლიანობის აღდგენის გამძაფრებული გრძნობა გადასული ანგარიშსწორების ვნებაში, ეს ისეთი ჯინია ბოთლიდან გამოშვებული, ვერავინ და ვერასდროს ვერ დააკავებს. მე ვხედავ პასუხისმგებლობით სავსე კაცს, რომელიც ამბობს, ჩვენ მივუტევოთ, ჩვენ ვაპატიოთ, ჩვენ დავ, მთავროთ ეს სერია, რადგან ვერ დავიცავთ ზღვარს ამ ვნებას რომ მივეცეთ. სადღაც აუცილებლათ გადავალთ ამ ზღვარს და როგორც ჩვენი შვილები უყურებდნენ როგორ ექცეოდნენ მათ მშობლებს, მათმა შვილებმა იგივე არ უნდა ნახონ. რადგან მათ თვალებში ჩაბუდებული აგრესია ჩვენს შვილებს არ დახვდეთ ოცი წლის მერე. ამიტომ ჩვენს თაობაში უნდა დამთავრდეს ეს. და ჩემთვის, როგორც მამისთვის, შვილისთვის, მოქალაქისთვის, ეს არის უკიდურესად მნიშვნელოვანი პოსტულატი, რომელიც ამ წუთას ერთერთი განმსაზღვრელია ივანიშვილის პიროვნების.

ალბათ მისი არჩევანი რესპუბლიკელებსა და ირაკლი ალასანიაზე აქდანაც არის განპირობებული, რადგან ამ ხალხს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ შეიძლება ლეგალურ სივრცეში არჩევნებით ცვლილების მიღწევა. თუმცა ამ არჩევანით ირაკლი ალასანიას ამით პასუხისმგებლობის ტვირთი გაუსმაგდა.

ხელისუფლებამ, რომელსაც ჰქონდა სასტარტო პირობები 7 ოქტომბრამდე, ყველა რესურსი გაილო, ყველაფერი გადაიხადა, იკადრა, სისხლიც კი დაღვარა, რომ აქამდე მისულიყო. დღეს კი მიხეილ სააკაშვილმა იცის, რომ შანსი არა აქვს ლეგალურ თამაშის წესებში, კონკურენტულ გარემოში წარმატების მიღწევის. ის როგორც ძალიან საშიში, აქტიური და სენსიტიური პოლიტიკური ფორვარდი ზუსტად გრძნობს მომენტს. მან იცის, რომ უნდა მოახერხოს და განაგდოს ქართული პოლიტსივრციდან ბიძინა ივანიშვილი. ალბათ გინახავთ კრივის რინგზე, სუსტი მოკრივე როგორ ცდილობს შეაგინოს ან შეაფურთხოს ძლიერ მოწინააღმდეგეს გონგის დაკვრამდე, რათა ჩაშალოს მატჩი. საააკაშვილი ველარ განაგდებს ივანიშვილს პოლიტიკური სივრციდან, სამოქალაქო რეესტრის როგორი ქაღალდებიც არ უნდა აფრიალოს.

მინდა მივმართო ქართველ უფლებადამცველებსა და პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებს, ის რასაც სააკაშვილი დღეს ახორციელებს, არის უფლებებში დაქვეითება სოციალური და ქონებრივი ცენზის მიხედვით. ეს არის სეგრეგაცია. ჩვენ დღეს ამ ძირძველ ევროპაში ვართ მომსწრე აპარტეიდის აქტისა. დღეს გეტყვიან, რომ არ ხარ მოქალაქე, ხვალ გეტყვიან რომ არ ხარ ადამიანი, და ზეგ ამას პირდაპირ მოჰყვება დაჰაუ და აუშვიცი. ყური გამოიფხიკოს ყველა, რობერტ სტურუას გამონათქვამებში ქსენოფობიის მაძებარმა უფლებადამცველმა, აქ და დღეს, საქართველოში ხორციელდება ფაშიზმის აქტი. და ამას სჭირდება ადეკვატური შეფასება. ეს არის პოლიტიკური ნაბუშრობის აქტი.

teleNEWS teleNEWS teleNEWS

გვესაუბრება ფილოსოფოსი
**ზაზა შათირიშვილი:**

**— ბატონო ზაზა, რამდენად შეძლებს ბიძინა ივანიშვილი წარმატებით გააგრძელოს მოღვაწეობა?**

— ვფიქრობ, არც „ქართუ“ ბანკის ანგარიშების გაყინვა და არც ფონდის საქმიანობის შეჩერება პრობლემას არ წარმოადგენს. ჯერ ერთი მთელს მის კაპიტალთან შედარებით, ეს ზღვაში წვეთია და მეორეც, იურიდიული თვალსაზრისით მოქალაქეობის არმქონე პირს შეუძლია ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია დააფუძნოს და დააფინანსოს. რაც შეეხება იმას, რომ ქველმოქმედება არ ხორციელდება, ეს აღშფოთებას გამოიწვევს სწორედ ხელისუფლების და არა ბიძინა ივანიშვილის მისამართით. ანუ აღშფოთების ობიექტი ამის გამო იქნება ხელისუფლება და არა ივანიშვილი, რაც ამ უკანასკნელის წისქვილზე ასხამს წყალს. ჩემი აზრით, ივანიშვილი, ჯერჯერობით, წაუგებელ თამაშს თამაშობს.

**— დავუშვათ, ხალხს მართლაც აწყობს არჩევნები, მაგრამ სანამ არჩევნებში ივანიშვილის წარმატებაზე ვისაუბრებთ, უნდა დავსვათ კითხვა — მიაღწევინებს კი ხელისუფლება ივანიშვილს არჩევნებამდე და კიდევ ერთი, სად არის გარანტია, რომ ხელისუფლების მიერ ჩატარებულ არჩევნებში ივანიშვილი გაიმარჯვებს?**

— იცით რა, ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — თუ არჩევნებამდე მივიდა საქმე, ანუ თუ არჩევნები ჩატარდა ხელისუფლება ვერ მოიპოვებს კვალიფიციურ უმრავლესობას, ამდენი გაყალბება, უბრალოდ, შეუძლებელია წმინდა ტექნოლოგიურად, მაქსიმუმ გაყალბდეს 22-23 პროცენტი. 50-50-ზე ეს არის პრობლემური პარლამენტი, რომელიც ვერ ირჩევს სასურველ პრემიერ-მინისტრს — ეს არის კრიზისული პარლამენტი და თუ თავიდან დაინიშნა არჩევნები, ლოგიკურად, ხელისუფლების შანსები კიდევ უფრო მეტად მცირდება. მაგრამ მთავარი შეკითხვა, რომელიც თქვენ დასვით, სწორედ ეს არის — მივალთ თუ არა არჩევნებამდე? რა მოხდება ამ ერთი წლის განმავლობაში? იმიტომ, რომ ისეთი რადიკალიზაცია მიდის ხელისუფლების მხრიდან, ჩნდება ეჭვი, თუ რამდენად შესაძლებელია არჩევნებამდე მისვლა. ეს უკვე ძალიან სერიოზული საკითხია, რაშიც პროგნოზი უმადური საქმეა. ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია — თუ არჩევნები ჩატარდა, დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება ერთპარტიული პარლამენტი.



**ექსცენტრული ოლიგარქი სინამდვილეში არის არა ბიძინა ივანიშვილი, არამედ მიხეილ სააკაშვილი იმიტომ, რომ იგი ექსცენტრულიც არის და ოლიგარქიც. ბიძინა ივანიშვილი არის ბიზნესმენი. ოლიგარქი არის მიხეილ სააკაშვილი, თავად მისი რეჟიმი ოლიგარქიულია.**

# სინამდვილეში, ღვთის ნებაა ის, რასაც ადამიანები ლოგიკით ვერ ხსნიან და ამის გამო შემთხვევითობას ეძახიან. სწორედ ასეთი „შემთხვევითობაა“ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა პოლიტიკაში

**— ხელისუფლებაში მოსვლამდე საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი, როგორ წარმოგიდგენიათ ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებამდე მისვლა?**

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემთხვევითობის ფაქტორს. როგორც წესი, ხდება შემთხვევითობის გამორიცხვა, რაღაცამდე დაყვანა. ან არსებობს გარკვეული შეთანხმება, ან შეთქმულება, რაც ძალიან დამახასიათებელია ხელისუფლებისთვის, თუმცა არც ოპოზიციის გარკვეული ნაწილისთვის და საზოგადოებისთვისაა ეს უცხო. საერთოდ, თანამედროვე ადამიანი ბოლო ორი საუკუნეა ძალიან ხშირად აზროვნებს შეთქმულების თეორიით, რომელმაც რეალურად ჩაანაცვლა მეტაფიზიკა. შეთქმულების თეორია იმ როლს ასრულებს, რაც მეტაფიზიკაში ღმერთია. გეტყვით, როგორ აღვწერდი მე ამ დაპირისპირებას — სინამდვილეში ერთმანეთს უპირისპირდბა არც პრორუსული და არც პრო-დასავლური პოლუსი, არამედ კონფორმიზმი და ნონკონფორმიზმი. ამავე, დროს თავს იჩენს ძალზედ საინტერესო სისტემური დაპირისპირდება. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ოლიგარქიული სისტემაა, სადაც ბიზნესი და ხელისუფლება ერთი და იგივეა, ეს პარადოქსია.



რა არის ეს? — ძალიან საინტერესო ექსპერტმა, პოლიტოლოგმა და ფილოსოფოსმა გიორგი მარგველაშვილმა ამას დემოკრატიული ფრონტი უწოდა. რაღაც კუთხით ეს ასეა ერთ მხარეზეა ოლიგარქიული სისტემა, სადაც ბიზნესი და ხელისუფლება, ანუ ფული და ძალაუფლება ერთი და იგივეა, მეორე მხარეზეა — დემოკრატიული სისტემა, რომელიც ერთი მეორისგან ანცალკევებს ძალაუფლებას და ფულს და ძალუფლებაში მასების ჩართულობაზე საუბრობს. ამ მხრივ, მეორე მხარე ძალიან რეპრეზენტაციულია, ყველანაირი ფენისთვის მოიძებნება ადგილი ივანიშვილთან. ეს ორი სისტემა უპირისპირდება სწორედ ერთმანეთს. თუ დემოკრატიული სისტემა გაიმარჯვებს, ცხადია ოლიგარქიული სისტემა შეიცვლება. მაგრამ თუ ოლიგარქიული სისტემა გაიმარჯვებს, 30-40 წელი მოგვიწევს მოცდა. ეს არ არის დაპირისპირება ორ პარტიას, არამედ ორ სისტემას, ორ პარადიგმას შორის. აქვე უნდა აღვნიშნო, საქართველოში არ იციან რა არის ოლიგარქი, მას უბრალოდ მდიდარ ადამიანს ეძახიან. ამ დროს კლასიკური განმარტებით, რომელიც პლატონიდან იწყება ოლიგარქიული ისეთ მმართველობას ეწოდება, სადაც ძალუფლებას მდიდარი ადამიანები ფლობენ, ანუ როცა ბიზნესი არის ძალაუფლება. პლატონი მმართველობის 5 მოდელს გამოჰყოფს. ეს არის არისტოკრატიული მოდელი ანუ საუკეთესოთა მმართველობა; ტიმოკრატია, როდესაც პატივცემული ადამიანები მართავენ; ოლიგარქია არის, როცა ფული მართავს; დემოკრატია, როდესაც ხალხის ფართი ფენები მართავს და ტირანია, როდესაც ერთი ადამიანი მართავს. რეალურად ამ სურათს ვუყურებთ უკვე 25 საუკუნის მანძილზე.

**— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენისთანავე საზოგადოებამ ბადრი პატარკაციშვილთან პარალელების გავლება დაიწყო.**

— საქმე ის გახლავთ, რომ ბადრი პატარკაციშვილისა და ბიძინა ივანიშვილის შედარება თითქმის შეუძლებელია. მათ აერთიანებთ მხოლოდ ის, რომ ორივე ბიზნესმენია, აქ მთავრდება სხვა ანალოგიები. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს „შექმნას“ ბადრი პატარკაციშვილი, მაგრამ ბადრი წავიდა გამწვავებაზე, იყო გამოსვლები, ივანიშვილი კი აბსოლუტურად საპირისპიროდ იქცევა. ივანიშვილი იქცევა, როგორც გაწონასწორებული ბრძენი ხელისუფლება, რომელიც დიდი ხანია მართავს ქვეყანას. სინამდვილეში, გეგონება, რომ 8 წელია ივანიშვილი მართავს და არა ხელისუფლება. თანაც ამ ორ ბიზნესმენს შორის შედარება არ შეიძლება, არც მათ ფინანსებს, კაპიტალს შორის. ამ მხრივ ივანიშვილი მთელი იმპერიაა. ეს შეიძლება შევადაროთ მოქალაქე კეინს უელსის კლასიკური ფილმიდან „მოქალაქე კეინი“.

**საქართველოსთვის ბიძინა ივანიშვილი იგივეა რაც როკფელერი, ფორდი და ქეითსი ერთად აღებული.**

მესამე მომენტი, ეს არის სახელი და ავტორიტეტი. დღეს, საქართველოში არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ისეთი ავტორიტეტი ექნება, როგორც ბიძინა ივანიშვილს. ეს მოხდა 15-წლიანი ქველმოქმედების ხარჯზე. მას გაუჩნდა განცდა, რომ დაანგრია ყველაფერი, რასაც აქამდე აკეთებდა და ანგარებიანი ნაბიჯი გადადგა. ამას ვუწოდებ მორალურ პოლიტიკოსს. მორალური არის არა უცოდველი არამედ პოლიტიკოსი, რომელსაც სინდისის ქენჯნა აქვს და საკუთარ თავს ხედავს. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში ასეთ მორალურ პოლიტიკოსს ვერ ვხედავ. მსგავსი ტიპის მორალური პოლიტიკოსი, ჩემი აზრით, ირაკლი ალასანიაა, რომელიც ასევე ხედავს საკუთარ თავს, საკუთარ შეცდომებს. ხელისუფლებას კი ჰგონია, რომ იგია ერთადერთი ჭეშმარიტება და არა არს ღმერთი თვინიერ მისი, ალაჰი, გარდა მიხეილ სააკაშვილისა და მოციქული მისი თამარ ჩერგოლეიშვილი. ასე, რომ ვუბრუნდები თქვენი კითხვის მთავარ არსს, ბადრისა და ბიძინას შორის არის პრინციპული განსხვავება. მეორე მომენტია დიპლომატიური კორპუსის მისვლა და ამერიკის ელჩის განცხადება. წარმოვიდგინოთ 2008 წელი, როდესაც ლევან გაჩეჩილაძე აპოგეაში იყო, თბილისში

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სააკაშვილი დაამარცხა, მას ოფისში ჩვენთან აკრედიტირებული საელჩოების წარმომადგენლები რომ დაეპატიჟებინა, ვინ მივიდოდა? ბასის განცხადება — საჭიროა კონკურენცია, ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა კონკურენტული გარემოს შექმნაა, ეს უპრეცენდენტოა, რაც როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, 2003 წლის შემდეგ ამერიკის ელჩიდან არ გაკეთებულა. განსხვავება შემდეგშია — თუ მაშინ საჭირო გახდა რევოლუცია, ახლა არის სიტუაცია, როცა ლიდერი აცხადებს — რევოლუცია არ მჭირდება, არამედ არჩევნები.

**— როგორ შეიძლება ბიძინა ივანიშვილი ჩამოაშორონ ამ პროცესს?** — ამის ერადერთი გზა არსებობს, რომლის ხმამაღლა გამეორებაც არ მინდა, ყველანი კარგად ვხვდებით რასაც ვგულისხმობ. არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი, დარწმუნებული ვარ ამ პერიოდში ხელისუფლება არ მოგვაწყენს. მეორეც — რეალური, სიღრმისეული ანალოგია — ეს არის კომუნისტები, გამსახურდია. 90-იან წლებში კომუნისტური პიარი გამსახურდიაზე მუშაობდა. დღეს, ბიძინა ივანიშვილს საკუთარი თავის პიარი არ სჭირდება. მისი რეალური პიარი არის ხელისუფლება. ხელისუფლების მიერ ივანიშვილისადმი ყველა აგორებული საქმე ემსახურება ბიძინას დიდებას. ყველამ კარგად ვიცით რა შეიძლება მოიმოქმედოს ხელისუფლებამ — უნდა „შეტენონ“ გადატრიალება, მაგრამ ამის მოხერხება ძალიან რთულია — გამოსვლები, აქციები არ არის. მაშინ უნდა შევიდნენ ივანიშვილთან და იარალი დაუდონ — ესეც საკმაოდ რთულია. მესამე ვარიანტი ასეთია — მოაწყონ შეთქმულება, რაც ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული არამარტო ფინანსურთან, არამედ სერიოზულ სისტემურ მუშაობასთან. ამას სტალინი აკეთებდა, მას ჰქონდა სისტემური მუშაობის ძალა. მცდელობები იქნება, მაგრამ ივანიშვილთან გაუჭირდებათ იმიტომ, რომ ვითარება დღეს სხვანაირია. ივანიშვილის 5 მილიარდი მხოლოდ 5 მილიარდი არ არის, ეს, პირველ რიგში, მორალური ავტორიტეტია. მას შეეძლო ეს თანხა 15 წლის მანძილზე სხვაგვარად დაეხარჯა, მაგრამ ასე არ მოიქცა. იგი არის მდიდარი, რომელიც გაძვრა ნემსის ყუნწში. იგი არის ის იდეალური მდიდარი, რომელიც კეთილი სამარიტელია. შეუძლებელი არაფერია, ხელსიუფლებიდან ყველაფერია მოსალოდნელი მაგრამ ღვთის ნებაც ხომ არსებობს. ღვთის ნება არის სწორედ ის, რასაც ადამიანი, როგორც შემთხვევითობას ისე აღიქვამს. სისტემური არის ადამიანური, მაგრამ ღვთის ნება არის ის, რისი ახსნაც ადამიანს არ შეუძლია. სწორედ ასეთი შემთხვევითობაა ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა პოლიტიკაში, რომლის უკანაც იმ წუთში ხედავენ გარიგებას. არის ისტორიაში მომენტები, რომელსაც ვერ ხსნი. ვთქვათ, რატომ შემოვიდა წმინდა ნინო — იმიტომ, რომ ასეთი იყო ღვთის ნება. რატომ დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“, რატომ დაწერა გალაკტიონმა „ლურჯა ცხენები“, რატომ მოხდა ის, რომ საქართველოში განხორციელდა ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადამიანები, ხშირად ყველაფერს სისტემურად ვხსნით. სადაც არის სისტემა იქ სიკვდილია იმიტომ, რომ ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული. სიცოცხლე ყოველთვის მოულოდნელია და ღმერთი არის სწორედ ის, რომელიც იძლევა სიცოცხლის სურვილს. აქედან გამომდინარე, ღმერთი არის იქ, სადაც არის თავისუფლება, არჩევანი, სიცოცხლე, შემთხვევითობა.

**— თქვენ ახლა ბიძინა ივანიშვილის ახდენილი „ამერიკული ოცნება“ ახსენეთ, ჩვენ კი იგი „ქართული ოცნების“ ახდენას გვპირდება. მაგრამ რამდენად არის საზოგადოების ოცნება თუნდაც „რესპუბლიკელების“ პარლამენტში შესვლა?**

— მინდა დაგამშვიდო როგორც კი „რესპუბლიკელები“ პარლამენტში მოხვდებიან მაშინვე ოპოზიციაში გადავლენ. ასე, რომ ბიძინა ივანიშვილი ვერ მოასწრებს საკუთარი თავის ოპოზიციაში გადასვლას, პირველად იქ „რესპუბლიკელები“ იქნებიან. თავად ბიძინა ივანიშვილი არის მთელი საქართველოს რეპრეზენტაცია, თავად წარმოადგენს მთელს საქართველოს თავისი დაბადებით, აღზრდით, ცხოვრებით. წარმოადგენს სოფელსაც, ქალაქსაც, ინტელიგენციასაც და ა.შ.

ბიძინას აქვს მორალური ავტორიტეტი. არსებობს მატერიალური და მორალური კაპიტალი. მორალური კაპიტალი ყველა ადამიანმა შეიძლება დააგროვოს ყოველგვარი ფულის გარეშე. მაგალითად, ყველაზე დიდი მორალური კაპიტალი აქვთ წმინდანებს, რომელთაც ფული არ აქვთ. მაგალითად ნელსონ მანდელა — მისი 25 წელი ციხეში ყოფნა და იქედან გამოსვლა — ციხიდან. ეს იყო მორალური კაპიტალი. გამსახურდია რატომ იყო პრობლემური ფიგურა? — იმიტომ, რომ მან დაკარგა ეს მორალური კაპიტალი, როდესაც მოინანია, როგორც დისიდენტმა, მაგრამ შემდეგ, მისი ტრაგიკული დაღუპვით, სიკვდილის მერე მან შეიქმნა მორალური კაპიტალი. ეს არის ტრაგიკული მორალური კაპიტალი, მაგრამ არსებობს წმინდანის მორალური კაპიტალი, როგორც აქვს გრიგოლ ხანძთელს, მაქსიმილიან მარია კოლბეს, ედიტ შტაინს, დედა ტერეზა კალკუტელს. საქართველოშიც კი არსებობს ასეთი გამოთქმა — მე დედა ტერეზა კი არ ვარ. რას ნიშნავს ეს? — ისინიც კი, ვინც ფიქრობენ, რომ კათოლიკები სატანისტები არიან, ცოცხალ მეტყველებაში ამბობენ — დედა ტერეზა კი არ ვარო. ანუ ხდება მისი მორალური ავტორიტეტის აღიარება.

**— ბიძინა ივანიშვილს როგორი კაპიტალი აქვს?**

— ივანიშვილსაც აქვს ასეთი მორალური კაპიტალი, რა თქმა უნდა— ეს არ არის არც წმინდანის და არც ტრაგიკული მორალური კაპიტალი. ეს არის გარკვეული ტიპის მორალური კაპიტალი, რომელიც კეთილი საქმეებით არის დაგროვებული. „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენ“ — ეს ასეცაა ბიძინას შემთხვევაში. მისი ტრაგედია არის იმიტომ, რომ

**როდესაც პოლიტიკაში გადადიხარ — ეს ანგარებაა. ამდენი რამე დააგროვე და მერე გადაიტანე ეს კაპიტალი. სწორედ იმიტომ, რომ მას აქვს ცოდვის, დანაშაულის განცდა, ეს აქცევს მას მორალურ პოლიტიკოსად.**

მორალური პოლიტიკოსი არ ნიშნავს უცოდველს. მორალური პოლიტიკოსი არის ვისაც აქვს მტანჯველი განცდა საკუთარი არასრულყოფილების, რაც ჰქონდა განდის, ალექსანდრე II-ს და .შ. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი არ არის მორალური პოლიტიკოსი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ამორალური პოლიტიკოსია. იგი არის სხვა ტიპის, ბედის პოლიტიკოსი. ბედი არის როგორც კამათელი — დღეს ასეა, ხვალ ისე, ბედისწერის, ავანტიურის პოლიტიკოსია სააკაშვილი.

**— ივანიშვილის ფინანსურ კაპიტალზეც მინდა გკითხოთ. ბევრი მის 5 მილიარდს ხელისუფლებასთან ბრძოლაში გამარჯვების საწინდრად მიიჩნევს. მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით რამდენი მილიარდი აქვს ხელისუფლებას, იქნებ მიშას კაპიტალი უფრო მეტია? რამდენად სწორია კაპიტალის გამარჯვებაზე აპელირება?**

— ივანიშვილის 5 მილიარდი ლეგალურია. სააკაშვილს კი რამდენიც არ უნდა ჰქონდეს — ეს არ არის ლეგალური, ანუ ეს არის ოლიგარქიული ფული — ეს არის განსხვავება.

ხელისუფლება, რეალურად, დღეს მდევნელის როლშია. ანუ, ივანიშვილს აქვს ფორა. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებას უწევს ინიციატივის გამოჩენა. ივანიშვილს ერთი რამ ევალება — ყველა მისი პასუხი ღირსეული იყოს. მაგალითისთვის,

**მას მარჯვენაში რომ გაარტყან, მან ღირსეულად უნდა უპასუხოს — ასე არ იქცევიან გენერლები, ასე სერჟანტები იქცევიან. მთავარი ღირსებაა. იგი დააყაჩაღეს, ფული არ დაუბრუნეს, ივანიშვილმა განაცხადა — ჩვენ დაგვრჩა სულ რაღაც 5 მილიარდიო — ეს არის ღირსეული პასუხი.**

რომ ეთქვა — მომეცით ჩემი ფული — ეს იქნებოდა ისტერიკა. ხელისუფლება იქცევა როგორც ჩაცუცქული ქუჩის ბიჭი.

**— ბატონო ზაზა, საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა პრობლემას არ წარმოადგენს...**

— დიახ, მართალია მას პარტიის შექმნა არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაფუძნება, დაფინანსება. მაგალითად, იგი თავის „ფეისად“ აქცევს ირაკლი ალასანიას. მას პროპაგანდა არ შეუძლია, თუმცა შეუძლია თქვას, მეგობრებო, მე ვდგავარ ალასანიას გვერდით. დეპორტაციაც კი არ არის პრობლემა. წელან თქვენ დიდი გამარჯვება ახსენეთ და ამაზეც გიპასუხებთ. საერთოდ არჩევნების მოგება ხდება არჩევნებამდე.

**თამარ შველიძე**





# advokatebi gisosebs miRma

***2004 წლიდან დღემდე 122 ადვოკატია გისოსებს მიღმა გამომწყვდეული. ეს მაშინ, როცა ლუკაშენკოს ბელარუსში სულ 4 პატიმარი ადვოკატია, ხოლო ჩვენს მეზობელ სომხეთში, რომელსაც ხშირად უკიჟინებენ არადემოკრატიულობას 5 წლის განმავლობაში 16 ადვოკატია დაჭერილი. ამ უკანონობასთან ბრძოლის მიზნით ადვოკატთა ასოციაციაში სისხლის სამართლის კომიტეტი და ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია შეიქმნა. გვესაუბრება აღნიშნული კომიტეტისა და კომისიის წევრი, ადვოკატი გიორგი თევზაძე.***

—,,უამრავი საქმეა განსახილველად შემოსული, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ერთ-ერთი მათგანია ადვოკატ ტარიელ მურმანიშვილის საქმე, რომელიც მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს ადამიანი ფაქტობრივად, იმისთვისაა დაჭერილი, რომ კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი მოვალეობა, მითუმეტეს, რომ თავის კლიენტს საქმე მოაგებინა. მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მილიონნახევრიანი სარგებელი ნახა და მადლობის მაგიერ ადვოკატს უჩივლა. მურმანიშვილი სოდ-მა 2011 წლის 9 სექტემბერს ჯერ მოწმედ დაკითხა, თუმცა იმავე დღეს დააკავა. მას თაღლითობის ბრალდება აქვს წაყენებული და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**— მისი თაღლითობა რაში გამოიხატება?**

— ოფიციალური ვერსიით, გამოძიების დაწყების საფუძველი ბელგიის მოქალაქის ანა ბალამწარაშვილის განცხადება გახდა. როგორც ეს ქალბატონი თავის განცხადებაში აღნიშნავს, მან და თავისმა მარწმუნებელმა ასევე ბელგიის მოქალაქე ემილ რენიერსმა 2007 წელს გადაწყვიტეს საქართველოში ინვესტიციები განეხორციელებინათ. კერძოდ, მათ სურდათ ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიის მოპოვება. იმავე წლის მაისის დასაწყისში რენიერსმა ტენდერში მიიღო მონაწილეობა, გაიმარჯვა და 2.700.000 ლარის ღირებულების ტყის რეწვის ლიცენზია მოიპოვა. მილიონნახევარი თვითონ გადაიხადა, დარჩენილი თანხისთვის კი საქართველოში დაიწყო პარტნიორის ძებნა. იგი დაუკავშირდა ვინმე ზურაბ ადამიას და მათ შორის მოხდა შეთანხმება, რომ 1.200.000 ლარის გადახდის სანაცვლოდ ადამია რენიერსის პარტნიორი და ამ ბიზნესში 49%-იანი წილის მფლობელი გახდებოდა. მათ დააფუძნეს შპს ,,თისელი", რომლის რწმუნებულიც გახდა ზურაბ ადამიას შვილი. ადამიამ ვალდებულება არ შეასრულა, ანუ ეს თანხა არ გადაუხადა რენიერსს. დარჩენილი თანხის გადაუხდელობის გამო საქართველოს მთავრობამ 2008 წლის ოქტომბერში რენიერსს ხსენებული ლიცენზია გაუუქმა.

ბალამწარაშვილმა მისივე განმარტებით, პრობლემა რომ მოეგვარებინა, კონსულტაციისთვის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრ რომანოზ ბჟალავას (*ბჟალავა აბაშის მაჟორიტარი დეპუტატია, რომელმაც მანამდე თავისი ყოფილი სიძე, საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე მელორ ვაჩნაძეც თაღლითობისთვის დააჭერინა — მ.ს.*) მიმართა, რომელმაც მას ურჩია ეკონომიკის მინისტრ ვერა ქობალიას შეხვედროდა. ამ შეხვედრის შემდეგ ქალბატონმა მინისტრმა საკუთარი ინიციატივით გასული წლის სექტემბერში ემილ რენიერსს ლიცენზია აღუდგინა. ბალამწარაშვილმა ბჟალავასგანვე გაიცნო ვინმე კახა კახაძე, რომელმაც მას ურჩია ადვოკატად **ტარიელ მურმანიშვილი** აეყვანა. ბალამწარაშვილი იმ პერიოდში ორი სტატუსით მოქმედებდა, როგორც რეინერსის წარმომადგენელი და საქართველოში დაფუძნებული შპს ,,თისელი +"-ის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი. მურმანიშვილი ამ შპს-ს იურისტი გახდა და შესაბამისი ანაზღაურებაც დაენიშნა.



გასული წლის დეკემბერში ბალამწარაშვილსა (ამჯერად რენიერსის წარმომადგენლის სტატუსით) და მურმანიშვილს შორის გაფორმდა ნოტარიულად გაფორმებული რწმუნებულება, რომლის თანახმადაც ადვოკატს ყველა სასამართლოსა და არბიტრაჟში უნდა დაეცვა მისი კლიენტის ინტერესები. გარდა ამისა, ამა წლის 11 იანვარს მათ შორის დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება კომპლექსური საადვოკატო მომსახურების შესახებ, ანუ სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით. ამ ხელშეკრულების თანახმად, თუ სადაო საქმე კლიენტის სასარგებლოდ დასრულდებოდა და მოპასუხეს დაეკისრებოდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კლიენტი ვალდებული იყო სასამართლოს მიერ მოპასუხეზე (ბრალდებულზე) დაკისრებული თანხის ნახევარი მისი ინტერესების დამცველ ადვოკატისთვის გადაეცა, როგორც მომსახურების გასამრჯელო. თუ ზიანის ანაზღაურება უძრავი ან მოძრავი ქონებით მოხდებოდა, ამ შემთხვევაში ქონების ნახევარი.

მურმანიშვილმა თავის კლიენტს გაუწია სრულყოფილი და კვალიფიციური სამართლებრივი დახმარება, საქმე მოაგებინა. რენიერსის ყოფილი პარტნიორი ზურაბ ადამია მიეცა სს-ს პასუხისგებაში, მას ასევე დაეკისრა რენიერსის სასარგებლოდ 1.229.760 ლარის და ასევე სახელმწიფო ბაჟის 3.000 ლარის გადახდა.

ბუნებრივია, ადვოკატმა მოითხოვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, მომსახურების ანაზღაურება. ანა ბალამწარაშვილმა ამ სოლიდური ჰონორარის გადახდა არ მოისურვა და სამართალდამცავებს მიმართა. თურმე როგორც კი სასამართლომ ადამიას თანხის გადახდა დააკისრა მას მოულოდნელად თავზე დაადგნენ კახა კახაძე და ტარიელ მურმანიშვილი, რომლებმაც ისე მოაწერინეს რაღაც დოკუმენტზე ხელი, რომ არც კი წაუკითხავს. ეს ქალბატონი თავის ჩვენებაში აცხადებს, მარტო სათაური ,,ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ" წავიკითხე და თუ ამ დოკუმენტს ხელს არ მოვაწერდი, სერიოზული



პრობლემა შემექმნებოდა კანონთან. გააზრების საშუალებაც კი არ მომცეს, ისე მომაწერინეს ხელიო.

ეს არის სრული აბსურდი. ბალამწარაშვილს, რომელსაც რამდენიმემილიონიანი ქონება აქვს მინდობილი, არ უნდა წაეკითხა ხელს რაზე აწერდა, მითუმეტეს თუ ამ დოკუმენტზე ხელმოწერას აიძულებდნენ? ისიც საკითხავია, მართლაც აიძულებდნენ თუ არა. გამოძიება თაღლითობად იმასაც მიიჩნევს, საქმის მოგების შემდეგ გააფორმა ადვოკატმა ეს ხელშეკრულებაო. ჯერ ერთი, ადვოკატი წერილობით ხელშეკრულებას როცა უნდა მაშინ გააფორმებს და მეორეც, ამ შემთხვევაში უფრო არ უნდა წაეკითხა ხელს რაზე აწერდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ეჭვების გაჩენის მიუხედავად, ბალამწარაშვილმა მათთან ურთიერთობა არ გაწყვიტა. იგი ორჯერ შეხვდა კახაძეს, რა დროსაც თავისივე განცხადებით სპეციალური ჩამწერი აპარატურით იყო აღჭურვილი, ანუ იგი განზრახ ახორციელებდა კახაძის პროვოცირებას, რადგან მისი და ადვოკატ მურმანიშვილის სს-ის პასუხისგებაში მიცემა ჰქონდა გადაწყვეტილი. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პროკურატურის მითითებით მოხდა.

რაც შეეხება პარლამენტარ რომანოზ ბჟალავას, იგი იურიდიული კომიტეტის წევრი არ არის, რომ მასთან ეჩივლათ ან კონსულტაციები გაევლოთ. ამიტომაც ბუნებრივად ჩნდება კითხვა — რა ესაქმებოდა მას ამ ყველაფერთან, რაიმე ინტერესი თუ არ ჰქონდა? ეს საქმე ისევ ძიებაშია, ვნახოთ, როგორ დამთავრდება, მაგრამ ფაქტია, რომ თეთრი ძაფითაა ნაკერი და პროკურატურას უკან დახევა მოუწევს.

თაღლითობის ბრალდებითაა დაკავებული ადვოკატი **თამილა ქუთათელაძეც**. თითქოს მან თავის კლიენტის ახლობელს მოტყუებით გამოართვა 20.000 აშშ დოლარი. ადვოკატმა იგი დაარწმუნა, რომ ამ თანხას ქრთამის სახით გადასცემდა გარკვეულ პირებს, რათა ბრალდებულისთვის საპროცესო გარიგების გაფორმება მოეხერხებინათ. გარდა ამისა, ქუთათელაძეს იმასაც აბრალებენ, რომ მან კლიენტის გასათავისუფლებლად არანაირი ქმედება არ განახორციელა. ქუთათელაძის ადვოკატის განცხადებით, ეს არის სრულიად უსაფუძვლო ბრალდება და რეალურად ქალბატონი თამილა გარკვეული თანამდებობის პირების პირადი დაინტერესების მსხვერპლია, რომლებიც ადრე მასზე განაწყენებულები ყოფილან. ვისთვის უნდა გადაეცა ადვოკატს ეს თანხა, რატომღაც ის თანამდებობის პირები საქმეში არ ჩანან. მართლაც აიღო თუ არა ადვოკატმა ხსენებული 20.000 დოლარი, საქმეში არც ამის მტკიცებულება დევს. ან აიღო კი? ამიტომაც მე ნაკლებად მჯერა ოფიციალური ვერსიების. მოკლედ იგი შეთხზული ბრალით დააკავეს, უფრო მეტიც, დაკავებისას მას ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს. საქმეში იმდენი პროცესუალური დარღვევაა, რომ აშკარაა ბრალის უსაფუძვლობა. ამიტომაცაა, რომ ქუთათელაძე თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს. იგი შიმშილობდა კიდეც, თუმცა ამისთვის გამოძიებასა და პროკურატურას ყურადღება არ მიუქცევია.

აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ პროკურატურა თუ დაინტერესებულია ადვოკატის დაჭერით, ამისთვის წინასწარ შემუშავებულ და ნაცად მეთოდს იყენებს. პროკურატურის წარმომადგენლები იოლად პოულობენ საერთო ენას ბრალდებულის ახლობლებლებთან და საპროცესო გარიგების დაპირების სანაცვლოდ, ადვოკატის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას სთხოვენ. ამიტომაც იმეორებენ ეს ხალხი თუთიყუშებივით პროკურატურის მითითებებს, რასაც, ცხადია, უპრობლემოდ იზიარებს ყველა ინსტანციის სასამართლო. მერე პროკურატურა გასაოცრად ლმობიერი ხდება და ამ ადვოკატის ყოფილ კლიენტს მიზერული თანხის სანაცვლოდ უფორმებს საპროცესო გარიგებას. არ არის გამორიცხული კონკრეტული ბრალდებული სასამართლო დარბაზიდანაც კი გაათავისუფლონ.

***ადვოკატი გივი ექვთიმიშვილი*** კი ქურდობის ბრალდებითაა დაკავებული. გასული წლის 31 დეკემბერს თამარ მეფის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ ლომბარდში მკვლელობა და თუ გამოძიებას დავუჯერებთ ქურდობაც მოხდა. მოკლულია ამ ლომბარდის მოლარე ზაირა ცანდიშვილი. თითქოს ექვთიმიშვილმა გაქურდა ეს ლომბარდი. არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ხსენებულ პერიოდში ექვთიმიშვილი იქ არ ყოფილა და მოწმეები, რომელთა შორის პოლიციელებიც არიან, შეგნებულად ცრუობენ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, როდესაც ჩატარდა ლომბარდის და იქ არსებული სავალუტო ჯიხურის აღწერა, თანხა იმაზე მეტი აღმოჩნდა, რასაც ლომბარდის მეპატრონე და თანამშრომელი ასახელებდნენ და ოქროს სამკაულებიც ადგილზე იყო. მაშინ როგორღა გაიქურდა ლომბარდი, თუ ახალი წესი დამკვიდრდა და ქურდებს იქით მიაქვთ ფული და ძვირფასეულობასაც ხელს არ ჰკიდებენ?

ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიამ (ამ საქმის მომხსენებელი მე ვიყავი) დაადგინა ექვთიმიშვილის უდანაშაულობა. პროკურატურა არჩადენილი დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ მას საპროცესო გარიგებას სთავაზობდა, მაგრამ მან უარი თქვა. ამ საქმეში რომ არაფერი გამოუვიდათ, მერე თაღლითობაში უნდოდათ ექვთიმიშვილის დადანაშაულება, თუმცა ყველა მოწმემ უარყო მოტყუებით ფულის გამოძალვა, ჩვენ თვითონ ვასესხეთო. ამ განცხადებების გაკეთების შემდეგ პოლიციამ მათ ხელი დასტაცა და დაიჭირა. მიზეზად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემა დაასახელეს. დარწმუნებული ვარ მათ საპროცესო გარიგებებს გაუფორმებენ და გამოუშვებენ. ერთ-ერთი ასეთი მოწმე ქალბატონის მეუღლე განმეორებით დაკითხეს და მან რაც პროკურატურამ დაუწერა, ის ილაპარაკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის ცოლს დიდი ხნით მოუწევდა ციხეში ყურყუტი. აი, ეს არის ამ ხელისუფლების სამართალი, თუ არ გინდა გისოსებში გამოგამწყვდიონ, რაც მათ აწყობთ, ის უნდა ილაპარაკო.

მე არ ვამბობ, რომ ყველა ადვოკატი მამა აბრამის ბატკანია. თუ ისინი დამნაშავეები არიან, უნდა დაისაჯონ, მაგრამ, როცა ასეთი თეთრი ძაფით ნაკერ საქმეებს აწყდები, ბუნებრივია, მართლმსაჯულების ობიექტურობა დიდ ეჭვებს გიჩენს. საბოლოოდ კი იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ხელისუფლებას მიზანმიმართული ბრძოლა აქვს გამოცხადებული ადვოკატთა კორპუსის წინააღმდეგ.

**მანანა სუხიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

***საქართველოში დაბადებულები, ამჟამად ისრაელის მოქალაქეები, ცოლ-ქმარი ამირან ზოსიაშვილი და მარინა პაპიაშვილი მშობლიურ მიწაზე ამგვარ დახვედრას ნამდვილად არ ელოდნენ. საბაჟოს გავლის დროს ისინი პოლიციამ დააკავა, ქმარს ნარკოტიკების მოხმარების მუხლი წარუდგინეს, ცოლს ნაკოტიკების მოხმარებისა.***

# faruli dapirispireba _ visi mizeziT?

### ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲜᲣᲡᲮᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲕᲚᲘᲗ

როგორც დაკავებულთა ადვოკატი ვლადიმერ მაჭარაშვილი აცხადებს, მეუღლეებს უფლება ჰქონდათ ჩვენი მხარის მიერ ნარკოტიკად წოდებული პრეპარატის „სუბუტექსის“ საქართველოში შემოტანისა, საქმე იმაშია, რომ ამირან ზოსიაშვილი ნარკოტიკებთან მიმართებაში ისრაელის სახელმწიფო კლინიკაში გადის მკურნალობას, ნარკოტიკული თრობისაგან ლტოლვის გასათავისუფლებლად „სუბუტექსით“ ჩანაცვლების კურსი ჰქონდა დანიშნული. ამ კლინიკის წესით, თუ მათი პაციენტი საზღვარგარეთ, ხანგრძლივი ვადით გადის, სამკურნალო აბებს მის უახლოეს თანამგზავრს (ამ შემთხვევაში, მეუღლეს) აძლევენ, რათა პაციენტმა პრეპარატი არადანიშნულებისამებრ არ გამოიყენოს და თანმხლების მეთვალყურეობის ქვეშ მიიღოს. ამ მიზეზით აღმოჩნდა „სუბუტექსი“ მარინა პაპიაშვილის ჩანთაში. ადვოკატისვე განმარტებით, იმის გამო, რომ სამკურნალო კლინიკა ოფიციალურია და ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, სამკურნალო პრპარატის გამოტანა ოფიციალუად მოხდა, საქმის კურსში იყო როგორც იქაური ჯანდაცვის სამინისტრო, ასევე ადგილობრივი საზღვრის დაცვის პოლიცია. ოფიციალური შეტყობინება გამოეგზავნა თბილისის აეროპორტსაც, მაგრამ მოხდა თითქოსდა გაუგებრობა როდესაც ქალმა პოლიციას ოფიციალური დოკუმენტაცია წარუდგინა, ჩვენმა სამართალდამცავებმა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პაპიაშვილს საბუთები თავზე დაახიეს. წარდგენილს ფარატინა ქაღალდები, ხოლო ისრაელის მოქალაქეს ბარიგა უწოდეს.



მეუღლეები ჯერ გასამართლებულები არ იყვნენ, როდესაც სააკაშვილი რუსთაველის ქუჩაზე რაღაც უმნიშვნელო ხიდის გახსნაზე წითელი ლენტის გასაჭრელად ქუთაისში ჩავიდა. პაპიაშვილის დედამ, რომელმაც თითქმის ყველა ინსტანცია მოიარა და შვილისა და სიძის გამართლებას ვერსად მიაღწია, გადაწყვიტა პრეზიდენტისათვის თავად გადაეცა ბარათი თავისი გაჭირვების შესახებ. ქვეყნის პირველ პირთან მიახლოების საშუალება გაძლიერებულმა დაცვამ მას არ მისცა. უფრო მეტიც, ხნიერი ქალი საღორიის ტყეში გაიტაცეს, სცემეს და იქვე დააგდეს.

ამასობაში საქმეში ჩაერთო ისრაელის საელჩოც. ებრაელთა წარმომადგენლების თხოვნამ ვერ გასჭრა ხელისუფლებასა და შეუვალ პოლიტიზირებულ მართლსაჯულებაზე, ელჩის შუამდგომლობით და თავდებში ჩადგომის წინადადებამაც ვერ გასჭრა. ზოსიაშვილს 7 წელი, პაპიაშვილს კი 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

### ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲗᲐᲕᲑᲝᲚᲝᲑᲐ

გაეროს შედგენილი აქვს ძლიერ, ნაკლებად ძლიერ, ფსიქოტროპულ და ა.შ. ნივთიერებათა ნუსხა. ამ დოკუმენტს საქართველოც აწერს ხელს. ამ სიაში „სუბუტექსი“ არ შედის არც ერთი დასახელების მედიკამენტებში. გაერთიანებული ერების წესდებით ჩამონათვალში რაიმე შესწორებების შეტანის შემთხვევაში შემტანმა ქვეყანამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გაეროს შესაბამის კომიტეტს. ჩვენმა მხარემ ცვლილებების შესახებ („სუბუტექსი“ ძლიერმოქმედ პრეპარატად მიიჩნიეს) გაეროს არ ცნობა. შესაბამისად, სიახლე არც სხვა ხელისმომწერი ქვეყნებისათვის (ამათ შორის ისრაელისათვის, არ იყო ცნობილი. იურისტების განმარტებით, მომხდარში სამართალდამცავების დადანაშაულება უსამართლობა იქნებოდა. ყველაფერი საკანონმდებლო ორგანოს მიზეზით ხდება, — ასკვნიან ისინი.

### ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲧᲝᲕᲜᲐ

ებრაელ ბიზნესმენებთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს შედეგად ის მოჰყვა, რომ ისრაელის ხელისუფლების დაბალი რანგის წარმომადგენელი და ბიზნესმენები აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს ნეიტრალურ ქვეყანაში შეხვდნენ და მათთან ეკონომიკური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ისრაელის ოპოზიციურ პრესაში გაიელვა ცნობამ იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების დაბალი რანგის ჩინოვნიკები სეპარატისტთა ლიდერის გარდაცვალებაზე ჩავიდნენ და გარკვეულ წრეებთან ჰქონდათ შეხვედრები. ქართული ხელისუფლება ორივე ფაქტის მიჩქმალვას დიდი მონდომებით ცდილობდა.

სულ ახლახან ისრაელის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადგილობრივმა სპეცსამსახურებმა ქვეყნის მთავრობას წარუდგინეს იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებშიც ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტები არ იქნებოდა რეკომენდირებული, „შავ სიაში“ საქართველოცაა შეყვანილი — ამასაც საგულდაგულოდ მალავენ.

საინტერესოა, ვის ინტერესებში შედის ქართულ-ებრაული ურთიერთობების გაუარესება?

**ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲫᲔ**

# zrunva mSromelebze `nacionalurad~

შრომა და რისკი საქართველოში დღეს განუყოფელია. ამას ადასტურებს სამუშაო ადგილებზე დრამატულად მაღალი რაოდენობა საწარმოო ტრავმებისა, დაზიანებებისა, პროფესიული დაავადებებისა და სასიკვდილო შედეგებისა. უაღრესად მძიმე მდგომარეობაა სამთომომპოვებელ და სათბობ-ენეგეტიკულ სფეროებში, სიკვდილით და ტრავმებით არის „მდიდარი“ მუშაობა „ენერგოპროჯორჯიაში“, საქართველოს ელექტრო სისტემაში, ენგურჰესში, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში, ბათუმის ნავთობტერმინალში და სხვაგან.

მიხეილ სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალმა“ პარლამენტარებმა კურსი „უკან ევროპისაკენ“ აიღეს და საქართველოს შრომითი კანონმდებლობა 2 საუკუნის წინანდელ ევროპულ კანონმდებლობას დაუახლოვეს. სხვა ანტიჰუმანურ და ანტისოციალურ დებულებებთან ერთად მიხეილ სააკაშვილისა და მისი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანონები აღარ იძლევიან სამუშაო ადგილებზე პრევენციის საშუალებას, აღარ იძლევიან საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო წინმსწრები ღონისძიებების კომპლექსის, საჭირო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელების საშუალებას. შრომის გენერალური ინსპექციაც ხომ გაუქმებულია.

საწარმოო ტრამვის, დაზიანების, პროფესიული დაავადების ან სასიკვდილო შედეგის დადგომისას ჯერ ყოველნაირად ცდილობენ ეს ყოველივე უბედურ შემთხვევად გამოაცხადონ. მაგრამ თუ დაზარალებული ან მისი ოჯახი არ შეშინდება და მას პროფკავშირიც მხარში დაუდგება, მაშინ იძულებით იწყება გამოძიება. საქართველოს მთავრობამ (იმჟამად პრემიერ-მინისტრი



ზურაბ ნოღაიდელი) 2007 წელს მიიღო №53 დადგენილება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“. დადგენილების მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს ზიანი აუნაზღაუროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით. აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, უბედური შემთხვევის გამომკვლევი კომისია თავად დაზარალებულებს ცნობს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დამრღვევად, იმ შემთხვევაშიც კი თუ დაზარალებული მშრომელი არ ცხადდება პასუხისმგებლად, დადგენილებით დგინდება საწარმოს ან დაწესებულების ქვედა რგოლის თანამშრომლის პასუხისმგებლობის ხარისხი მომხდარ ფაქტში.

ასეთი ტრაგიკომიკური ვითარებაც კი მიუღებლად ჩათვალა მიხეილ სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა“ საპარლამენტო გუნდმა. მათ ეს საკითხი სწრაფად და „ორიგინალურად“ დაარეგულირდეს. ახლახან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისადაც დაზარალებული აღარ მიიჩნევა უბედური შემთხვევების გამოკვლევის პროცესში მხარედ, რაც ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულისთვის მიუწვდომელი ხდება, იმ დოკუმენტების მოპოვება, რომელთა არსებობაც აუცილებელია უბედური შემთხვევის გამოკვლევის აქტის სასამართლოში გასაჩივრებისას. შემდეგ ამ სიახლისა კიდევ უფრო დაუცველია მშრომელი.

ტყიბულის მაღაროში მშრომელთა დაღუპვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა დაპირება გასცა, რომ შრომის უსაფრთხოების სისტემა გაუმჯობესდებოდა. დაპირება ასეთი ფორმით შესრულდა.

საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოგმები ქადაგებს, რომ „ბაზარი ღმერთია“ და „ადამიანი ბაზრის მონაა“. როდესაც „ნაციონალური“ რეჟიმი ამ დოგმებით ხელმძღვანელობს, ილუზიაც კი არ უნდა გქონდეს შრომის უსაფრთხოებაზე მათი მხრიდან რაიმე სასიკეთო ნაბიჯის გადადგომაზე, შემთხვევით კი არ შეწყდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებისა და ევროპის სოციალური ქარტიის („შესწორებულის“) სრული ტექსტის რატიფიცირება. ეს საბაზრო ფუნდამენტალიზმის დიქტატის ნიშანია და მასზე მშრომელებისა და მათი დამოუკიდებელი გაერთიანებების მხრიდან ადეკვატური პასუხია საჭირო. მათ უშუალო და პირდაპირი წესით უნდა დააწესონ სამუშაო გარემოზე უწყვეტი საზოგადოებრივი მონიტორინგი, ასეთივე წესით შექმნან შრომითი პირობების კვალიფიციური ანალიზის, უბედური შემთხვევებისა, საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიული დაავადებებისა და სასიკვდილო შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის დამოუკიდებელი, მოქნილი და ეფექტური სისტემა, შექმნან შრომის უსაფრთხოების დაცვაზე მშრომელთა დამოუკიდებელი გაერთიანებების ერთიანი და ოპერატიული ბაზა, რათა ამ სფეროში მათი მოქმედება იყოს კომპეტენტური და კვალიფიციური. ეს ყოველივე მათ პროფკავშირულ მოძრაობაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც საინფორმაციო-მეთოდური, ასევე, რაც უმნიშვნელოვანესია, სოციალური პროტესტის მობილიზებასა და ორგანიზებაში.

მიხეილ სააკაშვილისა და მისი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ანტიჰუმანური და ანტისოციალური პოლიტიკა მშრომელი ადამიანის ცხოვრებას ამ ქვეყანაში ღირსებას აცლის. ამ ვითარებაში მშრომელთა დამოუკიდებელმა გაერთიანებებმა უნდა შეიმუშავონ საერთო სამოქმედო სტრატეგია და თანამშრომლობის კონცეფცია, რის ბაზაზეც მოახდინონ კონცენტრირებული და კოორდინირებული სამოქალაქო-სოციალური წინააღმდეგობის მოძრაობის გაშლა. აი, ეს არის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვისკენ მიმართული რეალური ქმედება. „ნაციონალური“ სოციალური ძალადობის გატეხვა შეიძლება და აქ მშრომელთა დამოუკიდებელი გაერთიანებების ერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ**
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი**

## ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ 366 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ



23 ოქტომბერს თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგადად დაღუპულთა რიცხვმა 366 ადამიანს მიაღწია. დაშავებულია 1300 მეტი ადამიანი.

თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად 2600 სახლი დაინგრა.

ადამიანები ღამეს ქუჩაში ათევენ.

მაშველები ამ დრომდე განაგრძობენ ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების ძებნას.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში ქალაქ ვანში 7,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა 23 ოქტომბერს მოხდა.

**„ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ“**

# sad gaqra wignis palatis kuTvnili asiaTasobiT wigni



როგორც ვწერდით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში არც ისე იყო „აწყობილი“ საქმე, როგორც გარედან ჩანდა. თანამშრომელთა თქმით, ადგილი ჰქონდა კრიმინალს, თუმცა გამკითხავი არავინ ჩანდა. ახლა, როცა ბორის გაგუამ დაკავებული თანამდებობა დატოვა და ახალი დირექტორი ჯერ არ დამტკიცებულა. (დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი მირიან ხოსიტაშვილია) წიგნის პალატის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს დაერღვიათ დუმილი.

**ქეთევან დევიძე**: – „2005 წელს ერთ დღეს სრულიად შემთხვევით გავიგეთ, რომ „წიგნის პალატა“ ბიუჯეტში აღარ იჯდა. წარმოიდგინეთ, ეს ამბავი დირექტორმა რეზო ღლონტმაც კი არ იცოდა. არ იფიქროთ ხელფასებზეა საუბარი, 6 წელი 35 ლარზე ვმუშაობდით, – ჩვენ წინდაწინ ვხვდებოდით, რომ ასე ნალოლიავები „წიგნის პალატა“, ეროვნული ბიბლიოგრაფიის ერთადერთი და უნიკალური ცენტრი, ვიღაცის თუ ვიღაცების ინტერესებს უნდა შესწირვოდა. ეს იყო ხელუხლებელი ფონდი. არაჩვეულებრივი ფონდი გვქონდა „გეორგიკისა“, ბიბლიოგრაფიული იშვიათობის 5 000 ეგზემპლარს მოიცავდა. ჩვენ ვაწვიდიდით „იფლასა“ და „იუნესკოს“ ყოველი წლის ბოლოს, რა ხდებოდა კულტურული ხაზით, რა დასახელების და რა რაოდენობის წიგნი გამოიცა“.



**ანა ჟამარაული**: – „ჩვენ, ანუ „წიგნის პალატა“ რომ გაგვაუქმეს, ამ ორგანიზაციებიდან დაურეკეს სტატისტიკური განყოფილების უფროსს, რა ხდებაო. ნებისმიერ კულტურულ ქვეყანაში, ცხადია, უნდა არსებობდეს ეროვნული ბიბლიოგრაფიის ერთი ცენტრი მაინც (ზოგან ორი-სამია). ჩვენი „პალატა“ ერთადერთი იყო საქართველოში, 1924 წელს, იმ ისტორიულ ქარტეხილებში დაფუძნებული და აგერ, 2006 წელს შუა „დემოკრატიის“ დროს გააუქმეს ზურაბ ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის ერთი ხელმოწერით.

**– მე ხელთ მაქვს „წიგნის პალატის“ გენერალური დირექტორის რევაზ ღლონტის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ბრძანების ასლი, რომელიც 2004 წლის 5 ნოემბერს არის გაცემული. მასში გარკვევით წერია, რომ იმ დროისთვის „წიგნის პალატის“ წიგნსაცავში ოთხი სექტორი იყო, სადაც 1 500 000-მდე ბეჭდური სახის პროდუქცია იყო. მე ასვე ხელთ მაქვს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის ბორის გაგუასა და ეროვნული ბიბლიოთეკის საბიუჯეტო რესურსების დეპარტამენტის უფროსის ლევან თაქთაქიშვილის მიერ ჟურნალისტისტისთვის მიწოდებული ე.წ ოფიციალური დოკუმენტი (ე.წ იმიტომ, რომ არც ბეჭდითაა დამოწმებული, არც ხელმოწერებია), რომლის მიხედვითაც, 2006 წლისთვის „წიგნის პალატის“ ფონდში 202 205 ერთეული ბეჭდური სახის პროდუქცია ყოფილა. თქვენ სწორედ ამ სატკივარის გამო დაგვიკავშირდით და იქნებ გამარკვიოთ მეც, მკითხველიც და ის სახელმწიფო ორგანოებიც, რომელთაც ამის გამოკვლევა ევალებათ, ორი წლის შუალედში რატომ სად შეიძლება გამქრალიყო მილიონზე მეტი ეგზემპლარი.**

**ქეთევან დევიძე**: – ორ მილიონამდე იყო ჩვენი ფონდი, აბსოლუტურად ყველანაირი ნაბეჭდი პროდუქციის ხელუხლებელი ცალები გვქონდა. გაგუა რომ მოვიდა და ჩვენი ფონდი ნახა, აღფრთოვანების ნაცვლად გაოცდა „ეს რამდენი ნაგავი უგროვებიათ კაცოო“, აბა, ამის მთქმელს რა უნდა გააგებინო ბიბლიოგრაფიის შესახებ... ჩვენი თანამშრომელი პირადი ნივთების წამოსაღებად რომ მივიდა, გადაირია, მაჩაბლისეული პლაკატი კედელზე გაუკრავს თაქთაქიშვილს. ამ პლაკატს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით, გარკვეულ ტემპერატურაზე ვინახავდით და ვუვლიდით, მისი კედელზე გაკვრა როგორ შეიძლებოდა! – წარმოდგენა არ აქვთ არაფერზე. თუმცა რა, გაგუამ ბაგრატიონების არქივი გახსნა და კაბინეტში დაიკიდა უნიკალური საარქივო მასალები, – ქალბატონი ია ბაგრატიონმუხრანელი გულშემოყრილი იყო ეს რომ ნახა. ისეთ ხალხს ჩაუვარდა ხელში ეროვნული განძი, რომ წარმოდგენა არ აქვთ რა ღირებულია თითოეული მათგანი“.

**– რატომ ფიქრობთ ასე, აკი, თქვენვე ამბობთ, რომ უნიკალური გამოცემებია უკვალოდ და უმისამართოდ გამქრალი.**

**ანა ჟამარაული**: – „არა, ფინანსური თვალსაზრისით გადასარევად იციან, ყოველ შემთხვევაში, ლევან თაქთაქიშვილმა მაინც, ჩვენ სულიერებასა და ერის კულტურულ ღირებულებას ვგულისხმობთ... ჩვენს განთავისუფლებულ თანამშრომელს ჰკითხეს დარჩენილებმა, სახელმწიფო რეგისტრაცია როგორ კეთდებაო, – ესეც კი არ იციან. ვინც პროფესიონალები ვიყავით, ისინი გამოგვყარეს და სანათესაოდან და სააახლობლო წრიდან დასაქმებული შემთხვევითი ადამიანები რას მოიმოქმედებენ და რას გააკეთებენ ეროვნული ბიბლიოთეკისთვის საზიანოდ, ეს რომ ჩვენ გვაწუხებს მხოლოდ და სხვას არავის, იმიტომ გადავწყვიტეთ ხმამაღლა ყვირილი.

200 000 რომ სახელდება რიცხვად, ხომ ნახეთ, ეს არაოფიციალური მონაცემია, საიდან არის აღებული, რა მონაცემების საფუძველზე, არ ჩანს. ვინ იცის, იქნებ, სინამდვილეში ამდენიც არ არის, ან საერთოდ აღარც არის, იმიტომ, რომ ვეძებთ და ვერსად ვპოულობთ ოფიციალურ მონაცემებს.

ჩვენ მივედით ეროვნულ ბიბლიოთეკაში და თაქთაქიშვილს პირადად ვთხოვე, ერთი თვალი დამაკვრევინე რა დღეშია ჩემს სექტორში შვილივით ნალოლიავები წიგნები-მეთქი. არ შემიშვა, გადასინჯვები ხდებაო. „წიგნის პალატის“ წინ ღამის საათებში მაკულატურის საბარგო მანქანით ყუთებში ჩაწყობილ რაღაც წიგნებს რომ ეზიდებოდნენ სადღაც, მიპასუხეთ, სად წაიღეთ და რა წიგნები იყო-მეთქი, ეს უკვე თქვენ აღარ გეხებათო, – მომახალა.

კი, გამომაგდეს სხვებთან ერთად, მაგრამ ადამიანურად როგორ არ მეხება, წიგნებს შევაბერდი და სამმა თანამშრომელმა ჯანმრთელობა შევატოვეთ ბიბლიოთეკას, ბაქტერიული მტვრის გამო დავსნეულდით, – ისტერიკა დამემართა შეურაცხყოფილს კინაღამ. თავისი თანამშრომელი ქვათაძე გამაყოლა, ვისაც ამჟამად წიგნები ეხება, იმასთან მიგყვება, რომ წიგნსაცავში შეგიყვანოსო, – ის ადამიანი შვებულებაში ყოფილა...

გესმით, რა გვაწუხებს, – არ ვიცით, რა დღეშია ჩვენი წიგნიერი საგანძური!

**ანა ჟამარაული**: – „უნდა მოეხდინა, მაგრამ მან რომ არ ჩაატარა ეს სამუშაო, სწორედ ამით იმართლებდა თავს თაქთაქიშვილი.

**– მე ხელში მიკავია ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტის მიერ მომზადებული 28.12 2006 წლით დათარიღებული „გეორგიკის“ ფონდის მიღება-ჩაბარების ოფიციალურად დადასტურებული აქტი №4, სადაც მიმღებთა ხელმოწერებია, თქვენ კი აქტზე ხელმოწერის ნაცვლად წერთ, ზემოთ აღნიშნული პროდუქცია ჩავაბარე მე, ანა ჟამარაულმა და ვიხსნი პასუხისმგებლობასო, – რას ნიშნავს?**

– იმას ნიშნავს, რომ მე არ მოვაწერე ხელი იმას, რაც არ ვიცი. სამართალდამცავი სტრუქტურები დაინტერესდებიან თუ არა ბორის გაგუას თანადებობიდან წასვლის შემდეგ, ამჯერად ლევან თაქთაქიშვილის „საქმიანობით“ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, არ ვიცი, მაგრამ ყველა შემთხვევაში მე თავი დავიზღვიე და არ გავერიე ჩემთვის საეჭვო გარემოებაში. ანალოგიურად მოიქცა წიგნსაცავის გამგე ნაზი ცერცვაძემ, რომელსაც, რომ არ ჩაუბეჭდეს აქტში, ხელით ჩაწერა იგივე. იერარქიულად, დაწყებული დირექტორიდან, ვინც ხელი მოაწერა ამ სიყალბეს, იურიდულად ყველა პასუხისმგებელია, რა ჰქვია ბრმად ხელის მოწერას ნებისმიერ დოკუმენტზე, მით უმეტეს, თუ იცი, რომ დანაშაულს ფარავ კალმის ერთი მოსმით?

**ქეთევან დევიძე**: – „თუ ყველაფერი წესრიგში იყო, თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილების შემდეგ ეროვნული ბიბლიოთეკის საქმით პროკურატურის დაინტერესებიდან ორ დღეში, რატომ დატოვა იმ გაგუამ თანამდებობა უხმაუროდ, რომელიც სამუდამოდ მიკრულივით იყო თავის სკამზე?

**– ამ პრინციპით, რახან თაქთაქიშვილი უკან არ გაჰყვა, ფუჭი ეჭვები გქონიათ მასზე...**

– რატომ, იქნებ სხვაგვარადაა საქმე, რაღაც გარიგებას აქვს ადგილი, იქნებ გადაფარვა მოხდა გენერალური დირექტორის განთავისუფლებული ადგილით? – ჩვენ ხომ მხოლოდ ფაქტი გვიდევს წინ, რომ კაცმა ორ დღეში დატოვა თბილი თანამდებობა.

**– თქვენ თქვით, რომ თაქთაქიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია აქვს, – კოლექციონერობა არც საძრახისია და არც დანაშაული, თუმცა თქვენ რაღაცას ბრალდებასავით დებთ ამ ნათქვამში.**

**ანა ჟამარაული**: – „დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ მანამ, სანამ „წიგნის პალატა“ გაუქმდებოდა, „გეორგიკის“ სექტორის საცავში ვიყავი, დირექტორის მოადგილე ლევან ხუნაშვილმა რომ უცნობი ყმაწვილი შემომიყვანა, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს, „ვეფხისტყაოსნების“ კოლექციას აგროვებსო. ღმერთმა ხელი მოუმართოს-მეთქი. მაჩვენეთ, რა გამოცემები გაქვთო და მოულოდნელად სრულიად უცნობი ყმაწვილი უაპელაციოდ მომმართავს, „ვეფხისტყაოსნებს“ ვერ მომცემთო? მე ვუპასუხე, აქ „წიგნის პალატაა“, შთამომავლობისთვის ვინახავთ, საჯარო ბიბლიოთეკა ხომ არ გგონია-მეთქი. წავიდა. გამოხდა ხანი და როცა ჩვენი გაუქმება დადგა დღის წესრიგში, თაქთაქიშვილი გახარებული მოვარდა, რადგან ეროვნული ბიბლიოთეკის დაქვემდებარებაში გადავდიოდით. წარამარა მოდიოდა საქებარი სიტყვებით, „გეორგიკის“ სექტორი ისეთი კარგი გაქვთ თქვენ, რა კარგი წიგნები გაქვთო და ასე მივლიდა გარშემო. როცა უკვე გვყრიდნენ, მელასავით დასუნსულებდა, რომ დროზე დაგვეტოვებინა იქურობა და დროზე შესულიყო „გეორგიკის“ ფონდში. თვით ლევან ხუნაშვილმა მითხრა, როგორც კი გადაიბარა, მეორე დღესვე მოაყენა საბარგო მანქანა და „გეორგიკის“ სექტორი მთლიანად გაზიდაო, – სად გაზიდა იქიდან, სადაც კარგი ჰიგიენური მდგომარეობა და წიგნისთვის დაცული ტემპერატურა იყო, საჯაროში? იქ რაც იყო, იმაზე ყვიროდნენ, გვიშველეთ, ლპებაო და მერე სულაც დაკეტეს, აბა, სად წაიღო?



**ქეთევან დევიძე**: – „უნიკალური წიგნებია გამქრალი, 1907 წლის სოფელ წესის სახარება, 1722 წელს ამსტერდამში გამოცემული დიუმას მოგზაურობა, – ეს, სანამ ჩვენ ვიყავით, ყველას რა ჩამოთვლის, ახლა – თქვენ განთავისუფლებულები ხართ, თქვენი საქმე არ არისო. ჩვენი საქმე არ იქნება, თუ პროკურატურის საქმე იქნება, – ვიღაცამ ხომ უნდა ამოიღოს ხმა, დამნაშავეები ხომ უნდა დაისაჯონ, განძი ხომ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს, ქართველ ერს!

ელენე გურეშიძე იყო გაგუას დირექტორობის დროს ადმინისტრაციის მართვის დეპარტამენტის დირექტორი, რომელიც შემდგომში მოხსნილია სწორედ წიგნადი ფონდის საკითხებთან დაპირისპირების გამო მთელ დირექციასთან. ყოფილი თანამშრომლები დავუკავშირდით და ვუთხარით ჩვენი ინფორმაცია, რომ ღამის საათებში საეჭვო ვითარებაში ეროვნული ბიბლიოთეკიდან გატანილ იქნა წიგნები და ამჯერად, როგორც რიგითი მოქალაქეები, ვითხოვდით პასუხს. მივედით: მე, ირმა დოლიძე და თინათინ ბეგიაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის საგეგმო-საფინანსო განყოფილების ყოფილი გამგე. ქალბატონმა ელენემ გვიპასუხა, ვკითხე ლევან თაქთაქიშვილს ამის შესახებ და მიპასუხა, კი, გამოვიტანე, მაგრამ არაფერი ღირებული იქ არ იყო, მხოლოდ მაკულატურა გავიტანეო. მაკულატურად ცნობა, პროფესიონალის საქმეა, რა იცის თაქთაქიშვილმა რა არის მაკულატურა, გარდა ამისა, სად არის ოქმი და ვინ აწერს ხელს, – ოქმი არ არსებობს. მაკულატურა რომც იყოს, კომისია უნდა შედგეს, ხარჯთაღრიცხვა უნდა იყოს და ა. შ

ყველამ უნდა აგოს პასუხი, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ უნიკალური ფონდის განიავებასა და გასხვისებაში!

მურთაზ ზოდელავას გვინდა მივაწვდინოთ ხმა, რომ ბორის გაგუაზე არ შეიძლება ზელის შეხოცვა, მან არაფერი იცოდა სკამის გარდა, ბუკინისტი თაქთაქიშვილი იყო ყველაფერი, ის დაძრომიალობდა წიგნებში. ის დაიჭირა ფანრით ხელში ეროვნული ბიბლიოთეკის საცავში დაცვამ, რომ არ გაახმაურეს და გააგრძელა იგივე საქმიანობა „წიგნის პალატაში“, – რა წამოიღო იქიდან, ვინ იცის. სხვა საკითხებზეა ყურადღება გადატანილი და არავის რომ არ სცალია კულტურული მემკვიდრეობისთვის, ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში.

**ანა ჟამარაული**: – „საცავში რომ შემიშვან დღესვე, ერთი თვალისგადავლებით ვიტყვი, რა არ არის თავის ადგილზე, ასეა წიგნსაცავის ყველა თანამშრომელი.

**ქეთევან დევიძე**: –ერთი გაგუა ხომ არ იყო მთელი ეროვნული ბიბლიოთეკა, ყველაფერი რომ მას შეახოცონ, მას მხოლოდ პირადი ამბიციები აკეთებინებდა რაღაც გადაცდომებს, თორემ კრიმინალები იქვე არიან, არსად წასულან...

ჩვენ კარგად მოგვეხსენება რაც ხდებოდა და ხდება ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მაგრამ იქნებ, ვინმემ ყურად იღოს ეს ამბავი, „წიგნის პალატის“ ფონდიც მოიძიონ და მისმა გამტაცებლებმაც სათანადო პასუხი აგონიმიტომ ველოლიავებოდით ჩვენს ამ ეროვნულ საგანძურს, რომ გაგუა-თაქთაქიშვილს ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაეუმჯობესებინათ და პირადი კოლექციაც შეევსოთ?

**მაია ჭელიძე**

# aCrdili dadis borjomSi, aCrdili merabiSvilisa anu vis gaaxsenda gaqceuli `yazmunaigazi~?





მართალია, საქართველოს ხელისუფლება ღიად ქურდულ მენტალიტეტს ებრძვის, მაგრამ კულუარებში სწორედ ამ კანონებით ცხოვრობს და მოქმედებს. პოლიტიკური გავლენების უკან ყოველთვის ბიზნესინტერესები დგას და ბიზნესწილების გადანაწილების მიხედვით ადვილად შეიძლება მივხვდეთ, ,,ვერხუშკაში“ ვინ ვის დაეჯახა, ვინ საით ჩააჩოჩეს და ვინ მოსვეს მშრალზე. ვიდრე იმაზე ვისაუბრებთ, რა დამატებითი ინტერესები გაუჩნდა შინაგან საქმეთა მინისტრს სამცხე-ჯავახეთში, ორი სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ გააჩოჩეს კოდუას ბიზნესი.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ხელისუფლებამ დავით კეზერაშვილის პოლიტიკური რეანიმაცია დაიწყო. რა მოსაზრებით, ბევრი ვარაუდი არსებობს და ამაზე აღარ შევჩერდებით. ეს ტენდენცია ბორჯომის ცოცხალმკვდარ ბიზნესსამყაროშიც გამოჩნდა. ყოფილი მაჟორიტარი პარლამენტარის, ნოდარ გრიგალაშვილის ზეობის პერიოდის დამთავრების შემდეგ, საკურორტო ქალაქში ერეკლე კოდუას პერსონა და ბიზნესინტერესები გამოიკვეთა. ლიკანის ტერიტორიაზე მან შეიძინა რამდენიმე სანატორიუმი, სადაც ამჟამად ლტოლვილები ცხოვრობენ. კოდუას ეკუთვნოდა, ასევე, მიმდებარე მიწები ფიჭვნარში. ეს ადგლები ამჟამად გაყიდულია კერძო პირებზე, ფიჭვნარი სტაბილურად იჩეხება და შენდება კერძო სააგარაკო სახლები. კოდუას საკუთრება იყო ბორჯომის ცენტრში და შესასვლელში მოწყობილი ბენზინგასამართი სადგურები. დიდი ცოდნა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ რიგით მოკვდავს იმ ადგილებში ასეთი ობიექტის გამართვის უფლებას არავინ მისცემდა. კოდუას, ვიდრე ის სოდის შეფი იყო, მისცეს ეს უფლება და როგორც მისცეს, ისევე წაართვეს. ახლახან ბენზინგასამართი სადგურების ვიზუალი შეიცვალა და კარგად ნაცნობი წარწერა ,,გალფი“ გაჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბორჯომის რეგიონის საწვავით მომარაგების უფლება კეზერაშვილს გადაულოცეს.

ადრეც ვწერდით, ყოფილმა მინისტრმა ლატარიის კომპანია იმიტომ დაუთმო ,,საქართველოს ფოსტას“, ანუ ვანო მერაბიშვილს, რომ საწვავის ბაზარზე ტოტალურად შემოსულიყო. შემოდის კიდეც. ,,გალფის“ ფასები 2-3 თეთრით ნაკლებია, ვიდრე სააკაშვილების კომპანიებში. ამას ემატება მაქსიმალური ადმინისტრაციული ხელშეწყობა ყველა რაიონსა და რეგიონში. იმასაც ამბობენ, რომ მერაბიშვილი ცდილობს, კუთხეში მიაყენოს სხვა ნავთობკომპანიები. უკვე ცნობილია, რომ პრობლემები გაუჩნდათ ,,რომპეტროლს“, ,,ლუკოილს“. ერთადერთი, რასაც არ შეეხებიან, ,,სოკარ ჯორჯიაა“, ქართულ-აზერბაიჯანული კომპანია. თუმცა ,,დიდი დიპლომატებისგან“, თუ დასჭირდათ, არც ეს იქნება გასაკვირი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კოდუა იძულებული გახდა, გაეყიდა კუთვნილი სანატორიუმები. ვინ შეიძინა ეს ობიექტები, ჯერჯერობით, უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია ის ფაქტი, რომ ბოლო დროს ბორჯომში ხშირად ჩნდება ვანო მერაბიშვილის პერსონა. ორიოდე კვირის წინ ის ლიკანის სანატორიმის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ვამო მერაბიშვილი. მან დაწვრილებით შეამოწმა ყველაფერი, კუთხე-კუნჭული. კონკრეტული მითითებები მისცა ადგილობრივ პერსონას და განაცხადა, რომ ყოფილი მეოთხე სამმართველოს ტერიტორიის რებილიტაცია სწრაფი ტემპებით უნდა დაიწყოს.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ,,ყაზმუნაი გაზი“ და ,,საქართველოს საპარტნიორო ფონდი“ ლიკანში ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას იწყებს. ეს ინფორმაცია პირველად ბიზნესსააგენტო ,,**GBC**“-მ გაავრცელა.

### ვის გაახსენდა „ყაზმუნაიგაზი“?

ქართულმა საზოგადებამ იცის, რომ ,,ყაზმუნაიგაზ-სერვისი“ ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ნაციონალური კომპანიის ,,ყაზმუნაიგაზის“ შვილობილი კომპანიაა. ყაზახები ისე წავიდნენ საქართველოდან, რომ საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საქართველოს ხელისუფლებას მათ მიმართ არანაირი სანქცია არ გამოუყენებია. ყაზახებმა ასევე, ჩააგდეს სხვა საინვესტიციო პროექტებიც: ფოთის ხორბლის ტერმინალი, თბილისის იპოდრომის განაშენიანება, ბათუმის ნავთობტერმინალი და საზღვაო ნავსადგური. ყველა ყაზხურ პროექტში ქართული მხარეც დიდი დოზით არის წარმოდგენილი. მაგალითად, იპოდრომი ძმები რურუების საკუთრებაა, ,,სილქნეტი“ და ,,რედისონი“ — ზარალასია. ამიტომ ძნელი გასარკვევია, თავის დროზე, რამდენი იყო ყაზახური ინვესტიცია და რამდენი მშობლიური ქართული. გაუგებარია, ისიც, საიდან გაჩნდა ახლა ,,ყაზმუნაიგაზი“, ყაზახური სახელმწიფო კომპანია, რომელიც 2006 წელსაც კი მინიმალური კაპიტალით იყო წარმოდგენილი და ინვესტიციების ძირითად ნაწილს უკანონოდ ნაშოვნი ქართული ფულები ავსებდა. ყაზახებმა შარშან ოფიციალურად დახურეს ოფისები, დატოვეს საქართველოს ბიზნესსივრცე და უარი თქვეს ინვესტირებაზე. მათი ბიზნესები ხელისუფლებამ გადაინაწილა: ,,თბილგაზი“ ისევ მერიამ დაიბრუნა, იპოდრომსა და ,,სილქნეტზე“ ზევით ვთქვით, რაც შეეხება ლიკანს, იქ ადგილობრივების თქმით, ვანო მერაბიშვილის ინტერესები იკვეთება და ამას არც მალავს ბატონი მინისტრი. დღეს ,,ყაზმუნაიგაზის“, როგორც ოფიციალური ინვესტორის გამოჩენა, ისეთი აბსურდია, რომ ნაცელიტისგანაც კი გასაკვირია მისის ხსენება. ეს არის ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია, რომელსაც საქართველოსთან აღარაფერი ესაქმება.

მეორე კაზუსი, რომელიც ზემოთნახსენებ ინფორმაციაში გამოჩნდა, საპარტნიორო ფონდია. სააქციო საზოგადოება ,,საპარტნიორო ფონდი“ წელს თებერვალში შეიქმნს და მისმა გამოჩენამ მაშინვე დიდი აზრთა სხვადსხვაობა გამოიწვია. ახალი კანონით, საპარტნიორო ფონდი, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე, არასასოფლო-სამეურნეო სფეროში სხვადასხვა პროექტს დააფინანსებს. სახელმწიფო ფონდის მეშვეობით, სახელმწიფო კერძო სექტორთან თანადაფინანსების რეჟიმში შეეცდება, ხელსაყრელი გარემო შექმნას მეწარმეებისთვის, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის.

სააქციო საზოგადოება დაფინანსდება ისეთი წყაროებიდან, როგორებიცაა: პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხები, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების დივიდენდები (მათ შორის, წილების ან ფასიანი ქაღალდების გაყიდვა) და სხვა. ხელისუფლება აცხადებს, რომ ფონდი ბიუჯეტიდან არ ივსება, მაგრამ შევსების ოფიციალური წყაროები აშკარად საერთო საკუთრებას განეკუთვნება და შეიძლება ითქვას, ის მაინც ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება. ახალგაზრდა იურისტები მიღებისთანავე აპროტესტებდნენ ამ კანონს. მათი თქმით, ფონდი ბიუჯეტიდან არ დაფინანსდება და მის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ იქონიებს. თუმცა, იქვე, ფონდის დაფინანსების წყაროებად დასახელებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების დივიდენდები და პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხებიც. ამ ორი წყაროდან საქართველოს 2011 წლის ბიუჯეტში, დაახლოებით, 300 მილიონი ლარი შემოსავალია გათვალისწინებული, რაც ბუნებრივია, გადამისამართდება ფონდში, რომელიც როგორც ბევრი ნაციონალური ფონდი, ბნელი და გაუმჭვირვალეა და უამრავი ხვრელით არის აღჭურვილი.

წესით, საპარტნიორო ფონდში პროექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუ სოფლის მეურნეობის სფეროში პროექტის ღირებულება მინიმუმ 5 მილიონი ლარი იქნება, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში — მინიმუმ 30 მილიონი ლარი. რაც მთავარია, კანონში მკაცრად არის ნათქვამი, რომ საპარტნიორო ფონდიდან დაფინანსდება პროექტები, რომლებიც არ შეეხება მომსახურების სფეროსა და უძრავ ქონებას. საეჭვოა, რომ ლიკანის პროექტი 30 მილიონზე მეტს ითვალისწინებდეს და აშკარაა, რომ იგი უძრავ ქონებასაც მოიცავს და მომსახურების სფეროსაც. მოგეხსენებათ, იქ სასტუმროს აშენებენ.

ერთი სიტყვით, უპატრონოდ დარჩენილ ქართულ საკურორტო მარგალიტს, ლიკანს, ახალი პატრონი გამოუჩნდა ვანო მერაბიშვილის სახით. ,,ყაზმუნაიგაზი“ იმათ თვალის ასახვევად გაიხსენეს, ვისაც კიდევ ახსოვს ყაზახური ინვესტიციები, საპარტნიორო ფონდი კი ბუნებრივია, იმდენ თანხას გაიღებს, რამდენიც სასტუმროს მშენებლობას დასჭირდება. რა ენაღვლება ვანოს, ჩვენი ფული.

**მანანა გეგიძე**

# abraam linkolnisa ariyos, yvelaze saSiSi iaraRi aris saarCevno biuleteni

**,,საერთო გაზეთის“ სტუმარია ექსპერტთა კლუბის წევრი, ექსპერტი სოსო ციცკარიშვილი.**

— ეროვნული იდეა უკვე ძალუმად შემოიჭრა ქართულ საზოგადოებაში. დღეში 30 უცნობი კაცი მაინც მაჩერებს ქუჩაში და მთხოვს საკუთარი ოპტიმისტური მოსაზრების დადასტურებას. ხალხი მზად არის და ეს მზაობა ძალიან მაიმედებს. უკვე, პრაქტიკულად, შესაძლოა, უკანასკნელი იმედი დაცული და საზოგადოების სასიკეთოდ გამოყენებული იქნას. რაც მთავარია, ,,ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდას უკვე ნაფტალინის სუნი უდის და მოსახლეობაზე ძველებურად აღარ მოქმედებს. ჩვენი საზღვარგარეთელი პარტნიორების განწყობაც იგივეა. აშშ-ს ელჩის ჯონ ბასის განცხადება იმის შესახებ, რომ გულისყურით თვალს ადევნებენ ივანიშვილის გარშემო ატეხილ ამბებს, ასე რბილად არ აღიქმება სამთავრობო წრეების მიერ. ვნახოთ, ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა, რომ მშვიდობიანი გზით, ცივილიზებული მეთოდებით მოხდეს ცვლილებები. მიმაჩნია, რომ მოსახლეობა მზად არის იდეის გარჩემო გაერთიანდეს. ივანიშვილის მიერ შემოთავაზებული იდეა ,,ქართული ოცნება“ უკვე იწვევს თანაგრძნობას.



**— რამდენად საფრთხის შემცველია ივანიშვილის მოულოდნელი გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე?**

— საფრთხე ნამდვილად არა გვაქვს. ეს მშვიდი დამოკიდებულება ბატონ ბიძინასთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ გამიჩნდა. თქვენ პირველი ჟურნალისტი ბრძანდებით, ვისაც ამის შესახებ ვუამბობ. ვერ გამოვდგები საზომ ერთეულად. ბევრი მქონდა გაგონილი ბატონი ბიძინას შესახებ, მაგრამ მაინც გაკვირვებული დავრჩი. ჩემი ოპტიმიზმის საფუძველი გახდა სრულიად მკაფიო მზაობა ამ ადამიანისა, იყოს ღია და პრინციპული გარკვეულ საკითხებში. იგი ცდილობს პრობლემა სიღრმისეულად შეისწავლოს, უარს ამბობს გააკეთოს რაიმე სახის პოპულისტური განცხადება, პირდაპირ აფრთხილებს მოსახლეობას, რომ არ აპირებს რაიმე სახის ფულადი დახმარების კარდაკარ ჩამოტარებას (ამას დღეს უგულავა აკეთებს ჩვენი ხარჯით), სამუშაო ადგილების შექმნაზე იქნება ორიენტირებული. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ტერმინებს უკუღმა აღგვაქმევინებენ. იტყვიან — ,,საქართველო — სიღარიბის გარეშე“ და სიღარიბე იზრდება დღითიდღე. ან ,,საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ და ის, რაც ადრე მაინც ჩანდა საქმედ, ლაპარაკად რჩება. ასე, რომ დაპირებებს აზრი არა აქვს, მაგრამ შეთავაზებები, რომლებიც სამართლიანი და საფუძვლიანია ივანიშვილის მხრიდან, კიდევ უფრო აშიშვლებს ხელისუფლებას. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ დააყენა საკითხი ბიომეტრიული პასპორტების შემოღების შესახებ. ძალიან ძვირიაო, განაცხადეს. ,,კი, ბატონო, გამოჩნდა კაცი, ვინც დააფინანსებს ამ დოკუმენტის დაბეჭდვას, მაგრამ საარჩევნო კომისიაც დუმს და მთავრობაც. დაითვალეს ხარჯები და აღმოჩნდა, რომ სამჯერ იაფი ჯდება, იმასთან შედარებით, რა თანხასაც მთავრობა ასახელებს. არგუმენტი აღარ დარჩათ, ფული კი არა გული უსკდებათ სამართლიანი არჩევნების პერსპექტივაზე გაფიქრებისასაც კი. ტყუილად კი არ ამბობდა ამერიკის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი, რომ ყველაზე საშიში იარაღი არის საარჩევნო ბიულეტენიო. ისე ეშინიათ, რომ ურჩევნიათ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს პროტესტის ნიშნად და შემდეგ ისე მოექცევიან მათ, როგორც 26 მაისს. ძალადობისთვის რესურსები ყოველთვის მზად აქვთ.

**— ბატონ ბიძინა ივანიშვილს უამრავი პრობლემა აქვს, როგორ გამოიყურება იგი ამ ფონზე?**

— ვინმეს ჩვენი შეხვედრისთვის რომ ეყურებინა, იფიქრებდა, რომ ეს პრობლემები მე მაქვს. აბსოლუტურად თავისუფალია ამ ზეწოლის ფაქტებიდან. ის დარწმუნებულია საკუთარ წარმატებაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაადექვატური ოპტიმიზმის ტყვეობაშია. მმას აქვს დრო, უნარი, საშუალება და მას ექნება უზარმაზარი მხარდაჭერა საქართველოს მოქალაქეებისგან.

**ნათია გოგიტიძე**



## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ruseTi msoflio savaWro organizaciis wevrobas uaxlovdeba _ evrokavSirTan uTanxmoebebi aRmofxvrilia

**რუსეთმა და ევროკავშირმა განაცხადეს, რომ გადალახეს ორმხრივი წინააღმდეგობები, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) მოსკოვის გაწევრიანებას ელობებოდა, – წერს The Wall Street Journal.**




„რუსეთი კუს ნაბიჯით უახლოვდებოდა მსო-ს, თუმცა ბოლო დღეებში გამოქვეყნებული შეთანხმება აღმოფხვრის იმ ბარიერებს, რის შედეგადაც რუსეთის წევრობა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში უფრო შესაძლებელი ხდება, ვიდრე შეუძლებელი, ამტკიცებენ სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები და ანალიტიკოსები“, – ვკითხულობთ წერილში.

„ახლა უკვე იკვეთება საიმისო კონტურები, რომ რუსეთისა და ევროკავშირის ძალისხმევით მოსკოვი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი 2012 წელს გახდება“, – აღნიშნავს ჩიკაგოს Mayer Brown LLP-ის იურისტი ნიკოლაი მიზულინი.

„ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას იმ საკითხებზე, რაც ორმხრივად მოწესრიგებას ითხოვდა. ამით რუსეთს გზა გაეხსნა სავაჭრო ორგანიზაციისკენ და იგი მისი წევრი წლის ბოლოს გახდება“, – აცხადებს ევროკომისარი სავაჭრო საკითხებში კარელ დე გიუხტი. მსო-ს წარმომადგენელთა მოსაზრებით, შეთანხმების დადებას შესაძლოა, დიდი დრო დასჭირდეს, თუმცა ისინი იმასაც აღიარებენ, რომ „დე გიუხტს ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად აქვს“.

„უკანასკნელ ბარიერს წარმოადგენს რუსეთის მოწინააღმდეგე საქართველო. იგი წევრია ჟენევის ორგანიზაციისა, რომელიც ახალი წევრის მისაღებად მსო-ს წევრი-სახელმწიფოების ერთსულოვან თანხმობას ითხოვს და ვეტოს დადებითაც იმუქრება“, – წერს ავტორი.

„ტექნიკური სამუშაო წარმატებით დასრულდა. ახლა ჯერი საქართველოზეა“, – აცხადებს სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

მსო-ს გენერალური დირექტორი პასკალ ლამი კომენტარს აკეთებს, საქართველოს არ ახსენებს, მაგრამ ნამდვილად მას გულისხმობს, როცა ამბობს: ამ ორგანიზაციის წევრებმა არ უნდა „მიმართონ ბლოკადას საკუთარი სიამოვნებისთვის“ და რომ მათ კეთილსინდისიერების გამოჩენა მართებთ უთანხმოებების გადასალახად.

ზოგიერთი დიპლომატის განმარტებით, ამერიკის შეერთებული შტატები და რამდენიმე ევროპული ქვეყნის მთავრობები არაოფიციალურად ცდილობდნენ საქართველოს დაყოლიებას.

დიპლომატიური წყაროების მიხედვით, რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში მისაღებად მოლაპარაკებები ნოემბრის შუა რიცხვებამდე უნდა დასრულდეს.

ისევ და ისევ გადასაჭრელია საქართველოსგან გამოყოფილი ტერიტორიების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა. საქართველოს დიპლომატიური უწყების წარმომადგენლები მთავარ პირობად აყენებენ ამ ორი გამოყოფილი რესპუბლიკის რუსეთთან საზღვრის გასწვრივ საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვებას. თბილისის განცხადებით, საქართველომ უკვე დათმო იმით, რომ ამ სასაზღვრო მონაკვეთზე ქართველი მებაჟეების უპირობოდ განლაგებას აღარ ითხოვს.

ევროპელი ოფიციალური პირები საყვედურს გამოთქვამენ აგრეთვე რუსეთის სანიტარიული და ჯანდაცვის სტანდარტების გამო, რომლებსაც თვითნებობად აფასებენ.

**The Wall Street Journal**
**The Financial Times**

# libia kadafis Semdeg: mdidari, rogorc dubai da natanji, rogorc erayi

**ლიბიის ახალ მმართველებს გიგანტური ამოცანის გადაჭრა მოუწევთ: დიქტატურითა და ომით გაწვალებულ ქვეყანას ახალი კურსის შერჩევა მართებს. ნავთობით მდიდარი ლიბია შესაძლოა, ახალ დუბაის დაემსგავსოს ან თავდაღმართზე დაეშვას და ერაყის მსგავსად სამოქალაქო ომის ახალ უფსკრულში გადაიჩეხოს, წერს Spiegel online-ის მიმომხილველი.**

შაბათს ლიბია ძველი მმართველისგან გათავისუფლდა, ერთი თვის განმავლობაში გარდამავალი ეროვნული საბჭო ტრიპოლიში უნდა დაფუძნდეს, მომავალი წლის ივნისში კი ნაციონალურმა კონგრესმა სამომავლო ორიენტირები უნდა განსაზღვროს, ვკითხულობთ წერილში. „ლიბიის დიქტატორი ჯერ კიდევ არ მიუბარებიათ მიწისთვის, გარდამავალი ეროვნული საბჭო კი ტრიპოლიში ჩრდილოაფრიკული „ნავთობის მარგალიტის“ თანამედროვე დემოკრატიად გარდაქმნის უჩვეულო და ამბიციურ გეგმებს აწყობს. დადგა დრო იმისა, რომ ახალი გაერთიანებული ლიბია ჩამოყალიბდეს“, – აცხადებს გარდამავალი ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მაჰმუდ ჯიბრილი.

რვა თვის განმავლობაში მიმდინარე ომის განმავლობაში, ჯერ ბენგაზიში, შემდეგ კი ტრიპოლიში, აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოების დედაქალაქებში, გამალებული მუშაობდნენ კადაფის შემდგომი პერიოდის გეგმებზე. უახლოესი კვირების მანძილზე უნდა განმტკიცდეს აჯანყებულთა წარმატებები და უნდა მიიღონ ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებები, – წერენ სტატიის ავტორები.



„ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ საფრთხეს წარმოადგენენ ახალგაზრდა აჯანყებულები, რომელთა აქტიურობა ახალ ხელისუფლებას უკვე აღარ სჭირდება – ახლა ისინი როგორმე უნდა დაუბრუნდნენ საზოგადოებას და მათ მშვიდობიან პირობებში ცხოვრება შეძლონ“, – წერს გამოცემა. ბეირუთის უნივერსიტეტის ეთნოლოგის, თომას ჰიუსკენის აზრით, „ბოლო თვეებში ბრძოლისა და წამების ახალი კულტურა ყალიბდებოდა“. აუცილებელია ბრძოლებში მონაწილე ახალგაზრდების რეგულარულ არმიაში ინტეგრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიარაღებული ბრძოლა მათი თვითიდენტიფიკაციის საშუალება გახდება, შენიშნავს ექსპერტი და თავისი მოსაზრებებით ერთგვარად აფრთხილებს კიდეც ლიბიის ახალ ხელისუფალთ.

მდგომარეობას ართულებს კიდევ ერთი გარემოება: ქვეყნის მოსახლეობა გამალებით ცდილობს, ხელში ჩაიგდოს კადაფის რეჟიმის დარჩენილი საბრძოლო იარაღის მარაგი. აი, ეს კი ნამდვილად ქმნის საერთაშორისო დონის საფრთხეს.

„სამოქალაქო ომის პერიოდში შექმნილ ათეულობით დაჯგუფებას შორის მწიფდება კონფლიქტი – მათი ლიდერები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება იმ სამხედრო აპარატში, რომელიც სწორედ ახლა ყალიბდება“, – აღნიშნავს გერმანული გამოცემა. ამასთან, ხელისუფლების ავანგარდში ნაკლებად ჩანან ისინი, ვინც კადაფის რეჟიმს აღმოსავლეთ ლიბია და ბენზაგი გამოსტაცა, განსაკუთრებულ პოზიციას კი ქვეყნის დასავლეთში მომხდარი მოვლენების „გმირები“ იკავებენ.

გამოცემის ანალიტიკოსებს არანაკლებ რთულ პროცესად ლიბიის პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბება მიაჩნიათ. „გარდამავალმა ეროვნულმა საბჭომ უნდა მოძებნოს ისეთი ლიდერები, რომლებიც ნდობით სარგებლობენ როგორც კონსერვატორ ისლამისტებში, აგრეთვე დასავლეთზე ორიენტირებულ ძალებში“.

**Der Spiegel**

# amerika da evrokavSiri ar arian mzad, amierkavkasiaSi Zalis gamouyeneblobis garantis funqcia itvirTon

**ამიერკავკასიის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი, მე-17 რაუნდიც უშედეგოდ დასრულდა: ამერიკისა და ევროკავშირის ხელისუფალთ არ გააჩნიათ ცალსახა პასუხი რუსეთის შეთავაზებაზე, იტვირთონ გარანტის ფუნქცია საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ.**



რუსეთის დიპლომატიური უწყების მაღალჩინოსნები აცხადებენ: ამერიკისა და ევროკავშირის მხარდაჭერა მსგავსი ვალდებულებების მიმართ გამოაფხიზლებდა საქართველოს და უარს ათქმევინებდა აგრესიულ გეგმებზე. პარტნიორებისგან მკაფიო პოზიცია ჯერჯერობით არ ჩანს, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ეს რეაქცია კონსტრუქციული იქნება.

რუსეთის ინიციატივა ასეთია: თუკი ამერიკა და ევროკავშირი ამ გარანტიების შესრულებას დათანხმდებიან, ეს არ იქნება უბრალოდ შეთანხმება. ჯერ ერთი, ძალის გამოუყენებლობა შეეხება თვით გარანტორ ქვეყნებს და მეორეც – რეგიონულ დონეზე მონიტორინგის პასუხისმგებლობაც მათ დაეკისრებათ.

როგორც ირკვევა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ამ ინიციატივას ეთანხმებიან, ხოლო საქართველოს წარმომადგენელი წინააღმდეგია. თბილისი დაჟინებით მოითხოვს, რომ რუსეთმა გააკეთოს ცალმხრივი განცხადება ძალის გამოუყენებლობის შესახებ. რუსეთის მხარე, რასაკვირველია, ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მისი ქვეყნის პოზიცია ურყევია – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი და მისი მთლიანობა სათუო არ გახდება, რადგან ამ ორ ახალ რესპუბლიკაში სახელმწიფოებრიობის მშენებლობა დინამიურად მიმდინარეობს.

შვეიცარიაში მიმდინარე კონსულტაციები დაძაბულად მიმდინარეობდა და ზოგიერთ ეტაპზე განსაკუთრებული სიმწვავითაც გამოირჩეოდა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ დისკუსიას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

ჟენევის კონსულტაციების მორიგი რაუნდი დეკემბერში გაიმართება.

**Infox.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გულბაათ ჭავჭავაძემ.**

# evropidan danaxuli saqarTvelo

**მათე ციხესაშვილი**

20 წელია რაც საქართველო დავტოვე და ემიგრაციაში ვიმყოფები. განცდა ძლიერია; როცა მოსწყდები იმ ადგილს, სადაც დაიბადე, გაიზარდე, გაატარე ბავშვობა, სკოლა, სტუდენტობა, ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლები. ძალიან მიყვარს საქართველო, ქართველი ხალხი. ყველა გაჭირვება, რაც თავს გადახდა ქართველ ხალხს ბოლო ოცი წლის განმავლობაში, თითქმის ჩემს თვალწინ გაიარა. სამხედრო ხუნტის მიერ მოწყობილი სახელმწიფო სამხედრო გადატრიალების შემდეგ არ დამიშურებია ძალა და ენერგია, რომ ჩემი წვლილი შემეტანა ჯერ ერთი, კანონიერების აღდგენაში, მეორეც, დავხმარებოდი თავიანთი მიწაწყლიდან უსამართლოდ დევნილებს...

გარედან როცა უყურებ და აძლევ შეფასებას საქართველოში მიმდინარე, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებს, ისმის ძალიან ბევრი კითხვა და ეს კითხვები ითხოვს პასუხის გაცემას — ნუთუ ამის გამო იქნა გალებული ამდენი მსხვერპლი, ამის გამო დაიხარჯა ამდენი ენერგია?! 20 წლის გადასახედიდან მინდა მივცე შეფასება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, ხაზს ვუსვამ, პოლიტიკურ მოვლენებს. არ მსურს ჩემი შეფასება მიიღოთ, როგორც პროგნოზი, რადგან ახლა არ ვაპირებ არავითარი პროგნოზის გაკეთებას (სიტყვა ბერძნულია და მომავლის ცოდნას ნიშნავს), მაგრამ მინდა ანალიზი გავუკეთო იმ საზოგადოებრივ აზრს, რომელშიც ჩადებულია ერთი მიზანი — რაც შეიძლება მალე გამოვიდეს ქვეყანა არსებული მდგომარეობიდან.

მკითხველს შევახსენებ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერის სიტყვებს, როცა თეთრ სახლში სამუშაოდ მიდიოდა, მან ბრძანა: „აქ იქნება მხოლოდ ერთი სამუშაო დეპარტამენტი და ეს იქნება საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი დეპარტამენტიო“. საქართველო, რომელიც არსებობს დღეს, რეალურად, პოლიტიკური, ტერიტორიული, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, შეიძლება დაიყოს 3 კატეგორიად: 1. საქართველო, ნამდვილად, რეალურად არსებული, რომელიც აცნობიერებს, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პრობლემებს და ეს საქართველო, ასე ვთქვათ, დგას 3 საფეხურზე: ხალხი, რომელთაც სწამთ თავიანთი ძალის, ხალხი, რომელთაც სწამთ თავიანთი რელიგიის, აქვთ რწმენა თავიანთი უფლებებისა და სიმართლის შესახებ და ხალხი, რომელიც ამბობს — საქართველო არ დგას კანონზე, რომელიც უნდა იყოს მისაღები ყველასთვის.

სამხედრო ხუნტის მიერ კანონიერი მთავრობისა და უზენაესი საბჭოს დამხობით რაც მიიღო საქართველომ, შედეგი სახეზეა და დღეს დადგა ის დრო, როცა ქართველი კაცი თავის თავს უკვე უსვამს კითხვას: ვინ უშველის საქართველოს?! ვინ გადაარჩენს?! ვინ მისცემს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის ურყევ საფუძველს — სამართლიანობას?!



რეალურ საქართველოს ესმის, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი განვითარების გზა, თავისი წარსული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ისტორია“ აღიარებს ერთადერთ სწორ პოლიტიკას, რომელსაც ეწოდება საკუთარი სიმართლის დაცვა. ინგლისელები ამბობენ: თუ არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა. ჩვენ ყველანი ვხვდებით და ვაცნობიერებთ რაზეა ლაპარაკი.

საქართველოში არის დღევანდელი, არსებული სახელმწიფო მოდელის კრიზისი, რომელიც არ დგას კანონზე და ხელისუფლებას მოეთხოვება პასუხისგება ისტორიის წინაშე, რადგან პოლიტიკაში მადლიერებაზე და მაღალ მატერიებზე ვერ ილაპარაკებ. პოლიტიკაში თუ მოხვედი სწორი მისიით, უნდა ეცადო, ასევე წახვიდე სწორი მისიით.

ჰერაკლე ამბობდა: რისთვის ვიცოცხლო? ათენისთვის მე უკვე მკვდარი ვარ, რაც შემეძლო მიმეცა სახელმწიფოსთვის, უკვე მივეცი...

ცოცხალი ჰერაკლე იმისთვის, რაც გააკეთა, აღიარებას არ ელის...

დოსტოევსკის აზრით, სიყვარული გადაარჩენს მსოფლიოს. ფორმულაც კი მოიგონა: სიყვარულს მიუმატე მზე, მიიღებ ცხოვრებასო...

საქართველო, რომელიც თავის თავში აქვს წარმოდგენილი და ჩაკეტილი სააკაშვილს და აცხადებს: რასაც მინდა, იმას ვაკეთებო — საქართველომ არ იცის, საითკენ მიდის და ეს საქართველო, სხვათა შორის, ძალიან განსხვავდება რეალური საქართველოსაგან. რამდენის უფლებასაც სააკაშვილი თავის თავს აძლევს, ამდენის უფლება საქართველოს ისტორიაში დავით და თამარ ბაგრატიონებსაც არ მიუციათ თავიანთი თავისთვის. ამიტომაა, რომ საქართველოში საზოგადოებას ძალიან დიდი პროტესტის გრძნობა აქვს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. მთავრობის მიერ ყურადღების გადატანა საერთაშორისო კანტორებზე, ევროპაზე, ან, თუნდაც, ამერიკაზე ქართველი ადამიანის მენტალიტეტისთვის მიუღებელია. მეორეც, დღეს მსოფლიო მივიდა იმ ზღვრამდე, რომ პასუხისმგებელი არავინაა — ევროპაში ევროპელები ერთმანეთთან საუბრისას ამბობენ — ევროკავშირი, ეს არის ცხოვრების დონე, ევროსაბჭო — ხარისხი ცხოვრებისა. ე. ი. გამოდის, რომ ეკონომიკური ინტერესები არის გადასული პოლიტიკურში. ევროკავშირში დემოკრატია, უფლებები და თავისუფლება უმაღლესი კანონია ევროსაბჭოში. ევროკავშირი ეს არის სუპერსახელმწიფო, რომლის ლოზუნგია — ჩვენი წლიური ბიუჯეტი იმ დონეზე, რომელიც ნაწილდება 9 საათში — ევროპელებს აქვთ ასეთი მენტალიტეტი: მუშაობენ დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდე, ანუ დღე-ღამეში 9 საათი. ისინი გამოდიან თავიანთი ყოველდღიური სამუშაო დროის ექვივალენტიდან, ანგარიშობენ სუფთა შემოსავალს, გადასახადებისა და ბანკის სესხების გარეშე, ხოლო რაც დარჩებათ, სუფთა მოგებად იმას მიიჩნევენ.

ევროსაბჭო არის ის, სადაც ყალიბდება სუპერ-იდეა. ევროკავშირი და ევროსაბჭო არის პროდუქტი ერთი იდეის, ერთი ძალის საერთო დაცვა. ორივე ორგანიზაცია არის გლობალური პარტნიორი ამერიკის პოლიტიკისა უშიშროების სფეროში და არა, როგორც რეგიონალური საერთო ბაზარი.

## SeZleben Tu ara qarTvelebi, siyvaruls miumaton mze, rom Seqmnan normaluri cxovreba?!



დღეს ამერიკა მიაჩნიათ ყოვლისშემძლე სახელმწიფოდ, თითქოსდა ის მართავს მსოფლიოს.

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ტრუმენი გაჰყვიროდა: ამერიკას შეჰყურებენ, როგორც ძლიერ და ყოვლისშემძლე სახელმწიფოს! ამერიკელი პოლიტოლოგები კი ამტკიცებენ: დედამიწაზე ამერიკელები ამყარებენ წესრიგს, ამერიკა რომ არა, მსოფლიო დაიღუპებოდაო და ა.შ.

ცნობისთვის: სამხედრო პოტენციალის მიხედვით, მსოფლიოში ამერიკა დგას პირველ ადგილზე, რუსეთი მე-6 ადგილზე. ამერიკის ბიუჯეტის 81 პროცენტი შეიარაღებაზე იხარჯება, ჩინეთისა — 45%, იაპონიის — 37%, ინგლისის — 32%, რუსეთისა –27%...

პაკისტანელების აზრით, მსოფლიოს მართავს 3 ასო: ალაჰი-ღმერთი, არმია და ამერიკა. 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკაც მიხვდა, რომ მსოფლიოს აღარ სურს მის მიერ მსოფლიო ჰეგემონის როლის თამაში. ისტორიაში არის ელინიზმი — შეხვედრა დასავლეთის და აღმოსავლეთისა. ახალი შუქი — ამერიკა, ეს აღმოსავლეთის მატერიკაა — **SIDALI, DUNDALI**, ძველი შუქი — ევრაზია, მთავარი გეოპოლიტიკური პრიზი ამერიკისთვის ევრაზია.

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი კენედი ამბობდა: თქვენ გჯერათ, რომ მომავალი მსოფლიო ამერიკისაა, მაგრამ თქვენ ცდებით, მსოფლიო იქნება ყველასი, თუ არადა, საერთოდ არ იქნება.

საქართველო, რომელზეც ვითომდა ოცნებობენ ე. წ. ოპოზიციის ლიდერები, რომლებმაც არ იციან, საიდან დაიწყონ, რა გააკეთონ და ერთმანეთს უღრენენ, როგორც დამშეული ძაღლები, სავარაუდოდ, საერთოდ ვერ ერკვევიან პოლიტიკაში და მუდმივად პოლიტიკით ფულის შოვნაზე ფიქრობენ.

დღეს ოპოზიციას არ აქვს იდეა. ხოლო იდეის გარეშე მიზანს ვერ მიაღწევ. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინეს შვილი — პავლე ეუბნებოდა: ევროპას რევოლუციების ტალღა რომ მოედო საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, რომ მომცე ერთი ან ორი დივიზია, ჩავიდოდი ევროპაში და წესრიგს დავამყარებდიო. ეკატერინემ უპასუხა: იდეას არ შეიძლება იარაღით შეებრძოლოო.

ხალხმა უკვე ნდობა დაკარგა ოპოზიციის ლიდერებისა, შეუძლებელია, რაიმეს მიაღწიო პოლიტიკაში, თუ ერთხელ ჩაიჭერი, ან დაუშვი შეცდომა ხალხი არ გაპატიებს, ნდობა აღარ არსებობს ოპოზიციასა და ხალხს შორის, რადგან შედეგს იძლევა მოქმედება და სწორად დადგენილი სტრატეგია...

განსხვავდება ეს იმ საქართველოსაგან, რომელიც აქვს წარმოდგენილი სააკაშვილს? დიახ და ასევე განსხვავდება ეს წარმოდგენები რეალური საქართველოსაგანაც. დღეს ქვეყანაში იდეა არ არის! არის მოთხოვნა — გადადექი!

იჩქერია — იდეა, ტალიბი — იდეა, იდეას ვერ დაუპირისპირებ ვერაფერს, ახალი იდეის გარდა! საქართველოში უნდა იყოს იდეა კანონიერების აღდგენის, ვფიქრობ, — ეს არის მთავარი იდეა!

ისტორია იქმნება ერთხელ, შეცვლა მისი შეუძლებელია, ვერც შეებრძოლები. ჩვენ ვსვამთ კითხვას, ფიქრობენ კი ისინი საქართველოზე, რომელიც დღეს რეალურად არსებობს? მე ამას ვერ ვხედავ! ერთიც და მეორეც რეალური საქართველოსგან მოწყვეტილნი არიან.

კლასიკური გაგებით, არ არსებობს ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეუძლია რეალურად მართოს საქართველო და ტრაგედიაც ეს არის! ტრაგიკულია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით საქართველოს საგარეო პოლიტიკა, რომელიც იმეორებს ერთსა და იგივეს, და დგას, რომ იტყვიან, მკვდარ წერტილზე. ყველა უყურებს დროს, დღეს ის დრო აღარ არის, როცა საზოგადოება ცხოვრობდა დევიზით — დრო კიდევ გვაქვს...

როცა ღმერთმა დაითხოვა სამოთხიდან ადამი და ევა, აქედან იწყება დროის ათვლა, მანამდე დრო, როგორც ფილოსოფიის კატეგორია, არ არსებობდა. დრო ეს არის სამოთხიდან გამოძევება, ამდენად, დრო პასუხს აკავებს...

**სტრასბურგი, სპეციალურად „საერთო გაზეთისთვის“ სექტემბერი, 2011 წ.**

### საქსტატს შვედეთის სტატისტიკის მისია ეწვია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და შვედეთის სტატისტიკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ოქტომბერს საქსტატს შვედეთის სტატისტიკის მისია ეწვია.

ექსპერტები მთელი კვირის განმავლობაში ფასების სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლებთან იმუშავებენ. შეხვედრების ძირითადი მიმართულება სამომხმარებლო ფასების ინდექსებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხებისა და ინფლაციის დათვლის მეთოდების განხილვა იქნება.

საქსტატსა და შვედეთის სტატისტიკას შორის 3-წლიანი თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში შვედეთის სტატისტიკა საქსტატს ტექნიკურ დახმარებას უწევს ინფლაციის, მთლიანი შიდა პროდუქტის, თანამშრომელთა ტრენინგის, და სხვა ძირითადი სტატისტიკური კომპონენტების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. პროექტის ბიუჯეტი 4 მილიონი ლარის ექვივალენტს შეადგენს შვედურ კრონებში და მთლიანად დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.

**„მედიანიუსი“**

## მოგზაურობა სამშობლოში

# daviwyebuli
## მუხრანი

*ისტორიული მუხრანი, რომელიც მუხნარს ნიშნავს, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა ძველად. მისი აღმოსავლეთის საზღვარი არაგვსა და მცხეთაზე გადიოდა, დასავლეთისა — ჯერ ქსანზე, მერე კი ლომისის ქედზე, ჩრდილოეთისა — ალევისა და ტყვილიანის ქედებზე (აქედან ალეურის ხეობა, გრემისხევი და ბაზალეთი ემეზობლებოდა), სამხრეთისა — მტკვარზე.*






კოდმანი. მგალობლიანთ საყდარი



კალოუბნის „წმინდა გიორგი“



შიომღვიმე. სალოცავი შიოს თავდაპირველ გამოქვაბულთან



შიომღვიმე. საერთო ხედი.

### კოდმანი

უხვთოვლიანი ზამთრის ერთ დღეს ოპერატორ სოზარ გულბანთან ერთად შიომღვიმის გადაღება გადავწყვიტე და მძღოლს საგანგებოდ გავამზადებინე „ნივა“.

მცხეთის სამთავროს მონასტრიდან შიომღვიმისაკენ მიმავალი ეს გზა მკითხველთა უმეტესობისთვის კარგად არის ნაცნობი, მაგრამ ვეჭვობ, ამ ადგილის სახელწოდება —„კოდმანი“ ყველას ჰქონდეს გაგებული. არადა, კოდმანი, კარსანთან და სარკინესთან ერთად, მცხეთის შემოგარენის უძველესი დასახლება იყო. ვეჭვობ იმასაც, რომ „ყველა იცნობდეს ამ გზაზე არსებულ ოთხ საყდარს. სამი მათგანი თითქმის გზის პირზეა: ორი — ხელმარჯვნივ („ღვთისმშობელი“ და „მგალობლიანთი“), ერთი — ხელმარცხნივ („წმ. დემეტრე“). პირველი ორი ტაძარი გვიანი შუასაუკუნეებისაა, მესამე — განვითარებული შუასაუკუნეების. სამივე ეკლესია კლდის ფლეთილი ქვითაა ნაგები. მათგან ყველაზე დიდი „წმ. დემეტრეა“, ყველაზე კოხტა კი „ღვთისმშობელი“. „წმ. „დემეტრესთან“ ნებისმიერ ამინდში ზედ კარზე მიგიყვანთ მანქანა, „ღვთისმშობელთან“ მცირე აღმართზე და კიბეებზე მოგიწევთ ასვლა, „მგალობლიანამდე“ მისვლას კი მხოლოდ ორხიდიანი მანქანა თუ შეძლებს. ამ ეკლესიის ჩრდილოეთით, დაახლოებით 300 მეტრში, ნასოფლარია, ოდნავ ზევით კი არქეოლოგიური თხრილების კვალი. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო უძველესი სოფელი კოდმანი.

სანამ გზა მკვეთრად დაეშვება მტკვრის ხეობაში მანამდე, კალუბნად წოდებული ალაგიდან, სამხრეთის მიმართულებით ერთი ფრიად უვარგისი და სახიფათო გზაა გაჭრილი ტყეში. ყველაზე გამოცდილი მძღოლისთვისაც კი აქ გავლა ნებისმიერი მანქანით მეტად სარისკოა. წარმოუგენლად დაღვარჭნილი 2 კილომეტრიანი გზა ციცაბოს პირზე გადის და ეკლესიამდე თუ ვერ ააღწიე, მანქანას ვერსად მოაბრუნებ.

გავრისკეთ...

უფლის ნებით სირთულეები დავძლიეთ და ამ ადგილების მეოთხე ეკლესიასთან — კალოუბნის „წმინდა გიორგისთან“ მივედით. მცხეთიდან შიომღვიმეში მიმავალი ადამიანი მას ვერანაირად დაინახავს, აი, მცხეთიდან არმაზში მიმავალს კი იგი მარჯვნიდან გადმოცქერის. ეს ტაძარი და შიომღვიმის „ჯვრის ამაღლება“ ერთი ხნის არიან (XII-XIII ს), ერთმანეთს გასცქერიან და ერთმანეთს გვანან. განსხვავება ისაა, რომ კალოუბნის საყდარს ახლომახლო სხვა მეგობარი არა ჰყავს ერთმანეთზე გადახვეული წყვილი ფიჭვის გარდა.

### ბუნთურქები

... შიომღვიმსაკენ დავიძარით. გზა თავქვე დაეშვა და სხალტბა-სარკინეთის ქედს სამხრეთიდან მოვექეცით. აქ ერთ პატარა მთას სავანეთის ქედი ჰქვია, ერთ ხევს — ჯოჯოხეთის ხევი, ერთს — რკინის ხევი, ერთ მცირე პლატოს — გრძელი მინდორი. ეს ის ადგილებია, სადაც მეორე საუკუნეში ფარსმან ქველმა ტახტის მოცილე მირდატი დაამარცხა. მაგრამ სარკინე გაცილებით ძველი დროიდან ყოფილა ცნობილი. ძვ.წ-ის 1405 წელს (თეიმურაზ ბატონიშვილის დაანგარიშებით) მცხეთელ მამასახლის სწორედ ამ იწროებში დაუსახლებია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ლტოლვილი ე.წ. ბუნთურქები. როგორც ირკვევა, მათ აქ ლითონის დამუშავება დაუწყიათ და თავიანთი გამაგრებული დასახლებისთვის სარკინე უწოდებიათ.

ტერმინი „ბუნთურქი“ აშკარად XI საუკუნეში მოღვაწე ლეონტი მროველის მიერაა გამოგონილი, რადგან ძვ.წ-ის XV-XIV საუკუნეებში, როცა ეს ტომი სარკინეში დაასახლა მცხეთელმა მამასახლისმა, თურქის ხსენება ცენტრალურ აზიაშიც კი არ იყო. სავარაუდოა, რომ ქართლში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ამოსული ე.წ. ბუნთურქები „ნათესავნი ქართველთანი“, ანუ ქართველური მოდგმისანი იყვნენ. ძვ-წ-ის IV ასწლეულის ოთხმოციან წლებში სარკინე კარგად ჩაკეტილი ციხე-ქალაქი ყოფილა. იგი ამჟამინდელი შიომღვიმის მონასტრის ტერიტორიიდან იწყებოდა და, როგორც ჩანს, დასავლეთით მდინარე ქსნის ნაპირზე არსებული ციხით სრულდებოდა. XVI საუკუნეში ბაგრატ მუხრანბატონმაც აქ ააგო ქსნის ციხე. მას იოლად ვერცერთი მხრიდან ვერ მიუდგები. მე და კიდევ ორმა ადამიანმა, ციხისძირის წმინდა გიორგიდან რომ მოვდიოდით სერდასერ, დაწალიკებულებმა რის ვაივაგლახით მივაღწიეთ ციხემდე და, ბუნებრივია ეს წავარნა ჯარს ვერანაირად ვერ გაატარებდა.

სარკინეს სიმტკიცეზე ამდენს იმიტომ ვსაუბრობ, რომ იგი ძვ-წ.ის IV საუკუნეში ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-ქალაქი იყო საქართველოში.

ლეონტი მროველის თხზულების თანახმად, აქ ორჯერ მოსულა ალქსანდრე მაკედონელი (ისტორიული საბუთებით ეს არ დასტურდება და ალექსანდრეს ნაცვლად, ალბათ, მისი რაზმებით გაძლიერებული ერთიანი საქართველოს პირველი მმართველი აზონი უნდა წამოვიდგინოთ). როცა სარკინისთვის ალყა შემოურტყამთ, ე.წ. ბუნთურქებს იქიდან, თურმე, ლანძღვითა და დაცინვით უპასუხნიათ. მოალყეთა ერთი ნაწილი სწორედ დღევანდელი ქსნის ციხესთან მდგარა და მას შემდეგ ამ ალაგს ნასტაგისი დარქმევია. აქ ერთხანს მცირე ელინისტური ქალაქიც არსებობდა. რას ნიშნავს ნასტაგისი? „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ხელნაწერში ნათქვამია, რომ „მაკედონელმა... გამოიღო რუ და დასხნა კაცნი მერუენი და სტაგითა რუსათა და რქვიან ადგილსა მას ნასტაგისი“. ნ.მარს მიაჩნდა, რომ სტაგი სპარსული სიტყვაა და ვაზის ლერწს, ზოგადად კი ვენახსაც ჰქვია. სულხან-საბა ორბელიანი კი ამბობს, რომ სტაგი ეწოდება რუს სათავეს. მაკედონელებს აქ რუს (იგივე არხის) გაყვანა ვენახის მოსარწყავად რომ არ დასჭირდებოდათ ეს უდავოა, მათ სხვა მიზანი ჰქონდათ — გადიდგულებული ბუნთურქების ჭკუაზე მოყვანა და ციხის აღება. ისინი ამ არხით ქსანს კალაპოტს შეუცვლიდნენ, ციხეს წყალს მოაშორებდნენ და ქალაქს მწყურვალს დატოვებდნენ. როგორც ჩანს, სარკინელების ციხიდან ქსანზე გვირაბი ჩადიოდა და ჭის როლს ასრულებდა. მაკედონელებს არხის სათავეში გუშაგები დაუყენებიათ, რომ ფარულად ვინმეს ისევ ძველ კალაპოტში არ მიეშვა მდინარე.

11 თვის მანძილზე, როცა მაკედონელები არხს თხრიდნენ და სარკინელებს წყურვილით სულის ამოხდას უქადდნენ, გულხელდაკრეფილები არც ბუნთურქები მსხდარან. მათ თავიანთი დასახლების ცენტრში, მომავალი მონასტრის ტერიტორიაზე, კლდეები გაუხვრეტიათ, დღევანდელი სოფლის — სხალტბის ტერიტორიაზე ასულან და იქიდან კავკასიის მთებში გაქცეულან. ასე რომ, სარკინეში შესულ ჯარს ციხე-ქალაქი ცარიელი დახვედრია. მთელი ეს ამბავი ერთხანს ლეგენდა მეგონა, მაგრამ მერე მის რეალობაში დავრწმუნდი.

### ცოცხალი თევზები და გახვრეტილი კლდეები

ნასტაგისი რომ ძვ-წ-ის III საუკუნიდან განვითარებულ შუასაუკუნეებამდე ჯერ ელინისტური და შემდეგ ქრისტიანული დასახლება ყოფილა, ამას არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ინვენტარი და მოზრდილი სამეკლესიანი ტაძრის ზეძირკვლის ნაშთები ადასტურებს (ამჟამინდელი შუშის ქარხნის ტერიტორია).

1511 წელს ახალაგებულ ქსნის ციხეში გამაგრებულ ბაგრატ მუხრანბატონს კახეთის მეფე ავგიორგიმ ალყა შემოარტყა და იფიქრა მშიერ-მწყურვალი მუხრანელები მალე დამნებდებიანო. მწარედ მოტყუებულა ავგიორგი — ბაგრატს მისთვის ცოცხალი თევზები გადმოუყრია თავზე და გადმოუძახებია: — მეფე კი ხარ, მაგრამ მეცოდები, რომ ამდენი ხანია ქსანზე დგახარ და თევზი არ გიგემნიაო. ავგიორგის ალყა მოუხსნია და გაბრუნებულა. ეს ამბავი ხალხში სხვაგვარი სიტყვებითაა შემორჩენილი და ციხესაც ფრიად უწმაწური მეტსახელი აქვს. ვინც ქსნის ციხეზე ასულა, მას ნანახი ექნება ერთი ვეება ჭა, რომელიც ახლა ციხის ნაშალი ქვებითაა ამოვსებული. როგორც ჩანს, მაკედონელის ეპოქის შემდეგ მდინარე ქსანი ნასტაგისთან ძველ კალაპოტს დაუბრუნდა და საიდუმლო ჭამ, დიდი ხნის შემდეგ ქსნის ახალაგებულ ციხეში ფუნქცია აღიდგინა.

მკითხველს ბუნთურქთაგან გახვრეტილი კლდის ამბავიც დააინტერესებს უთუოდ. შიომღვიმის მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ გამოქვაბულებში კარგახნის წინათ ასულმა ალპინისტებმა აქა-იქ ჩამოშლილი გვირაბები კი აღმოაჩინეს, მაგრამ, ბუნებრივია, მათ გაწმენდას და აღდგენს ვერ შეძლებდნენ. სანაცვლოდ ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი საყურადღებო ისტორიული საბუთი და ერთიც მეტად საინტერესო გადმოცემა. „შიომღვიმის შეწირულების სიგელი“ გვეუბნება, რომ თამარ მეფის მითითებით მწიგნობართუხუცესსა და მთავარეპისკოპოს ანტონ ჭყონდიდელს სოფელ სხალტბიდან, რომელიც შიომღვიმის ქარაფის თავზეა, 1203 წელს სასმელი წყალი ჩაუყვანია მონასტერში. დასახელებულნი არიან სხალტბაში მცხოვრები „წყლის მკაზმავები“ სვიმონ, გიორგი და იაბერ ქოსაისძენი და პატარ ქაჩუბარაისძე. მონასტერში წყალს უგვირაბოდ ვერ ჩაიყვანდნენ, გვირაბის გათხრა კი, ვფიქრობ, არ დაჭირდებოდათ, რადგან ბუნთურქთაგან გჭრილი ხვრელებიდან ერთ-ერთი აუცილებლად იქნებოდა გადარჩენილი. ამას ადასტურებს სხალტბელი კაცის შალვა მუზაშვილის (ნათელში იყოს მისი სული) ნაამბობი. მან გვიჩვენა სხალტბის ტერიტორიაზე არსებული ერთი უგემრიელესი, ცივი წყარო — სახელად ბოტკო-და გვითხრა:

— დიდი ხნის წინათ სოფლელებმა წყაროს შესაკრებელი მიწისქვეშა სივრცე და



შიომღვიმე. ნათლისმცემლის ინტერიერი და მოხატულობა

# sarkine

კლდეში ჩამავალი გვირაბი ნახეს, მაგრამ შორს ვეღარ წავიდნენ — ქვებით ყოფილა ამოვსებული. გადმოცემით კი სხვა ამბავია მოღწეული — სადღაც გვირაბის სიღრმეში, თითქოს, ოქროს საცერია ჩადგმულიო. გვირაბი და წყარო ძალიან ძველი ყოფილა და თამარის დროს აღუდგენით.

### ნეტარი შიო

ძვ. წ-ის IV საუკნის მიწურულს, ე.წ. ბუნთურქების გაქცევის შემდეგ სარკინე დაცარიელდა, მაგრამ სულ მალე ისევ აღდგა და ძველი ფუნქციაც დაიბრუნა. მეტალურგთა დასახლება დიდი მცხეთის საზღვრებში ჩაჯდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, მაგრამ, როგორც ირკვევა, გორგასლის სიკვდილის შემდეგ, იგი მაინც გაუკაცრიელდა. ერთ-ერთი ნეტარი ასურელი მამის შიო მღვიმელის ,,ცხოვრებაში'' წერია, რომ მან აქ, სარკინეს ტერიტორიაზე, ,,ჰპოვა ხევი ღრმაი, ფრიად ფიცხელი, უდაბნოი და ურწყული და ნაკლულოვანი ყოველთა სახმართაგან''.

მაშ ასე — შიომღვიმე...

მონასტრის ეზოს კარიბჭემდე, გზიდან ხელმარჯვნივ აღმართულია მინიატურული სალოცავი. (3,5 კვ..მ.) იგი XI საუკუნეშია აგებული



მიქაელის, სტეფანეს, გიორგის და იოანეს წარწერა

იმ ერთი, იოლად მისასვლელი, მცირე მღვიმის გვერდით, რომელიც დღემდეა შემონახული და ,,რომელი კმა ეყოფოდა (შიოს) მფარველად სხეულად მისსა და დაჯდა მას შინა დაყუდებით''. ნეტარ მამას აქ გამოეცხადნენ ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი, რომელთაც უთხრეს. ,,იქმნეს უდაბნო ესე აღსავსე კაცთა მიერ''-ო.

ამ ადგილს ასიოდ მეტრით რომ გავცდებით, მონასტრის კარიბჭის სიახლოვეს ე.წ. ,,ცრემლის წყაროს'' მივადგებით. იგი დღე-ღამეში მხოლოდ 120 ლიტრ წყალს იმეტებს. ლეგენდის თანახმად, შიოს ცხოვრებაში ერთ-ერთ ბერს, რომელსაც მტკვრიდან წყალი მოჰქონდა მონასტრის საძმოსთვის, ამ ადგილზე კოკები გასტეხია და დამწუხრებულს ტირილი დაუწყია. ნეტარ შიოს ქვაზე ჩამომჯდარი, თვალცრემლიანი ბერი რომ უნახავს, უნუგეშებია და ლოცვის ძალით იქვე, კლდიდან, მცირე წყარო გადმოუდენია.

მოდი, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და ისევ მცირე მღვიმეს დავუბრუნდეთ. ვიდრე მონასტერი ამოქმედდებოდა და ცრემლის წყარო გამოჟონავდა, შიო დიდხანს მჯდარა აქ და უცნაური მტრედის მოტანილი ნამცვრევით იკვებებოდა. ერთხელ მტკვრის გაღმა, ციხედიდში მცხოვრები ქართლის სპასპეტი ევაგრე ამ მხარეში გადმოსულა სანადიროდ და უცნაური მტრედი რომ დაუნახავს, დასდევნებია. ფრინველის კვალში ჩამდგარი სპასპეტი მღვიმეში დაყუდებულ ბერს წასდგომია თავზე და რომ გაუგია ვინც იყო, მისი ხშირი სტუმარი გამხდარა. ბოლოს ევაგრეს საერო ცხოვრებაზე უარი უთქვამს და შიოსთან დამკვიდრებულა. ნეტარ შიოს ასკეტური ცხოვრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული ,,სახელოვანი, ფრიად მხნე და გამარჯვებული'' სპასპეტისათვის თავად შეურჩევია ,,საზღვარი ჯდომისა და დგომისა, ლოცვისა და შრომისა''. კარგა ხნის შემდეგ ევაგრეს საცხოვრებლად ხარო ამოუთხრია მოშორებით. იგი დღემდეა შემორჩენილი მონასტრის ეზოში, გუმბათიანი ეკლესიიდან სამხრეთით, სატრაპეზოსთან ახლოს, მაგრამ ბერების დაუხმარებლად ვერ მიაგნებთ. როცა მონასტრის საძმო გამრავლებულა, შიოს ზედამხედველია განწესებული ევაგრესათვის უთქვამს. ,,ჯერ არს, რათა ეკლესია აღვაშენოთ, სადაც გვიბრძანოს ჩვენ ღმერთმან''-ო. შიოს ხელის გულზე ნაღვერდალი დაუდია და ზედ საკმეველი დაუყრია. ნიავს ცისფერი კვამლის სვეტი ჩრდილოეთით, ევაგრეს ხაროსკენ წაუღია და მის მახლობლად გაუჩერებია. როცა ტაძარში დასავლეთიდან შევდივართ, ხელმარჯვნივ რომ პირველი ეკლესიაა, ,,ღვთისმშობელია'', მის გვერდით არსებული უცნაური ფორმის ეკლესია —,,სამება'', ხოლო მთავარი, დიდი ეკლესია —,,ნათლისმცემელი''. ეს უკანასკნელი თავისუფალი ტიპის ჯვა-გუმბათოვანი ტაძარია. თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახეთ, რომ საკუთხევლის აფსიდი ზომაზე მეტად არის წამოწეული; ზუსტ კვადრატს ვერ ქმნის გუმბათქვეშა სივრცე, ხოლო ჩრდილოეთის მკლავი ერთი მტკაველით ღრმაა ვიდრე სამხრეთისა. გარდა ამისა დასავლეთის მკლავის მინაშენი ტაძრის ღერძიდან საკმაოდაა გადახრილი. ამის ერთი მიზეზი გრუნტის პროფილი უნდა იყოს, მეორე მიზეზი კი ღვთისმშობლის ეკლესიასთან მიახლოვების აუცილებლობა.

ავხედოთ გუმბათს იგი ძალიან საინტერესოა და შეკრულ კამარას უფრო წააგავს. რვაწახნაგიან დაბალ ყელში ოთხი სარკმელია გაჭრილი, ხოლო კვადრატიდან რვა წახნაგზე გადასვლა ორსაფეხურიანი ტრომპებითაა გადაწყვეტილი. ყოველივე ეს აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის თქმით, შიო მღვიმეზე ადრე აგებულ ერალაანთ საყდარშიც (ახმეტის რ-ნი) გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ნათლისცემლის კომპლექსივით რთული გეგმარების ტაძარი ჩვენში არ არსებობს. ამის უმთავრესი მიზეზი თვით შიოს გამორჩეულ ასკეტურ ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ. კომპლექსი, რომლის სამი მეოთხედი ნაწილი მიწაშია ჩამჯდარი, ნათლად მეტყველებს მისი დამკვეთის სულიერ მიმოქცევაზე. შიოსთვის მთავარი იყო არა ტაძრის გარეგნული იერი, არამედ მისი სიმტკიცე და ფუნქციური დატვირთვა — იგი ხომ უარს ამბობდა ყოველგვარ მიწიერ ფასეულობასა და მისწრაფებაზე. განა ამის გამოხატულება არაა ღრმა ხაროს ამოთხრა, შიგ ჩაჯდომა და ამოუსვლელად გარდაცვალება?! ანდერძის თანახმად, იგი არც გარდაცვალების შემდეგ ამოუყვანიათ ხაროდან და იქვე დაუკრძალავთ.

XI საუკუნეში მონასტრის წინამძღვარს მამა მიქაელს საფლავში შესასვლელად სატრაპეზოს მხრიდან გვირაბი გაუჭრია, ხოლო მის თავზე ნათლისცემლის ტაძრის ისედაც წაგრძელებული მკლავისთვის ახალი ეკლესია მიუშენებია. ამ ეკლესიის დასავლეთ ფასადზე არსებულ ჯვრიან ფილაზე ასომთავრულით ამოკვეთილ სახელებში, მიქაელთან ერთად, იკითხება სტეფანე, გიორგი და იოანე მემღვიმე.

ხარო-საფლავში რომ მოვხვდეთ, ჯერ VII საუკუნის სატრაპეზო უნდა გავიაროთ (ეს ნაგებობა მრავალჯერაა შეკეთებული), მერე — კიდევ ერთი მცირე ნასაყდრალი ალაგი და ის მინიატურული გამოქვაბული, რომელშიც შიოს მოთვინიერებული, მონასტრის ცხენთა და სახედართა ჯოგის მცველი მგელი იწვა. XI საუკუნეში აგებულ დერეფანში, რომელსაც შიოს საფლავამდე მივყავართ, ჩვენს ყურადღებას მიიქცევს მარჯვენა კედელში ჩადგმული ერთი მცირე ჯვარი და ჩუქურთმიანი ქვა. ეს უკანასკნელი აშკარად V-VI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სამკაულია და თავსატეხ შეკითხვას ბადებს — საიდან, როდის და როგორ გაჩნდა იგი აქ?...

მონასტრის მეორე დიდი ტაძარი — ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია დავით აღმაშენებლის დროსაა აგებული. როგორც ვიცით, დიდმა მეფემ, თავისი ცნობილი ანდერძით, მონასტერს უდიდესი უფლებები, შეუვალობა და განძი მიანიჭა. ამავე დროს უნდა იყოს აგებული მონასტრის კიდევ ერთი ეკლესია — ჯვრის ამაღლების საყდარი, რომელიც დამოუკიდებლად დგას მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მაღალ ბორცვზე.

ღირსი შიოს წმინდა ნაწილებიდან მონასტერში შემორჩენილია მხოლოდ მისი ცალი ბარძაყის ძვალი, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების ტაძარშია დავანებული. მონასტერში წირვის დროს თუ მოხვდებით, შეიძლება ემთხვიოთ კიდეც მას.

სხვადასხვა დროს შიომღვიმეს, რომელსაც არაერთი რბევა განუცდია, საგრძნობი ღვაწლი დასდეს ალექსანდრე დიდმა, სვიმონ პირველმა, როსტომმა და გიორგი XII-მ. ცალკე უნდა გამოვყოთ ზევდგინიძე-ამილახვრები, რომელთაც XIV საუკუნიდან საძვალედ და საპატრონოდ გადაეცათ მონასტერი. მათი სახელები ტაძრისა და საფლავის ქვების წარწერებს შემოუნახავთ. 1778 წელს სწორედ ერთ-ერთ გივი ამილახვარს (გივი ძალიან გავრცელებული სახელი იყო ამ საგვარეულოში) აღუდგენია აღმაშენებლის აგებული ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, მაგრამ გუმბათიანი ეკლესია სამნავიან საყდრად გადაუკეთებიათ. 1901-1903 წლებში ეს ტაძარი რუსმა მხატვარა ნ. ანდრეევმა მოხატა. მართალია, ეს ქართული კანონიკური საეკლესიო მხატვრობა არ არის, მაგრამ წუნი არ დაედება.

სათქმელი კიდევ ბევრია სარკინეს მთებსა და ნეტარი შიოს ლავრაზე, რომელიც ერთხანს 5000 ბერს ითვლიდა, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია სხვა ლიტერატურაც მოიძიოს და ცოდნა მისით შეივსოს. მე ჩემის მხრივ მუხრანის სხვა ადგილებში სამოგზაუროდ უნდა შევკრა გუდა-ნაბადი.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



შიომღვიმე. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, საერთო ხედი

dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #41



# `lekvi lomisa sworia, Zu iyos, Tunda xvadia~

ბატონმა გაიოზ მამალაძემ ისიც კარგად იცის, რომ დავითს, როგორც საკუთარი (ანასა და დავითის) ოჯახის უფროსს, იგნორირებას არავინ უკეთებს. მისი მხრიდან კანონიერების აღიარება ღირსების დამცირება სულაც არ არის. ასეთი საქციელით ის თავის წარმომავლობასა და კეთილშობილებას უფრო წარმოსაჩენს გახდის. ამ ქმედებით შობილი ბავშვი სამეფო მემკვიდრეობით უფლებას მიიღებს. წინა ნომერში დაბეჭდილ მამალაძის ინტერვიუში ბაბუისგან "შვილიშვილისთვის ტახტის წართმევის" თაობაზე გაკეთებული არაეთიკური განაცხადიც, ბატონიშვილ ნუგზარის ადამიანურ გრძნობებზე თამაში და პროვოკაციული განცხადებაა. ტახტს ახალშობილ ბავშვს, რეალურად, არა ბაბუა, არამედ მამა ეცილება. ამას დავით ბაგრატიონ-მუხრანელის ახლობელი ქალბატონი, მანანა ხომერიკის 2009 წლის 2 ნოემბრის გაზეთ "პრაიმ ტაიმისთვის" მიცემულ ინტერვიუშიც ადასტურებს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ დაშორდა ქორწინებისთვის ჩამოსული დავითი ანა ბატონიშვილს, ქალბატონი მანანა პასუხობს: "**როგორც ამბობენ, მომავალ შვილზე იეჭვიანაო. ფაქტობრივად, ეს ქორწინება მემკვიდრის დაბადებაზე იყო გათვლილი და ბავშვის გაჩენის შემდეგ დავითი გამოდიოდა, როგორც სუროგატი მამა და მეტი არაფერი**". იგივეს ადასტურებს "საერთო გაზეთის" მამალაძის ინტერვიუს სიტყვები:" **ისიც (დავითი) დე-იურე, თავს აცხადებს სამეფო სახლის უფროსად!**" ანუ დავითი "თავადაზნაურთა საკრებულოს" ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეცდომაში შეიყვანეთ, როდესაც ქორწინების შედეგად, სავარაუდოდ, მეფობას დაჰპირდით. **მთელმა საქართველომ იცოდა, რომ მომავალი მეფე ქორწინებიდან შობილი ბავშვი უნდა გამხდარიყო და არა დავით ბაგრატიონ-მუხრანელი. (ქართველებმა** საქართველოს ისტორიაც კარგად ვიცით. უცოდინრებს კი "ტვინს ნუ ურევთ".) ქორწინების შემდგომ, დავითთან "თავისუფლების ინსტიტუტის" მეთაურების გახშირებული ზარებიც ანტისახელმწიფოებრივი ფრთის ამ საქმეში დიდ დაინტერესებაზე მეტყველებდა. ბატონო გაიოზ, მაშინაც ცრუობთ, როცა აცხადებთ: "ესპანეთისა და ევროპის სამეფო ოჯახები, უპირატესობას სწორედ დავითის ოჯახს ანიჭებენ. ბავშვიც ესპანეთში დაიბადა და ოჯახიც ესპანეთში ცხოვრობს. როგორ წარმოუდგენია ნუგზარს და მის კანცელარიას ასე მარტივად ეს ყველაფერიო"? ესპანეთის სამეფო ტახტთან მუხრანელთა შტო სწორედ ვლადიმირ კირილეს ძის პირადი დაინტერესებით გაცემული აქტის საფუძველზე დანათესავდა. რაც შეეხება ევროპის სხვა ქვეყნებს, (ესპანეთსაც) "**თავად-აზნაურობისა და სამეფო ხელისუფლების საერთაშორისო კომისიის - The International Commission on Nobility and Royalty**" კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი მოწერილ წერილში ვკითხულობთ: "**თქვენო უწმინდესობავ**, გწერთ, რათა გაცნობოთ, რომ განვიხილეთ თქვენი დამოწმებული გენეალოგიური ინფორმაცია და შევადარეთ მისი ბრწყინვალების, თავად დავით ბაგრატიონ-მუხრანსკის (საერთაშორსო **კომისიაც რუსულ დაბოლოებას იყენებს, ბატონო გაიოზ?)** მოთხოვნები მისი სამეფო უმაღლესობის, ბატონიშვილ ნუგზარ ბატონიშვილი/ცარევიჩის მოთხოვნებს. სრულიად ნათელია, რომ საქართველოს ჭეშმარიტი "დე-იურე" მეფე არის ბატონიშვილი ნუგზარი... ბატონიშვილ ნუგზარის ხაზი კი სუფთა სალიკური ხაზია და იმ მეფისგან მოდის, რომელიც 1800 წელს **ქართლისა და კახეთის გაერთიანებული სამეფოს მართავდა.** (ესეც მე ვარ?) ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოს უკანასკნელი მირონცხებული მეფე (მეფე გიორგი VIII, 1446-1466წ.წ.) არის ბატონიშვილ ნუგზარის და არა თავად დავითის პირდაპირი წინაპარი. მისი სამეფო უმაღლესობა ბატონიშვილი ნუგზარი არის უკანასკნელი მირონცხებული მეფის კანონიერი შთამომავალი. როგორც ვიცით, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო სამართლის ასევე და კანონსა და მართლმადიდებლური ეკლესიის თვალსაზრისით. პატივისცემით, **პიტერ ჰარადინი. თავად-აზნაურობისა და სამეფო ხელისუფლების საერთაშორისო კომისია. ,,კარსონსიტი №V89701. ხელმოწერა ბეჭედდასმულია.**" ტექსტი სამ გვერდზეა დაბეჭდილი. **არსებობს ეჭვი, რომ უწმინდესის დეზინფორმაციის მცდელობაში შემჩნეულმა "ხსენებულმა კოალიციამ" პარტიარქს ეს დოკუმენტიც დაუმალა.!** მკითხველი იმასაც დაინახავს, რომ საერთაშორისო კომისიაც, საერთაშორისო სამართალიც მართლმადიდებლური კანონის და არა ესპანეთის ბურბონთა რელიგიური კანონის მნიშვნელოვნებაზე საუბრობს. როგორც ჩანს, პატრიარქის ნდობით სპეკულირებთ, ამ ნდობის ცუდად გამოყენებითაც, არა ბატონიშვილი ნუგზარი, არამედ საპატრიარქოს სამდივნოსთან დაახლოებული "თავადაზნაურთა საკრებულოს" წარმომადგენელი და "მასთან შეხმატკბილებული" "სამეფო კლუბის" კანცლერი გაიოზ მამალაძე სარგებლობენ. (ამ თემაზეც, ძირითადად, ისინი აქტიურობენ) წერილის ტექსტიდანაც ჩანს, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს გენეალოგიის ინფორმაციის გადამოწმება, მაინც მიზანშეწონილად ჩაუთვლია და სჩანს, არც თუ უსაფუძვლოდ?!

ხაზს ვუსვამ, რომ არანაირი კავშირი და პრეტენზია, სამეფო ტახტთან ჩემს გვარს არასდროს ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ მეფის დროიდან ტახტის აზნაურები ვართ. (იმედია, ამაზე "თავადაზნაურთა საკრებულოს" ნებართვა და საწევროს გადახდა არ დამჭირდება, რადგან ჩემი გენეალოგიური ხაზი კარგად ვიცი). როგორც ქართველს, მინდა მეფეც მყავდეს და ვიამაყო, რომ ბაგრატოვანთა სახლის 1300 წლოვანი კულტურული ტრადიციის მემკვიდრეობის მქონე ერის შვილი ვარ. ამასთან, არ მინდა გარკვეული ჯგუფების კერძო მერკანტილურ თუ შურისმაძიებლურ ინტერესებს შეეწიროს მონარქიის დიდი ეროვნული იდეა. ამის საშიშროება კი დიდია. ამ თემისადმი ჩემს ინტერესსაც მხოლოდ სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიდგომა და პროფესიული დამოკიდებულება განაპირობებს. გაიოზ მამალაძის და "თავდაზნაურთა საკრებულოს" წარმომადგენლის განცხადებებსა და გამოსვლებში აშკარად სუბიექტური დამოკიდებულება და პირადი ინტერესი იკვეთება. "საერთო გაზეთის" ინტერვიუში გამოკვეთილად იგრძნობა გაიოზ მამალაძის ტენდენციური დამოკიდებულება ბაგრატიონ-გრუზინსკების საგვარეულო შტოს მიმართ. იგი ცდილობს ამ თემის ეზოთერულ კონტექსტში გადაყვანას, რითაც მოხერხებულად მანიპულირებს მკითხველის შინაგან განწყობაზე და აშორებს მას რეალობიდან. ამას კი სარწმუნოებით სპეკულაცია ჰქვია. ბევრია სიყალბის ფაქტებიც. მაგ: "ამავე გაზეთიდან" გაცხადებული მოსაზრება, რომ თითქოს "ბატონიშვილი ნუგზარი უპირისპირდება სიძეს სამეფო ტახტის გამო და შვილიშვილსაც არ აძლევს ტახტის მემკვიდრეობის უფლებას... დავითი არავითარ შემთხვევაში ნუგზართან არ მივა არ ეტყვის—მაპატიე, შენ ხარ უფროსი და მიეცი ჩემს შვილს შენი გვარიო". წინაპართა შეცდომაზე დავითს საბოდიშო არაფერი აქვს, თუ ის ამ საკითხს მართლაც დიდსულოვნებით მიუდგება. "ესპანეთის სამეფო ოჯახები უპირატესობას დავითის ოჯახს ანიჭებენო". თქვენს დაინტერესებას ესპანეთში მცხოვრები ბაგრატიონთა შტოს არაკა-

20 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

19 gv.

# `lekvi lomisa sworia, Zu iyos, Tunda xvadia~

ნონიერ ლეგიტიმაციაზე ცხადად ვხედავთ, მაგრამ ესპანეთი ვის, ან რას ანიჭებს, ქართული სინამდვილისთვის და ეროვნულობაზე პრეტენზიის მქონე ისტორიკოსისთვის ასეთი მნიშვნელოვანი რატომაა? თანაც მაშინ, როდესაც ხუან კარლოსის მამამ თავის დროს დინასტიის სიიდან ამოიღო ინფანტა მერსედესიცა და მისი ქმარი ირაკლიც. ინფანტა მერესედესი დღემდე ამოღებულია ესპანეთის დინასტიის სიიდან!!! ჩვენ ხომ ქართული სამეფო უპირატესობა გვჭირდება. რისი ხაზგასმა გსურთ იმით, რომ "ბავშვი უკვე თავის პაპაზე წინ დგას". "გრუზინსკი" რუსეთის მიერ ბოძებული ტიტულიაო." თანაც რუსული კვალის დასაფარად, ამბობთ, რომ ამ ოჯახს (ბაგრატიონ-მუხრანელებისას) რომანოვების ოჯახთან საერთო არა აქვსო. როგორ არა აქვს, როდესაც ამ ოჯახის (ვლადიმირ კირილეს ძის თანხმობით) ინფანტა მერსედესზე დაქორწინდა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი და ამ ქორწინების შედეგს, ესპანეთის სამეფო კართან მათ დანათესავებას, თქვენც განსაკუთრებულად უსვამთ ხაზს. აღნიშნავთ რა, რომ "რუსეთის ტახტის მემკვიდრემ, ვიდრე ცოლად მოიყვანდა ქართველ ლეონიდას, აღიარა ბაგრატიონთა და ქართველთა უფლებები დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში და თქვენ გგონიათ, რომ ეს ყველაფერი ჰაერში გასროლილი სიტყვები იყოო?". რომელ დამოუკიდებელ საქართველოს გულისხმობთ, სოციალ-დემოკრატ მარქსისტებთან დამეგობრებულ ჟორდანიას მთავრობას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე "ყელში ჰყავდა გაჩხერილი"?! ოღონდ ძალაუფლება შეენარჩუნებინათ, საქართველოს ქონება უცხოელებს რომ გაანიავებინეს და თავად-აზნაურთაგან, საქართველოსთვის შეგროვილი ბანკში შეტანილი მთელი სიმდიდრე საზღვარგარეთ რომ გაიტანეს და გაიქცნენ? რუსეთის ბოძებულ ტიტულზე "გამოკიდება" და ერთდროულად მისგან მუხრანელთა შტოს ლეგიტიმურობის აღიარების ასეთი "ამაყად ხაზგასმა" ორმაგი სტანდარტი ხომ არ არის? ჰაერში გასროლილი სიტყვებიც რომ არ გვგონია, სწორედ მაგაშია საქმე?! აშკარაა, რომ "რაღაც ძალები" ქართულ სამეფო ტახტზე დინასტიური ცვლილებების შეტანას ცდილობთ. ეს ისტორიული დანაშაულია და ამის უფლება არავის ქვს! ბატონი გაიოზი ბრძანებს: "დავითი ამაყია და არავისთან მივაო." ამით რისი თქმა სურს, რომ თავმდაბლობითა და კეთილშობილებით თბილისში ცნობილი ნუგზარ ბაგრატიონი გვარის დაცვის ღირსების საკითხში ვინმეზე უპრინციპო და "უხერხემლო" აღმოჩნდება? "თვითონ ნუგზარმა სიძე, დავითი უნებლიედ თუ უცოდინრობით თავად აღიარა, როცა ანა მიათხოვა და ახლა რას ითხოვსო"? ჯერ სიძედ ქალიშვილის მეუღლის აღიარებას საკუთარი სამეფო უფლებების უარყოფა რატომ გგონიათ? გვარის ღირსების პატივისცემაში რატომ ურევთ? მეორეც, ანასთან დავითის ქორწინება სწორედ თქვენი "კოალიციის" ინტერესში შედიოდა. სხვა შემთხვევაში, "ესპანეთსა და ევროპაში აღიარებულ სამეფო სახლის მეთაურს" უცხოეთში მცხოვრებ ნებისმიერ ბაგრატიონ ასულზე შეეძლო დაქორწინება და ამისთვის ანა ბატონიშვილი "საჭირო" არ გახდებოდა. ეს თქვენც იცით და ქალბატონმა იამაც. გინდაც თქვენი რიტორიკული შეკითხვა: "რატომ ვერ თუ არ გახდა ის ლიდერი ნუგზარ ბაგრატიონი მაშინ იმ წლებში?" (გულისხმობთ 90-იან წლებს). იმიტომ, რომ სწორედ წარმომავლობის, კეთილშობილებისა და ღირსების გამოვლინებაა ის, რომ "იმ წლებშიც" და "სხვა წლებშიც" კეთილშობილი გვარის წარმომადგენლები სამოქალაქო დაპირისპირებებსა და პოლიტიკურ ბატალიებში არ უნდა ერეოდნენ. სამეფო ღირსება "ყოველთა ქართველთა" ერთნაირად პატრონობაა არა ერთი რომელიმე ჯგუფის. თქვენ კი, ამ შემთხვევაში, მონარქიის იდეის ირგვლივ ქართული საზოგადოების გაერთიანების, ეროვნული თანხმობის ნაცვლად აშკარა "დავალებულ დაპირისპირებას" უწყობთ ხელს. ან რატომ არის მიუღებელი თქვენთვის, "სამეფო კლუბის" სპიკერისთვის, "'ბატონიშვილის", "პრინცისა" და "პრინცესას" სამეფო კანცელარიის დოკუმენტებში შეტანა და იმავდროულად



მისაღები თქვენი წოდება– "სამეფო კლუბის" სპიკერობა? ან "მდაბიოებად" — ტაბიძეების, მუსხელიშვილების, ვეკუების, ფიროსმანის (ფიროსმანაშვილის) მოხსენიებით, სოციალური ფენების დაპირისპირების გაზგასმა რაში გარგებთ, თუ ამასაც განზრახ არ აკეთებთ? თქვენს მიერ ნახსენები იმერელი ბაგრატიონების "განაწყენებულიდშტო", რომელმაც მომავალში შთამომავლობის გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონზე დაქორწინება შეიძლება მოისურვოს, შეუღლების შემთხვევაში, თქვენივე მოყვანილ "ბურბონების მაგალითზე" შვილს როგორ დაწერენ, ბაგრატიონ-ბაგრატიონ-ბაგრატიონად? აქაც შეგნებულ შეცდომაში შეგყავთ საზოგადოება. ესპანეთის კონსტიტუციაში ხუან კარლოსი არ წერია ორი ბურბონით, არამედ მხოლოდ ერთით! თანაც როგორმე, დავით სოსლანი სტატუსით მუხრანელებზე მაღლა იდგა, მაგრამ ლაშა-გიორგის ერთი ბაგრატიონი უწერია, თანაც თამარი ძეობით! საიდან და რისთვის მოგაქვთ ამდენი ყალბი ფაქტები? თუ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეზე ვსაუბრობთ, გვარის გადაცემის ქართულ პრინციპს უნდა დავეყრდნოთ. პატარა გიორგი მართალია ესპანეთში დაიბადა და იქ რატომღაც ბურბონ-ბურბონად დაარეგისტრირეს. ესეც საქართველოდან მიწოდებული თქვენი რჩევა ხომ არ იყო? ბაბუაც, ბატონიშვილი ნუგზარი, რა თქმა უნდა, მიიღებს და აღიარებს შვილიშვილს. ჩვენ კი, სრულიად საქართველო, ვიმედოვნებთ, რომ გიორგის ქართული მოქალაქეობის აღებისას, ქართული სამეფო ტრადიციისამებრ, მას მშობლები **ბარგატიონ მეფეთა დარად** დაარეგისტრირებენ საქართველოში. ჩვენი დიდი მეფეებიც ხომ ერთ, ბაგრატიონთა ღირსეულ გვარს, ყოველგვარი კომპოზიტებისა და "ორი სათაურის" გარეშე ატარებდნენ.

თუ ვინმე პატარა გიორგის სამეფო ტახტზე უფლებას უკარგავს, ბატონო გაიოზ, ეს თქვენი "კოალიციის" მიერ შეცდომაში შეყვანილი მისი მამა, თავადი დავით ბაგრატიონ-მუხრანელია. თქვენ და "აქაური კოალიცია", ბატონო გაიოზ, იმის ნაცვლად, რომ დავითს დაანახოთ, რომ ამდენხნიანი ისტორიული წყვეტის შემდეგ, მისი თუნდაც გვერდითი თავადური შტო ამ ქორწინებით ქართველ ბაგრატიონთა დიდი ოჯახს დაუბრუნდა. საქართველოს ამდენ ხანს მოწყვეტილი მისი გვარი, დედა სამშობლოს წიაღს უბრუნდება და დავითსაც მტრად არავინ აღიქვამს, (რადგან საქართველოში სიძე იგივე შვილია და არა უცხო) თქვენი განცხადებებით, "ცეცხლზე ნავთს ასახამთ" და აშკარად "ვიღაცის დავალებას" ასრულებთ. თუ მონარქიისთვის კარგი გსურთ, დავითს უნდა განუმარტოთ რამდენად ღირსეულია საქართველოში ბაგრატოვანთა ტახტის მემკვიდრის მამის პატივი. თქვენ კი ამ დროს საზოგადოებისთვის ფაქტების არასწორად ინტერპრეტირებით ხართ დაკავებული. ან როგორ კადრულობთ იმის განცხადებას, რომ ბაგრატოვანთა სამეფო სახლის მეთაურმა, გვარის წარმომადგენელმა ქართველმა ბაბუამ ტახტის რეალურ მემკვიდრეს შეიძლება რაიმეთი შეუშალოს ხელი? წარმოდგენილი საერთაშორისო დოკუმენტიდან ნათლად სჩანს, რომ ბატონიშვილ ნუგზარს დასაპირისპირებელი სიძესთან არაფერი სჭირს. ის მხოლოდ საერთაშორისო და ქართული დინასტიურ კანონმდებლობებს ექვემდებარება და ამ წესების უარყოფა დაუშვებელია. ეს ხომ არ არის თქვენი "კოალიციის" ასე გაღიზიანების მიზეზი?

თქვენ მაშინაც იცრუეთ, როდესაც ბაგრატიონ-გრუზინსკებსა და ბაგრატიონ-მუხრანელებს შორის ტახტისთვის დაწყებულ დავაზე განაცხადეთ. მონარქიის განხილული ფორმა, არც ძალაუფლებასა და მართვას, არც ქონებრივ კეთილდღეობას რომ არ ითვალისწინებს ეს თქვენ კარგად იცით. "მეფე მეფობს და არ მართავს". ყველაფერი, როგორც მოგახსენეთ, პრესითა და მედიით აგორებული კიდევ ერთი სკანდალისა და გადაფარვის თემაა. "გათიშე და იბატონეს" ნაციონალებისგან კარგად ათვისებული მეთოდია. სიუჟეტიც ამ ფორმით ამიტომაც მომზადდა. ინტერნეტში განთავსებული "დანართი №13" 2010 წლის მთავარი განცხადების ერთ-ერთი დანართია და ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო სახლის მიერ საზოგადოებისთვის სიმართლის თქმის მცდელობას წარმოადგენს. მედიამ და პრესამ კი ამით მორიგი სკანდალის ატეხვა სცადა. დღევანდელ საზოგადოებასაც სიმართლის გაგებას ხომ



"ყვითელი პრესითა და შორენავიზიებით" გავრცელებული სიცრუის მოსმენა და "სხვის საცვლებში ქექვა" ურჩევნია?! ხელისუფლებაც ამის შესაძლებლობას აძლევს. მხოლოდ უვიცი და უწიგნური ვერ გაარჩევს ოქმის ნომრიან ამონაწერს დეკრეტისგან. თუმცა ეს "შორენავიზიის" სარედაქციო სამსახურის პრობლემაა. სადაც სოფლის მეურნეობის მინისტრი "დედალ-მამალ ძროხას" ერთმანეთისგან ვერ არჩევს, მათი გუნდის წევრ "ტახიროვიჩს" დეკრეტი და დანართი რომ ერეოდეს, რა გასაკვირია?!

"სპეცსიცრუეში" ნათქვამი ბევრი აბსურდისა და ტყუილის ფონზე ყველაზე დიდი აბურდი თავად ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელის პიროვნება. მამალაძის პრინციპით, "თავდაზნაურთა საკრებულოს" მეთაურობის დაბრალებით, ისიც **"არაბაგრატიონი უზურპატორი"** ხომ არ გამოდის. რადგან "თავადაზნაურთა საკრებულოს" მეათაური თავადი კოტე ჩოლოყაშვილია, ქალბატონი ია კი მხოლოდ მისი მოადგილე. მის ეთნიკურ წარმომავლობასთან პრეტენზია ნამდვილად არავის აქვს. სპეცრეპორტაჟის "რეჟისორული გამჭრიახობა" იყო დიქტორის სიტყვებიც: **"ქალბატონმა ია მუხრანელმა კამერების წინ საუბარი არ ისურვა".** ამ დროს მსხვილი პლანით, ვითომ "ფარულად გადაღებული კამერით" ქალბატონი ია ახმოვანებს ზუსტად იმას, რა მიზანსაც ხსენებული "სპეცრეპორტაჟი" ემსახურებოდა**, აქ ძალიან ბევრი შეცდომაა".** – **"ფაქტობრივი?"** – ჟურნალისტის ფრაზა. (ქალბატონმა იამ შესანიშნავად იცის, რომ არანაირ შეცდომას ადგილი არ ჰქონია.) **"დიახ, ფაქტობრივი და უზნეობის გამოვლინებააცაა",** – პასუხობს ქალბატონი ია და აქ უკვე **"გადაცემის კვანძიც იხსნება".** წამყვანის ტექსტი: **"ეკუთვნის თუ არა სამეფო ტახტი ანა ბაგრატიონის შვილს?"** ქალბატონი ია კიდევ **ერთ "ინიციატივას" ახმაურებს: "თავადაზნაურთა საკრებულოს" მოადგილე ფიქრობს, სამეფო წესით ბაგრატიონების ყველა წარმომადგენელი უნდა გაიზარდოს და ამის შედეგ გაირკვევა ვინ გამოავლინა ლიდერის თვისებებიო".** ბოლო გამოსვლებში მას პოზიცია შეუცვლია და გიორგი ბაგრატიონი "აღმოჩნდა" ასეთი ლიდერი. თუ ანა ბატონიშვილის დინასტიური მემკვიდრეობითობა არაფერს ნიშნავდა, მონარქიული წრეები 90-იანი წლებში რისთვის "იბევებდით" ბატონიშვილს? სწორედ როგორც ტახტის მემკვიდრეობითობის გამრგძელებელს, პატრიარქი ანას მუდმივად რჩევა-დარიგებებს რატომ აძლევდა? "თავდაზნაურთა საკრებულოს" მოადგილეს არც ის სმენია, რომ **სამეფო ხელისუფლების თეორიული საფუძვლები სათავეს არჩევითი მეფობისგან იღებს. ე.წ. "საულის პარადიგმაა" და მიღებულია ევროპის მიერ. საქართველოზე კი "დავითის პარადიგმა" რომ ვრცელდება", რომელიც დაფუძნებულია ღვთისა და დავითის აღთქმაზე? სათავეს კი "დავითის სახლიდან" იღებს. მათ შორის პრინციპული სხვაობა რომაა. ქრისტიანულ სამყაროშიც სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის ორი ფორმულა რომ არსებობს. ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის მიღებული- "მეფე წყალობითა ღვთისათა" და მხოლოდ საქართველოსთვის - "მეფე ნებითა ღვთისათა"?!** ასეთი უზუსტობის დამშვები პიროვნება ბაგრატოვანთა სახელით საუბარს როგორ ბედავს? ან "თავადაზნაურთა საკრებულოს" მოადგილემ მისდა სამარცხვიონდ ეს არ იცის. ან მან ყველაფერი იცის და სწორედ "ვიღაცის დავალებით" მოქმედებს?! ქალბატონი ია "სპეცრეპორტაჟში" "ერისადმი თავდადებულ ბაგრატიონის" მოსურნეობაზეც საუბრობს. "ქართველ ხალხსაც ასეთის ხილვა სურსო". თუმცა უზნეობაზე საუბრისას, არაფერს ამბობს რა შედეგის მოტანაც, ტახტის მომავალი მემკვიდრის მამის– დავით ბაგრატიონ მუხრანელის მიერ ინრენეტ საიტებზე საკუთარი თავის ქართლის სამეფოს მემკვიდრედ გიორგი XII-ედ დასახელებას შეუძლია. არც იმას მიიჩნევს უზნეობად, რომ რა დროსაც, სამშობლოში დარჩენილი ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო სახლის მეთაური პეტრე ბატონიშვილი სწორედ წარმომავლობისთვის დასახვრეტად დააპატიმრეს. ქართველ ემიგრანტთა მცირე ნაწილის მიერ, საქართველო ტახტის მემკვიდრედ ესპანეთს შეფარებული ბაგრატიონ-მუხრანელები იქნა აღიარეს?!

ჭორებსა და სკანდალებში გაწაფული სარედაქციო ჯგუფი, არაფერს ამბობს ქალბატონი იას არა თუ არაბაგრატიონულ წარმომავლობაზე, არამედ მის არაქართულ ფესვებზეც. ხელისუფლებასთან სიახლოვე კი, ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის "სასიკეთო სურვილების" ალბათობასაც აჩენს. გასაკვირია, ისიც, როგორ მოახერხა ამ ქალბატონმა ბაგრატიონთა 100-მდე ქართველ წარმომადგენელს შორის და ტრადიციონალისტთა მონარქისტულ "წრეებში გარევა". "რა დავალებით" გამოჩნდა "ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე"? ან რატომ არ აპროტესტებენ ამას, ბაგრატიონთა გვარის სხვა წარმომადგენლები?! და საერთოდ, ქართული საზოგადოების, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ზურგს უკან, რატომ აძლევენ კულუარული გარიგებების უფლებას თავს, ბაგრატოვანთა სგვარეულოს სახელით მოქმედი ასეთი ქალბატონები. "სპეცრეპორტაჟის" მიზანიც, ჩვეულებისამებრ, საზოგადოებაში მონარქიისადმი უარყოფითი განწყობის შექმნა იყო. მთავარი კი ისაა, რომ საქართველოს ბაგრატოვანთა დინასტიას ახალშობილი ვაჟი შეეძინა. **ბერი გაბრიელი წინასწარმეტყველებდა:" საქართველო აღსდგება ერთიანი და მთლიანი ნიკოფსიიდან დარუბანდამდის. საქართველოს მეფე ეყოლება გვირგვინოსანი ბაგრატიონი და ის რა ერია, რომელსაც მეფე არა ჰყავსო".** მართლაც რა ერი ვართ, თუ შეგვიძლია ამ წინასწარმეტყეველების ასრულებას ბიძგი მივცეთ და ამბიციების, პოლიტიკის, ან ბოღმის გამო, ამას არ გავაკეთებთ.

ბატონო გაიოზ, სამეფო ტახტი უნდა აღსდგეს იქედან, საიდანაც რუსეთის იმპერიამ ის საქართველოს გაუუქმა. ანუ ერეკლე II-ს პირდაპირი შთამომავლობიდან. გადაცემაში გაჟღერებული ფრაზაც: **"არსებობს მოსაზრება, რომ ტახტის მემკვიდრეები არა მუხრანელები და გრუზინსკები, არამედ იმერეტინსკები იყვნენო", ბაგრატიონთა გვარებს შორის დასაპირისპირებლად და გასაკიდებლად "გასროლილი ფრაზაა".** (სხვათაშორის, იმერელ ბაგრატიონთა ეს შტო "იმერეტინსკებს" არ ატარებს, საიდან მოიტანეს გაურკვეველია და საერთოდ გადაცემაში ერთხელაც არ გაჟღერებულა ის ფაქტი, რომ ეს შტო უკანონოა, რაც დინასტიური კანონმდებლობით ავტომატურად აკარგინებს უფლებას ტახტთან მიმართებაში. მითუმეტეს, როცა ამავე შტოს კანონიერი წარმომადგენელი (ბატონიშვილი ნინო) მემორანდუმს ხელს თავად აწერს. თუ "შორენავიზიისვე სპეცრეპორტაჟს" დავეყრდნობით, ბაგრატიონებისთვის, რუსული დაბოლოებიანი სამეფო ტიტული, რუსეთსვე მიუნიჭებია. მიანიჭა, მაგრამ მისგანვე გაუქმებულ სამეფო გვარში, მასზე უკეთ ვინ იცოდა, ამ ტიტულის მფობელი ვინ იყო? ამიტომ, ტახტის მემკვიდრეობაზე უფლება, პირველრიგში "გრუზინსკებისა" და შემდგომ "იმერეტინსკების" შტოებს დაუტოვა. შემთხვევით, საერთაშორისო მონარქისტული საზოგადოებაც ამ "რუსული ტიტულით" ხომ არ მოიხსენიებს სამეფო სახლის წარმომადგენლებს პატივცემულო ჟურნალისტო? საქართველოს და ვფიქრობ ყველა თქვენგანის ვალიცაა, ეს "დროებითი დაბოლოვება" მოვხსნათ და მხოლოდ ბაგრატიონი დავტოვოთ. თუმცა სანამ გარკვეული ძალები განზრახ ბღალავენ ლეგირიმური სამეფო ოჯახის უფლებებს და ხელოვნურად ცდილობენ საგვარეულოში ქაოსის შექმნას, მანამდე ალბათ მიზანშეწონილიცაა ამ დიფერენცირების შენარჩუნება. (გრუზინსკიც ხომ ინგლისურად "ოფ გეორგია" ანუ "საქართველოსას" ნიშნავს). "სპეცრეპორტაჟის" მიზანიც, ჩვეულებისამებრ, საზოგადოებაში მონარქიისადმი უარყოფითი განწყობის შექმნა იყო. ის საზოგადოება კი, ვინც ხელისუფლების მეთოდებს კარგად იცნობს, "ასეთი "სპეცრეპორტაჟების" მიზნებსაც უნდა ხვდებოდეს. მთავარი ისაა, რომ საქართველოს ბაგრატოვანთა დინასტიას ტახტის მემკვიდრე პატარა გიორგი შეეძინა. **ბერი გაბრიელი წინასწარმეტყველებდა:" საქართველო აღსდგება ერთიანი და მთლიანი ნიკოფსიიდან დარუბანდამდის. საქართველოს მეფე ეყოლება გვირგვინოსანი ბაგრატიონი და ის რა ერია, რომელსაც მეფე არა ჰყავსო".** მართლაც, რა ერი ვართ, თუ შეგვიძლია ამ წინასწარმეტეყველების ასრულებას ბიძგი მივცეთ და ამბიციების, პოლიტიკის, ან ბოღმის გამო ამას არ გავაკეთებთ?!

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




# nunisi _ saidumlo saqarTvelos miwisqveSeTSi

ჰიტლერის მისტიკით გატაცება ცნობილია, — იგი ბუნების იდუმალ ძალებთან კავშირს ესწრაფოდა და არ იშურებდა არაფერს, ოღონდ მიეღწია ამ კავშირისთვის, მარადიული ახალგაზრდობის ელექსირისთვის და ა. შ მას გარს ეხვია მაგთა დასტა, რომლებიც მისტიკურ სფეროებზე მუშაობდნენ. ისტორიული ფაქტებია, რომ იგი ისეთი აღტყინებით ყვებოდა რაღაც იდუმალ ქალაქზე, რომელიც მიწისქვეშეთშია ქვეყნის უზენაესი მბრძანებლის გამგებლობის ქვეშ, რომ დუჟმომდგარს გონება ეკარგებოდა. იგი კონკრეტულად ვერ ან არ ასახელებდა იდუმალი ქალაქის ადგილს, მაგრამ სავარაუდოდ, კავკასიას ახსენებდა, ჰიმალაის მთებს და ტიბეტის მთიანეთს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მიწისქვეშეთს მთებში.

ამას იმდენად დადასტურებულად კარნახობდნენ მაგები, რომ „ღრუ დედამიწის“ თეორიაც კი შეიქმნა და ჰიტლერის თანამედროვე ასტროლოგები სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ პროფესორებს ამ ახალი „თეორიის“ გაზიარებას.

მოკლედ, ეჭვი გამიჩნდა, რომ საქართველოს სიღრმისეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაში ჩადებულია უდიდესი საიდუმლო და ეს იცოდა ჰიტლერმა. იქნებ ეს იყო გერმანელების ინტერესი და ეს საიდუმლო იცის საქართველოს ყველა ისტორიულმა მტერმა? იქნებ ეს არის ახალდროების „ოქროს საწმისი?“

20 წლის წინ (1991 ან 1992 წელი იყო) რომელიღაც გაზეთში წავიკითხე, რომ „იბერიონთა საძმო“ მარიამობა დღეს ხარაგოულის მთებში ღამისთევით უხმობდა მათ, ვისაც სურვილი ჰქონდა, ჩასწვდომოდა ქართული მიწის სიღრმეში ჩამალულ საიდუმლოს. გაზეთში ზედმიწევნით იყო აღწერილი გზა, რომელიც სასწაულ კარიბჭესთან მიიყვანდა მიმსვლელს. მძიმე დრო იდგა საქართველოში, მაგრამ მაინც წავედით: მე, ვახო სტურუა, ნუკრი ტაბეშაძე და და-



ძმა, მარინე და ჯაბა ჯაბუშანურები. როგორც მითითებული იყო, გაზეთში, თან წავიღეთ თითო პური, ერთი კილო მარილი, ერთი მუჭი ლობიო და სურამამდე მატარებლით ჩავედით, იქიდან მანქანა ვიქირავეთ და ნუნისში ავედით. გაზეთში პირველი მინიშნება იყო ვეშაპი, რომელიც მდელოდან გამოჩნდებოდა. (უძველეს ხალხთა რწმენა გაიხსენეთ, დედამიწა, ანუ სამყარო ვეშაპზე იდგა; ვეშაპი — მეგალითური ძეგლი, ვეშაპის ქვის ქანდაკება ძვ. წ II ათასწლეულს მიეკუთვნება. ასეთი ძეგლები არის მხოლოდ საქართველოში, სომხეთში, ჩრდ. კავკასიასა და მონღოლეთში, ქვეყნებში, სადაც ვერაფრით ნახავდნენ ვეშაპს).

მართლაც, გამოჩნდა მთა, რომელიც ვეშაპივით იწვა. გაზეთში გარკვევით ეწერა, ბილიკის რომელ მოსახვევში რომელი მხრიდან უნდა მისწვდენოდა მიმსვლელის სმენას ნაკადულის რაკრაკი. მივდიოდით მწკრივში ჩამდგრები ხელში გაზეთით და ავედით ბოლომდე. გზაზე რამდენიმე წყარო შეგვხვდა, სუფთა, გრილი და კამკამა, კლდიდან გამოდიოდა პირდაპირ.

ჩვენ, ფაქტიურად, გაცნობიერებული არც გვქონდა, სად წავედით და რატომ, სიტყვა „საიდუმლომ“ მიგვიზიდა, ამდენად აბუეტებივით შევცეროდით ყველას და ყველაფერს. ვეშაპის მუცელში პატარა გამოღრუტნულში წახრილი შევედი. ერთი შეხედვით, არაფერი სანახაობა იქ არ იყო, დაახლოებით ორ კვადრატულ მეტრ ფართობში ლოდი იყო მიწაში თუ კლდეში გაჩრილი. შესასვლელის თაღი დაბალი იყო, მაგრამ შიგნით სიმაღლე ჰქონდა. მივიხედ-მოვიხედე და იმედგაცრუებული გამოვედი, ვერ მივხვდი რა ვნახე, — ვერ აღვიქვი, ლოდის ზომა, რომელიც ერთი, რომ ვერანაირად ვერ შეეტეოდა შესასვლელში და მეორე — რა ტექნიკით უნდა აეტანათ საცალფეხო დაგრეხილ ბილიკზე ამ ზომის ლოდი ტყეში, გაუთავებელ აღმართზე?



ადგილობრივ მცხოვრებლებთან საუბრისას გავიგე, რომ გადმოცემის მიხედვით, იმ პატარა ქვაბულში 12 ბერი სახლობდა, რომელთაც არანაირი კონტაქტი არ ჰქონდა მოსახლეობასთან. გადმოცემამ არ შემოინახა ინფორმაცია, საიდან გაჩდნენ ბერები იქ, მაგრამ ერთ დღეს მწყემსმა აღმოაჩინა, რომ ბერებმა ცოცხლად დაიმარხეს თავი ქვაბულში და თავი ამოიგმანეს იმ ლოდით, რომელზეც მოგახსენეთ. მას შემდეგ იმ დღემდე, (20 წლის წინანდელ დღეზე ვამბობ) ღამით, არცთუ იშვიათად, თუ ლოდზე ყურს მიადებ, მიწის სიღრმიდან მხიარულების ხმა მოისმის, ლოდის მიღმიდან მამაკაცები მღერიან...

ერთ-ერთ წყაროსთან გავჩერდი და დავეწაფე წყალს. რაღაც ყვირილი კი მესმოდა, მაგრამ გადაძახილად ჩავთვალე, ყურადღება არ მიმიქცევია. ერთი ის კი ამოვთქვი, რა სხვანაირი გემო ჰქონდა-თქო და ჩემსავით წყლის დასალევად შეჩერებულმა ახალგაზრდა ბიჭმა ზევით ამახედა, ვიღაც გიძახისო. წყაროს აყოლებაზე, დიდ სიმაღლეზე გადმომდგარი იყო მამაკაცი და თურმე მიყვიროდა, არ დალიო წყალიო. მერეღა დავინახე ხის ფესვზე გამობმული რვეულის ფურცელი წარწერით, „ეს წყალი არ დალიოთ!“ რაღა დროსი იყო, დავლიე კი არა გავიჭყიპე იმდენი დავლიე. რა მომივა? — ავძახე კაცს. მან ხელი ჩაიქნია და არ მიპასუხა, ისე მიტრიალდა. „ეს სპილენძის წყალია, არ ისმება“ — სიტყვა შემაწია დამტვრეული ქართულით აღმა მიმსვლელმა მამაკაცმა. ადგილზევე გამახსენდა ისევ ქართული ზღაპრები და სპილენძის წყალი, რკინის წყალი, ოქროს წყალი, — მხოლოდ ოქროსი რომ უნდა დალიოს უფლისწულმა.

ფეხით ჩამოვათავეთ გზა მატარებლის ლიანდაგამდე, უკვე ღამდებოდა კიდეც და რაღაც წამიერად შეჩერებულ საბარგო მატარებელის მემანქანეს შევუხტით. მხიარული კაცი იყო, ცნობისმოყვარეც, გამოგვკითხა ვინ ვიყავით, სად ვიყავით, რატომ ვიყავით და დაასკვნა, ახალგაზრდები მოუსვენრები არიანო. მოუსვენრობა არ მადარდებდა, რაღაც, ველარ ვიყავი. ხაშურში ჩამოგვსვა და ლამის დავრჩი კიდეც სამუდამოდ ხაშურის ვაგზლის სკამზე. მუცელი გამებერა, გამებერა და ლამის ცხვირამდე ამომაჯდა, დამძიმდა ისე, ხელში თუ არ ჩავიდებდი, საკუთარ მუცელს ველარ ვძრავდი და მტკიოდა სასწაულად, ოღონდ არა შიგთავსი, არამედ მუცლის ფარი, ლამის გავსკდი. ვიჯექი და სიმწრისგან ვიცინოდიღა, ვხვდებოდი, რომ ვერაფრით ვერ ავდგამდი ფეხს მატარებელში ასასვლელ კიბეზე. თვალები სად გქონდა, რაღა სპილენძის წყალი დალიეო, მეჩხუბებოდნენ ამხანაგები. მე ჩემსას ვჩიოდი, რომ გავსკდე, ნეტავ, შესაძლებელია-თქო? ნუკრიმ იმარჯვა, არაყი მოიტანა საიდანღაც და პირში ჩამასხა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არ ვიცი, არაყმა მიშველა თუ სპილენძი გადაამუშავა საბრალო ორგანიზმმა, მაგრამ არ გავსკდი. სამი დღე არაფერი მიჭამია, სასწაული დანაყრების შეგრძნება მქონდა და არც წყალი მომწყურებია.

ნუნისი კიდევ ერთხელ მაშინ გამახსენდა, როცა გავიგე, რომ ედუარდ შევარდნაძეს, („ვარდების რევოლუციამდე“ ცოტა ხნით ადრე, „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ძალას რომ იკრებდნენ, დაახლოებით 1997-1998 წლები იქნებოდა) იჯარით გადაუცია ის ტერიტორია ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის. მათ იციან იქ რა არის! — შევყვირე გველნაკბენივით, მაგრამ რადგან ვერავინ ჩასწვდებოდა, რაგინდ მომეთხრო ნუნისის გამოქვაბულის შესახებ, იქვე ჩავჩუმდი... ორგანიზაცია გერმანული იყო, — ისევ გერმანია!

საქართველოში არაერთი ქვაბულია, რომლის პირდაპირი დანიშნულება დღეს უცნობია, მხოლოდ ვვარაუდობთ რაღაცებს, მაგრამ იქნებ ეს ჩვენმა გონიერმა წინაპარმა იმ დროს გამოთხარა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დავიწყებული კოსმიური ცოდნა-თქო, ვფიქრობ ხოლმე ნუნისის ნახვის შემდეგ. ამ ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ კლდეში „გამოთლილ“ ყველა ქვაბულს თუ გამოქვაბულს სასმელი წყლის საკითხი „მოგვარებული“ აქვს, არადა, „გამოცხადებაში“ წერია, რომ ციდან ჩამოვარდნილი დიდი ვარსკვლავი დავარდება მდინარეების მესამედ ნაწილზე და დიდძალი ხალხი დაიხოცება წყლებისგან, რადგან ისინი დამწარდებიან და სასმელად უვარგისი გახდებიან. თუ ჩვენმა წინაპარმა შთამომავლობისთვის არ გამოთხარა ამდენი ქვაბული და ის არ იყო საიდუმლო ცოდნის მფლობელი, რანაირად უნდა გაეთვალა, რომ წყალს აღმა დაეწყო დინება ქვაბულში? როგორ ადის ვარძიაში წყალი ქვემოდან ზემოთ? ნუნისში, ქვის ვეშაპის ზემოთ ჰაერია, ქვემოთ — სიცარიელე, შიგ ვეშაპში კი სასმელი წყალი ჟონავს. საიდან? — ალბათ, წარსულიდან...

ზეციური ველით დამუხტული წყალი ძალზე უგემურია, მაგრამ ნახეთ, პირველი წამალია დაწყლულებული კანისა, რაც უპირველესი თანმდევია რადიაციული დასხივებისა. იგივე თვისებების წყალი, ნუნისის გარდა, საქართველოში სხვაგანაც არის და მრავლად. (რადგან არ ვიცი, შეიძლება თუ არა მათი დასახელება ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ) ისევ ქართული ზღაპრები მახსნედება, კვლავ წყალთან დაკავშირებული, — ქართულ ზღაპრებში ხომ უკვდავების წყალს დაეძებენ ზღაპრის გმირები...

**მაია ჭელიძე**





# ganisvene, libia, ganisvene... Sen ukve rotSildebis kuTvnileba xar...

ძვირფასო მკითხველო, იმისათვის, რომ გავეცნოთ, ზუსტად რა მისია ჰქონდა დაკისრებული ნატოსა და მის ალიანსში მყოფ ქვეყნებს, თვალი გადავავლოთ ინგლისელი ჟურნალისტის დევიდ აიკის ანალიზს ამ საკითხზე, რამეთუ იგი უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით შესანიშნავად წარმოაჩენს "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" სწრაფვას გლობალიზაციისა და მსოფლიო ჰეგემონიისკენ. თავად ბატონი დევიდი გახლავთ ბი-ბი-სის ყოფილი ჟურნალისტი, რომელმაც მიატოვა ეს სატელევიზიო არხი 1990 წელს (?!). იგი ამ პერიოდს მოიხსენიებს, როგორც მის "გამოფხიზლებას"... ამ დროიდან მოყოლებული ინტენსიურ ინფორმაციებს ავრცელებს როგორც სამყაროში მიმდინარე პროცესებზე სოციალურ ქსელში და ამხელს ყველა იმ შავბნელ ძალებს, ვინც კაცობრიობის მტერია დღევანდელ სამყაროში, ასევე არის უამრავი წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი, მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და აწყობს ლექცია-სემინარებს. იგი მიმდინარე წლის 20 ნოემბერს წარსდგება ნიუ- იორკის მსმენელის წინაშე.

"ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში დატრიალებული სიმკაცრე და ველურობა არის კულმინაცია იმ ხანგრძლივი გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის ნავთობისა და საბანკო სისტემის ხელში ჩაგდებას და თავად ლიბიელი ხალხის მოქცევას გლობალურ "ალკატრაზში" ***(ალკატრაზი – კუნძული ჩრდილო კალიფორნიაში სანფრანცისკოს ყურეში, სადაც განთავსებული იყო მკაცრი რეჟიმის საპყრობილე, ფედერალური ციხე 1934-1963 წლებში. სოციალურ ქსელში თუ გადახედავთ ამ კუნძულს, ციხის ფასადს "ამშვენებს" ლოდებზე საღებავით მინაწერი: "Uou are on Indian Land"-"თქვენ ინდიელთა მიწაზე ხართ"! ანალოგიური მკაცრი რეჟიმის ფედერალური ციხე დღესაც მოქმედებს ქ. მარიონში, ილინოის შტატში – ნ.ტ.)***

კადაფი ანგელოზი არ ყოფილა... რამეთუ მიუღებელია ქვეყანას მართავდეს არჩევნების გარეშე მოსული პირი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ მან ბევრი კარგი გააკეთა ლიბიელი ხალხისთვის – ლიბიას ჰქონდა ცხოვრების უმაღლესი სტანდარტები მთელი აფრიკის კონტინენტზე (*ჯერ კიდევ 80-იან წლებში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე იყო თერთმეტი ათასი დოლარი, ხოლო ბოლო პერიოდში კი ქვეყანაში დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესების მიზნით ყოველი ახალშობილისთვის ოჯახს უხდიდა ოცი ათას დოლარს - ნ.ტ.*) და რაც მთავარია, კადაფი ორმოცი წლის განმავლობაში იცავდა ლიბიას როტშილდების მტაცებლური ქსელისგან. კადაფის სამფლობელოში მათ მხოლოდ და მხოლოდ აინტერესებდათ ნავთობით მდიდარი საბადოებისა და საბანკო სისტემის ხელში ჩაგდება, რაც წარმატებით განახორციელეს ამ ბოლო პერიოდში ძმათა მკვლელი ომის ინსპირირებით.

რეიგან-მამა ბუშის (იგივე როტშილდების) ადმინისტრაციამ, ჯერ კიდევ **1980**-იან წლებში მოამარ კადაფი წარმოადგინა, როგორც დემონი და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და მოსადის მიერ დაიწყო კამპანია ლიბიაში პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაციის მიზნით, რაც ანალოგიაა იმ პროცესებისა, ახლახან, 2011 წლის თებერვალში რომ დაიწყო.

1981 წლის 3 აგვისტოს ჟურნალი "**Mewsweek**"-ი წერდა: ლიბიის დესტაბილიზაციის გეგმის დეტალები იყო თითქოს ზედაპირული, მაგრამ კარგად ჩანდა **ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს** ხელწერა, როგორც კლასიკური ნიმუში მადესტაბილიზირებელი მოქმედებისა. ერთ-ერთი ელემენტი იყო "დეზინფორმაცია", გეგმა შედგენილი კადაფისა და მისი ხელისუფლების გასაღიზიანებლად და ასევე



მათ შესავიწროებლად. შემდეგი პუნქტი მიზნად ისახავდა ე.წ. კონტრხელისუფლების შექმნას, რაც მეტად გააღიზიანებდა კოლონელ კადაფს და ამავე დროს ეს მისი გამოწვევაც იქნებოდა. რაც შეეხება მესამე პუნქტს, **ის იყო პოტენციურად მეტად სარისკო და მიზნად ისახავდა საპარლამენტო საარჩევნო კამპანიას ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობის ამბოხების ხარჯზე, ითვალისწინებდა ასევე ხიდების აფეთქებას, მცირე პარტიზანული საომარი ოპერაციების წარმოებას, რასაც მოჰყვებოდა დემონსტრირება იმისა, რომ ადგილობრივი პოლიტიკური ძალები, კერძოდ კი ხელოვნურად შექმნილი ოპოზიცია კოლონელ კადაფის წინააღმდეგი იყო.** ნაცნობი სიტუაციაა? **ეს გახლდათ ოცდაათი წლის წინ.**

1986 წელს ამერიკულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს კადაფის მთავარი შტაბი, როგორც შემდგომ გაირკვა, ტერორიზმის ცრუ ბრალდებით. ამ თავდასხმის დროს დაიღუპა კადაფის ნაშვილები ორი წლის გოგონა *(დღესაც ამერიკის უპილოტო თვითმფრინავები ასევე "წარმატებით" ახორციელებენ სირტესა და ბანი უალიდის დაბომბვას – ნ.ტ.)*

შემდგომი ეტაპი გახლდათ თვითმფრინავის დაბომბვა ლაკერბიში, შოტლანდიაში, 1988 წელს. კადაფის აგენტებს დააბრალეს ასაფეთქებელი მოწყობილობის დამონტაჟება **"Pan Am Flight 103"** რეისის თვითმფრინავში, რის შედეგადაც დაიღუპა 243 მგზავრი, ეკიპაჟის 16 წევრი და 11 ადამიანი მიწაზე. ფაქტობრივად, ეს დაბომბვა იყო სადაზვერვო აპარატის ყველაზე ურცხვი ე.წ. "შიდა სამუშაო", რითაც ბრალი ედებოდა ლიბიის პრეზიდენტს მუამარ კადაფს. აბდელ ბასეტ ალ-მეგრაჰი, ლიბიის არაბული საჰაერო მიმოსვლის დაცვის ყოფილი უფროსი, დააკავეს როგორც დამნაშავე ტერორისტული აქტისთვის და სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯეს, თუმცა 2009 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს "შეწყალების მოტივით" სამედიცინო დასკვნის საფუძველზე – მას თითქოს აღმოაჩნდა პროსტატის სიმსივნე და მხოლოდ სამი თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი.

ესეც, რა თქმა უნდა, მორიგი ტყუილი გახლდათ. ალ-მაგრაჰი დღესაც ცოცხალია... ის გაათავისუფლეს იმის გამო, რომ მისი დაკითხვა მივიდა იმ სტადიამდე, როდესაც გამოჩნდა სამხილი თვითმფრინავის აფეთქებაში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მონაწილეობის შესახებ. ალ-მაგრაჰი დათანხმდა საქმის წარმოების გაუქმებას მისი განთავისუფლების სანაცვლოდ.

ინჟინერი ოლტრიხ ლამპერტი, რომელიც იყო ძირითადი მოწმე და ფიცის ქვეშ ჰქონდა მიცემული წერილობითი ჩვენება ალ-მეგრაჰის წინააღმდეგ (თუმცა *ფიცი რა მოსატანია? აშშ-ს პრეზიდენტებს ინაუგურაციის დროს ერთი ხელი ბიბლიაზე უდევთ და მეორეთი კი ავღანეთსა და ერაყს ბომბავენ - ნ.ტ.),* სასამართლოზე განაცხადა, რომ მან იცრუა ჩვენების მიცემისას. ასევე, მოიპარა მისივე თანამშრომლისგან ის ტექნოლოგიური ნაწილი, რაც იყო ჩანერგილი, როგორც ასაფეთქებელი მოწყობილობა და ვითომ ამტკიცებდა ლიბიელთა მონაწილეობას.

მოვლენების შემდგომი განვითარება ლიბიაში უკავშირდება 1990 წლის დამლევს მიღებულ პროექტს – "ახალი ამერიკული საუკუნისთვის" (PNAC). ეს პროექტი (ახლა "საგარეო პოლიტიკის ინიციატივა") გამოხატავს როტშილდ-სიონისტთა ბატონობას და საუკეთესო იარაღია ნეოკონსერვატორების ხელში, რომლებიც გაბატონდნენ შვილი ბუშის ადმინისტრაციის სახით, იმ ბუშისა, რომელიც თაღლითურად იქნა "არჩეული" 2000 წელს. (არჩევნების *დამთავრების შემდეგ ფლორიდაში, სადაც ბუშის უმცროსი ძმაა შტატის გუბერნატორი, ერთი კვირის განმავლობაში ითვლიდნენ ხმებს. ასე რომ, არჩევნების გაყალბება აშშ-შიც არ ახალია...– ნ.ტ.)*

ამ ჯგუფმა გამოაქვეყნა დოკუმენტი 2000 წლის სექტემბერში – "ამერიკის თავდაცვის სისტემის განახლება – სტრატეგია, სამხედრო ძალები და რესურსები ახალი საუკუნისათვის". ეს გამიზნული იყო ომების საწარმოებლად ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ერაყი, ირანი, ჩრდილო კორეა და ლიბია!

ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ ტრანსფორმაციის პროცესი... იქნება ხანგრძლივი, გამორიცხავს კატასტროფულ და დამაჩქარებელ მომენტებს – როგორიც იყო, მაგალითად, "Pearl Harbor".

დოკუმენტი გამოქვეყნდა ერთი წლის შემდეგ, ხოლო ამ დღიდან ცხრა თვის დაგვიანებით, როდესაც ამ ნეოკონსერვატორთა დიდი ნაწილი მოვიდა ბუშის ადმინისტრაციაში 2001 წელს ამერიკა აღმოჩნდა დიდი დარტყმის ქვეშ, რასაც შვილმა-ბუშმა უწოდა "ჩვენი **Pearl Harbor**"-ი. ***(სხვათაშორის, იმ დროს მოამარ კადაფმა დაგმო ეს ტერორისტული აქტი და ბუშ – უმცროსს შესთავაზა ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ. ასევე წამოაყენა წინადადება ატომბირთვული განიარაღების შესახებაც, მაგრამ მისი წინადადება დარჩა უპასუხოდ. როგორც შემდგომ გაირკვა, "ტყუპების" დაბომბვის ტერორისტულ აქტშიც ვარაუდობენ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მონაწილეობას... იმ დღეებში მამა-ბუში მასპინძლობდა ბინ-ლადენის ოჯახს ტექსასში და ერთადერთმა თვითმფრინავმა, რომელიც აფრინდა ფლორიდის აეროპორტიდან, გეზი ევროპისკენ აიღო – ნ.ტ.)***

2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმაც მოწყობილი იყო იმისათვის, რომ ჰქონოდათ მიზეზი ზემოთხსენებულ დოკუმენტში მოცემული გეგმის რეალიზებისთვის. ეს გეგმა, რაც მიზნად ისახავს მსოფლიო გლობალურ დაპყრობას, კვლავაც წარმატებით ხორციელდება მიუხედავად იმისა, რომ "რესპუბლიკელი" ბუში "დემოკრატმა" ობამამ შეცვალა... აშშ, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა ქვეყანა თანამედროვე მსოფლიოში, წარმოადგენს ერთპარტიული მმართველობის სახელმწიფოს, რომელშიც მოქმედი მთავარი პარტიები მიჰყვებიან ერთი და იგივე სცენარს.

ლიბიელ მეამბოხეთა მოქმედება არასოდეს ყოფილა იმ სახის, როგორც მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები წარმოაჩენდნენ სიდიდით მეორე ქალაქ ბენგაზში. რა თქმა უნდა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილიც მოტყუებით იყო ჩართული ამ პროცესებში, მაგრამ, ძირითადად, "მეამბოხეთა" ლიდერები იყვნენ როტშილდების კონტროლს დაქვემდებარებული ნატო-ს ქვეყნები, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები და ბრიტანეთი. ასე იყო ერაყის დაპყრობის შემთხვევაშიც – იქ მიმდინარე პროცესებისას დევნილობაში მყოფი ლიდერები (აშშ-ს მარიონეტები) ლონდონსა და ამერიკაში ელოდნენ სადამ ჰუსეინის ჩამოგდებას. მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო აჰმედ ჩალაბი, რომელიც ინგლისისა და აშშ-ს მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ დაინიშნა ნავთობის მრეწველობის მინისტრად.

ლიბიაში გენერალი ხალიფა ჰიფტერი, ნატო-ს მარიონეტი "მეამბოხეების" "ლიდერი" არის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი სათანადო ხელფასით და ოცი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ვაშინგტონის მახლობლად ვირჯინიის შტატში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შტაბის მახლობლად.

კადაფის მოსაშორებლად ათეული წლების წინ შეიქმნა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, მოსადისა და ინგლისის გაერთიანებული სადაზვერვო სამსახური. მათი სათავო ორგანიზაცია "ეროვნული კონფერენცია ლიბიის ოპოზიციისთვის" შეიქმნა ლონდონში 2005 წელს.





“ლიბიის ხსნის ეროვნულმა ფრონტმა” ითამაშა ძირითადი როლი კადაფის საწინააღმდეგო პროცესების აგორებაში ამა წლის 17 თებერვლიდან.

დავუბრუნდეთ კვლავ ბატონ დევიდ აიკის ანალიზს პროცესების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით:

“მოსყიდულ ადამიანთა ჯგუფი, მათ შორის კადაფის მინისტრები, რომლებიც გაექცნენ პასუხისმგებლობას, როგორც კორუმპირებულნი, შერჩეული და დაფინანსებული იყვნენ უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატებისგან. აშშ-ს წარმომადგენელმა გაერო-ში, ქალბატონმა სუზან რაისმა მოითხოვა 9 აგვისტოს, რომ გაეროს სანქციათა კომიტეტს დაერთო ნება ლიბიის ცენტრალურ ბანკში კადაფის გაყინული ანგარიშის, კერძოდ, ერთნახევარი მილიარდი დოლარის ასათვისებლად.

აშშ-ს ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ 500 მლნ. დოლარი გადაეცემოდა მათ “დამხმარე” ორგანიზაციას ჰუმანიტარული დახმარებისთვის. მეორე 500 მლნ.დოლარი გადაეცემოდა კომპანიას, რომელიც მოამარაგებდა მოსახლეობას საწვავითა და ძირითადი ჰუმანიტარული პროდუქციით. მესამე 500 მლნ. დოლარი კი გადაეცა გაურკვეველი წარმომავლობისა და მიზნების ორგანიზაციას “დროებითი ფინანსური მექანიზმი – „**Temporary Financial Mechanism**”. ეს რაღა ჯანდაბაა?” – კითხულობს დევიდ აიკი.

“როგორც შემდგომში გაირკვა, ეს “არაფორმალური” ორგანიზაცია შეიქმნა ამერიკის ხელისუფლების (როტშილდების) მიერ ლიბიის ადმინისტრაციული მოწყობისთვის. ეს დაედო საფუძვლად ეროვნულ გარდამავალ საბჭოს, რომელმაც აიღო ლიბიის მმართველობა. ასე და ამგვარად, ამერიკის ადმინისტრაცია ახორციელებს ლიბიაში იგივეს, რაც უკვე წარმატებით იგდო ხელთ ერაყში – **მართვის გასაღები, ფინანსური სისტემა და ნავთობი.**

**ვიდრე ლიბიელი ხალხი ზეიმობდა კოლონელ კადაფზე “გამარჯვებას”, კიდევ ერთი ქვეყანა თვალსა და ხელს შუა იქნა მიტაცებული მთელი მსოფლიოს თვალწინ.** გაერო-ს, რომელიც შეიქმნა როტშილდებისა და როკფელერების კლანთა მიერ და მისი შტაბბინა იმ მიწაზე მდებარეობს, რომელიც როკფელერების კუთვნილება იყო, ხმაც არ დაუძრავს ამ უკანონო ქმედების შესახებ, რაც გარკვეულწილად ბუნებრივიცაა, რამეთუ გაერო-ს მესვეურნი არამც და არამც არ წავლენ თავის მეპატრონეთა წინააღმდეგ... ნატო-ს საჰაერო თავდასხმების შედეგად დაიღუპა ათასობით უდანაშაულო მოსახლეობა, ძირითადად, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, მათ შორის დაიბომბა ჰოსპიტლები, სახანძრო სადგურები, სკოლები, უნივერსიტეტები და სატელევიზიო სადგურები, ანუ ნატო-ს ჯარი დაცვის ნაცვლად ანადგურებდა მშვიდობიან მოსახლეობას. არც ის არის გამორიცხული, რომ ნატო-ს ჯარი ზურგს უმაგრებდა და ეხმარებოდა “ამბოხებულ” ლიბიელებს. მაგრამ საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებს კრინტიც არ დაუძრავთ ამის შესახებ. ისინი მხოლოდ იუწყებოდნენ კადაფის ჯარის მიერ “მეამბოხეთა” შორის არსებული მსხვერპლის შესახებ (იმისათვის, *რომ ძლიერი აგრესია გამოეწვიათ “მეამბოხეებში” კადაფისა და მის მომხრეთა მიმართ, ისიც კი იკადრეს, რომ რაღაც გზებით აღმგზნები პრეპარატი* “**Viagra**” *შეიტანეს კადაფის მომხრე ჯარისკაცებში, რომ გაუპატიურების შემთხვევები გამოეწვიათ... იუწყება თებერვალ-მარტის ერთ-ერთ საინფორმაციო წერილში ბატონი აიკი. - ნ.ტ.)*



ლიბიაში განმეორდა იგივე რიტორიკა, იგივე სცენარი, რასაც ადგილი ჰქონდა ყველა სხვა ქვეყანაში.

განისვენე, ლიბია, განისვენე...

**2011 წლის 21 ოქტომბერს კოლონელ მოამარ კადაფი მოკლეს!**

იმავე დღეს აშშ-ს პრეზიდენტმა თეთრი სახლის ვარდების ბაღიდან მიულოცა ლიბიელ მეამბოხეებს დემოკრატიის გამარჯვება და თან დასძინა, რომ **ნატო კვლავ გააგრძელებს თავისი მისიის შესრულებასო.**

**ნანა ტატიაშვილი**
**(სპეციალურად “საერთო გაზეთისთვის”)**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– 1956 წ.ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობის დროს მივიღე საწარმოო ტრამვა, ხელის ორი თითი დავკარგე. კომისიამ დაასკვნა, რომ ეს ჩემი ბრალეული მოქმედებით მოხდა, რასაც მეც ვაღიარებ. დახმარება არ დამინიშნეს. დღეს რომ თავიდან წამოვიწყო ეს საქმე, რაიმეს მივაღწევ?**

– სამოქალაქო სამართალში არსებობს მცნება – ხანდაზმულობის ვადა. რაც ნიშნავს იმას, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (კანონით დადგენილ ვადებზეა ლაპარაკი), სამართლებრივად ველარ იდავებთ. ასეთი მაქსიმალური ვადა გახლავთ 10 წელი. თქვენი შემთხვევიდან (რომ აღარაფერი ვთქვათ თქვენივე ბრალეულობით გამოწვეულ შედეგზე) გასულია ნახევარ საუკუნეზე მეტი. სამართლებრივად, სამწუხაროდ, არავითარი პერსპექტივა არ გაგაჩნიათ.



* * *

**– მეუღლესთან ვარ განქორწინებული. სამუშაოდ წავედი საბერძნეთში. ჩემი მცირეწლოვანი შვილი (10 წლის) დატოვებული მყავს ჩემს მშობლებთან. მსურს შვილის საბერძნეთში წაყვანა, რათა იქ მიიღოს სწავლა-განათლება. მეუღლე უფლებას არ მაძლევს. აქვე გეტყვით, რომ ის არ იხდის არც ალიმენტს და საერთოდ, ბავშვი სულ 2-ჯერ ჰყავს ნანახი. ამას აკეთებს ჩემი ჯიბრით. როგორ მოვიქცე?**

– საერთოდ, არასრულწლოვანი ბავშვის გაყვანა ერთი მშობლის მიერ საზღვარგარეთ მოითხოვს მეორე მშობლის თანხმობას. მაგრამ არსებობს გამონაკლისი: თუ ეს აუცილებელია ბავშვის ინტერესებისათვის (მკურნალობა, სწავლა-განათლება და (ა.შ.), შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს, დაასაბუთოთ თქვენი მოთხოვნა და არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ დაგრთოთ ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის ნება მეუღლის თანხმობის გარეშე. თქვენი მოთხოვნა უნდა იყოს უცილებლად საფუძვლიანად დასაბუთებული. რა როლს ასრულებს თქვენი ყოფილი მეუღლე ბავშვის აღზრდაში, ამის შესახებაც აუცილებლად მიუთითეთ (ალიმენტის გადაუხდელობა და ა.შ.),

* * *

**– გარდამეცვალა ძმა, რომელსაც დარჩა მხოლოდ მეუღლე. მათ შვილი არ ჰყავდათ. მე მყავს შვილები? მომანიჭებს თუ არა კანონი უპირატესობას, რომ ძმის ქონება მივიღო?**

– მეუღლე, შვილები, მშობლები გახლავთ I რიგის მემკვიდრეები. თქვენ, როგორც და, ბრძანდებით II რიგის მემკვიდრე. რომ არ არსებობდეს რიგის მემკვიდრეები, სამკვიდრო გახსნებდათ II რიგის მემკვიდრეებს შორის. მაგრამ რადგან არსებობს I რიგის მემკვიდრე – თქვენი გარდაცვლილი ძმის მეუღლე, მამკვიდრებლის დატოვებულ ქონებას მთლიანად ის მიიღებს.

* * *

**– გარდაიცვალა ბებიაჩემი, რომელმაც შინაურული ანდერძით, ნოტარიუსის დადასტურების გარეშე, ქონება ჩემს შვილს დაუტოვა. ასეთი სახის ანდერძი რაიმე პრობლემას ხომ არ შეგვიქმნის?**

– თუ აღმოჩნდება, რომ არსებობს მეორე ანდერძი ნოტარიული დადასტურებით, მას უპირატესობა მიენიჭება.

თუ ასეთი რამ არ აღმოჩნდება, შინაურული ანდერძი არ შეგიქმნით პრობლემებს, თუ ის შედგენილია კანონით დადგენილი წესით: მასზე უნდა იყოს მამკვიდრებლის ხელმოწერა, დასმული უნდა იყოს თარიღი და ა.შ.

* * *

**– ჩემი ყოფილი მეუღლე ბავშვს უხდის ალიმენტს. ალიმენტის დანიშვნის შემდეგ მისი ხელფასი სამმაგად გაიზარდა. შემიძლია თუ არა, მოვითხოვო ალიმენტის გაზრდა?**

– შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

* * *

**– ახლობელი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ცხოვრობდა საბერძნეთში. მას იქაურ ბანკში გახსნილი ჰქონდა ანაბარი. ის გარდაიცვალა საბერძნეთში და შვილს აცნობა, რომ მის სახელზე არსებული თანხა შეადგენს 50 000 ევროს. როგორ მიიღებს შვილი ამ თანხას?**

– შვილი ამ თანხას, როგორც მემკვიდრე, უცილებლად მიიღებს, მაგრამ არა ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1327-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, უცხო სახელმწიფოში სამკვიდროს მიიღებს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით. თქვენს შემთხვევაში სამკვიდროს მიღება მოხდება საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით.

* * *

**– დაპატიმრებული მყავს შვილი. ველოდები ამნისტიას. როდის გამოდის ამნისტია?**

– სამწუხაროდ, ამის შესახებ მე ვერაფერს მოგახსენებთ.

* * *

**– შეიძლება თუ არა საპროცესო შეთანხმება დაიდოს ადვოკატის გარეშე?**

– არა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის „ვ“ ქ-პუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა, ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.

* * *

**– შეიძლება თუ არა გირაოს სახით ჩავდოთ უძრავი ქონება?**

– შეიძლება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის I ნაწილის მიხედვით, გირაო არის ფულადი თანხა და უძრავი ქონება, ფულადი თანხის სანაცვლოდ შეტანილ უძრავ ქონებას ედება ყადაღა.

* * *

**– ჩემი მშობლები არიან განქორწინებულები. ვატარებ მამის გვარს. გავხდი 18 წლის. მსურს ვატარო დედის გვარიც დედის პატივისცემის ნიშნად. შემიძლია თუ არა ორივე მშობლის გვარი ვატარო?**

– შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.net**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

## მიაგნეს ქალთა მარტოხელობის კიდევ ერთ მიზეზს



ამერიკელმა მეცნიერებმა აიოვას უნივერსიტეტში 4000 ანკეტა შეამოწმეს. ეს ანკეტები მოხალისე ქალბატონებმა შეავსეს, რომლებიც პუსუხს სცემდნენ კითხვებს ქორწინებაზე, ოჯახზე, სექსზე. კვლევის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო ასაკი, როცა რესპონდენტებმა ქალწულობა დაკარგეს და ახლა აპირებდნენ გაცილებულიყვნენ ქმარს.

კვლევამ აჩვენა, რომ იმ გოგონებს შორის, რომლებმაც სქესობრივი ცხოვრება 13-16 წლისამ დაიწყეს, მათი 31 პროცენტი ქმარს სცილდება ქორწინებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში.

კვლევის შედეგების მიხედვით, ქალწულობის დაკარგვა ადრეულ ასაკში მეტწილად აიხსნება ამ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციების მოძალებით ინტერნეტში.

როგორც აღმოჩნდა, ნაადრევი ქორწინებები ხშირად გაყრით მთავრდება.

## მოდელი ჩვენებაზე მშობიარობიდან მეცხე დღეს გამოცხადდა



ბრიტანელი მოდელი ანა ფრიმანტლი თავისი მეორე ვაჟის ლივის დაბადებიდან მეორე კვირას პოდიუმზე წარსდგა. მან კოლეგებს თვალებში „ნაცარი“ შეაყარა და მეცხრე დღეს ჩვენებაზე გამოცხადდა. ამით მოხსნა ჰაიდი კლუმის რეკორდი. ამ ქალბატონმა მშობიარობიდან ხუთი კვირის შემდეგ შეძლო საჭირო ფორმაში ჩადგომა.

32 წლის ანა ფრიმანტლი ახალი ფოტოსესიისთვის ემზადება, მან ქალის საცვლები უნდა წარმოადგინოს. მშობიარობის შემდეგ მოდელს არც ერთი ხაზი არ დარჩენია მუცელზე. ყოველივე ამას ქალბატონი გენეტიკას, ხშირ სეირნობას და კანის განსაკუთრებულ მასაჟებს უკავშირებს.

## რომელი სახელების დარქმევაა აკრძალული ახალშობილებისთვის



ახალ ზელანდიაში შეადგინეს სია იმ სახელებისა, რომელთა დარქმევაც ბავშვებისთვის არ შეიძლება. სიაში 102 სახელი შეიტანეს.

საინფორმაციო ბიურო იტყობინება, რომ უნდა აიკრძალოს ახალშობილებისთვის ისეთი სახელების დარქმევა, რომელიც შედგება მათემატიკური ციფრებისაგან. ორი წლის წინ ახალშობილი ბიჭუნასთვის მშობლებს სურდათ დაერქმიათ „წრიული ავტობუსის გაჩერება ნომერი 16“. ბოლო დროს რამდენიმეჯერ გადააფიქრებინეს მშობლებს სახელი ლუციფერის დარქმევა ახალშობილი პატარებისთის. ჩამონათვალში მოხვდა სახელები: მესია, მისტერი, სასამართლო, სამართლიანობა, წყურვილის მოკვლა და ა.შ.

აქ უცხო აღარ არის სახელები: ურალი, ზილი და ა.შ. მაგრამ შედარებით იშვიათია: არქიპელაგი, კიტი (ვეშაპი), სიხარული, ოკეანა, კმაყოფილი, მაგრამ ესეც არაფერი, ამ ბოლო ხანს მოინდომეს დაერეგისტრირებინათ სახელი ბავშვისთვის – „ბოჩ რვფ 260602“, რომელიც განიმარტებოდა ასე: „2002 წლის 26 ივნისს დაბადებული ადამინის შექმნის ფორონინ-ფროლოვის სახელობის ბიოლოგიური ობიექტი“.

## ქალი მუმიამ გააუპატიურა



როცა პოლიციელებმა წაიკითხეს გარდაცვლილი კოლეტ ბოდიეს დღიურები, მაშინვე გაიფიქრეს, რომ ეს ქალი ჭკუიდან იყო შეშლილი. იგი ამ დღიურებში წერდა, რომ ყოველ ღამე სექსი ჰქონდა მუმიასთან. კვლევამ და გამოძიებამ ცხადჰყო, რომ საქმე განსაკუთრებულ და გასაოცარ შემთხვევასთან ჰქონდათ.

55 წლის კოლეტის სხეული დილით იპოვა 20 წლის სტუდენტმა ოლივიე ბელმონმა. მან შეამჩნია, რომ ერთ-ერთი სახლის კარი ღია იყო სადარბაზოში, შევიდა ოთახში და საწოლში ქალის გვამი აღმოაჩინა, ქალს ღამის პერანგი ეცვა, ხოლო სახე მოთხუპნული ჰქონდა საღებავებით.

ქალბატონის გარდაცვალების მიზეზად გულის შეტევა დასახელდა. მართალია, გარდაცვლილის დღიურები ნათლად იუწყებოდნენ მის სექსუალურ კავშირზე მუმიასთან, მაგრამ გამომძიებელი აღნიშნავს, ამ ქალს ტვინში ყველაფერი რიგზე არ ჰქონიაო. ასე მოსდით ხოლმე მარტოხელა ქალბატონებს ამ ასაკში, – ირწმუნება ის.

კოლეტის გარდაცვალების შესახებ მის მემკვიდრეებს, შორეულ ნათესავებს პოლ და მატილდა კარტიეებს მაშინვე შეატყობინეს.

ცოლ-ქმარმა კარტიეებმა ბინის გაყიდვა გადაწყვიტეს, მაგრამ დროებით კოლეტის სახლში თავიანთი მოსამსახურე, ახალგაზრდა გერმანელი ქალბატონი გერდა დააბინავეს. გერდა გადავიდა რიუ დე პირენეის 94-ში, მაგრამ მეორე დილას მან ტირილით განაცხადა, რომ სახლში მის გარდა სხვა ვინმეც ცხოვრობდა.

გერდა ჰყვებოდა, რომ მთელი ღამე ვერ შეძლო დაძინება. საწოლში თავს ესხმოდნენ და ცდილობდნენ მის გაუპატიურებას. მოძალადის სახე გერდას არ დაუნახავს, მაგრამ იგი ირწმუნება, რომ ის იყო მამაკაცი, რომელსაც მხოლოდ თეთრი ქვედა საცვალი ეცვა, მაგრამ თუკი შუქს ჩართავდა, ირგვლივ ვერავის ხედავდა. ასეთი რამ სამჯერ განმეორდა, – თქვა გერდამ.

ნუთუ მუმიები მართლაც ცოცხლდებიან? ახლა ამაზე მეცნიერთა ჯგუფი მუშაობს.

## ის კანიბალებმა შეჭამეს...



ტრაგედიით დამთავრდა გერმანიის მოქალაქის სიცოცხლე. იგი საყვარელ გოგონასთან ერთად ზღვით აპირებდა დედამიწის შემოვლას. 40 წლის სტეფან რამინი გამოცდილი მეზღაური იყო, მაგრამ ამ გამოცდილებამ ვერ უშველა მას კანიბალებისგან თავი დაეხსნა.

ჯუნგლებში, სადაც წყვილი მოხვდა, მიაკვლიეს გამოქვაბულს, რომელიც ადამიანის ძვლებით იყო სავსე. მეცნიერები ვერ ასახელებენ ახალგაზრდა გერმანელის სიკვდილის ნამდვილ მიზეზს, ერთი კი ცხადია, გარდაცვალების შემდეგ იგი ნაჭრებად დაანაკუწეს და შეწვეს. მისი თანამგზავრი ცოცხალი გადარჩა, თუმცა დღემდე იტანჯება გადატანილი საშინელების გამო.

## 100 წლის შემდეგ კაცობრიობა გადაშენდება?



2110 წლისათვის კაცობრიობა აღიგვება პირისაგან მიწისა, ამტკიცებს ცნობილი ავსტრალიელი მკვლევარი ფრანკ ფენერი.

უძველესი ცივილიზაციის საზოგადოებები განვითარებისა და უფრო მეტი დახვეწისკენ მიისწრაფოდნენ, ახლანდელი გლობალური ცივილიზაცია პირიქითაა, - ამბობს იგი.

მეცნიერის შეხედულებით, კაცობრიობის არსებობის ყველაზე დიდ საფრთხეს პლანეტაზე ადამიანთა გამრავლების არანორმალური სიჭარბე, კლიმატის სწრაფი ცვლა, გლობალური დათბობები და მსგავსი მოულოდნელობები იწვევს. სამრეწველო რევოლუციამ და ინდუსტრიალიზაციამ წარმოშვა ეპოქა, რომელიც თავისი მკაცრი ზემოქმედებით გამყინვარების პერიოდამდე მიგვიყვანს ანდა დედამიწას უზარმაზარი კომეტა დაეჯახება.



ფრანკ ფენერს, რომელიც ახლა 95 წლისაა, მიღებული აქვს მსოფლიო აღიარება მიკრობიოლოგიაში მიღწეული მეცნიერული წარმატებებისთვის. ახლა ის მუშაობს ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებზე. თავის ბოლოდროინდელ გამოსვლაში მეცნიერი აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, კაცობრიობა შეუჩერებლად მიექანება ბიოლოგიური კრახისკენ, მიუხედავად მისი და არა მარტო მისი მრავალჯერადი გაფრთხილებებისა.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** – ამ კვირაში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. არ არის გამორიცხული გარკვეული წინსვლა გქონდეთ სამსახურში.



**კურო** – კვირის დასაწყისში მოგიწევთ საქმიანი წინადადებების განხილვა, სადაც თქვენ გარდა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფიც მიიღებს მონაწილეობას.



**ტყუპები** – ყურადღების ცენტრში მოექცევით და თქვენ გარშემო მიმდინარე პროცესებშიც აქტიურად მოგიწევთ ჩართვა.



**კირჩხიბი** – საინტერესო კვირა გელით. თუ შეძლებთ და საკუთარ ჩანაფიქრებს კონკრეტულ მიზნამდე დაიყვანთ და ამასთან ქმედით ნაბიჯებსაც გადადგამთ, მაშინ მოახერხებთ სერიოზული და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას.



**ლომი** – ამ პენრიოდში შესაძლებელია მგზავრობა მოგიწიოთ. ამასთან, საინტერესო წინადადებების განხილვაც მოგიწევთ.



**ქალწული** – შესაძლოა შეიტყოთ ახალი ინფორმაცია, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. არ არის გამორიცხული ეს დაკავშირებული იყოს სამსახურთან.



**სასწორი** – მიმდინარე კვირაში მოსალოდნელია, გარკვეული გადაფასებების გაკეთება და ახალი საქმეების დაგეგმარება მოგიხდეთ.



**მორიელი** – იყავით აქტიური და უკვე არჩეულ მიზანს მიზანმიმართულად მიჰყევით, თუმცა, გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე.



**მშვილდოსანი** – მოსალოდნელია, გაგიუარესდეთ ემოციური მდგომარეობა და ნერვული სისტემაც დაგეძაბოთ. ამის მიზეზი ისევ და ისევ თავად იქნებით.



**თხის რქა** – ეს კვირა ჩვეულებრივ ტემპში წარიმართება და საქმიანი აქტივობა საშუალოზე მაღალი იქნება, რაც, სხვათა შორის, გაზრდის თქვენს პროდუქტიულობას.



**მერწყული** – არ არის გამორიცხული, ძლიერი ემოციური დატვირთვები გქონდეთ, თუმცა ეს უფრო ახლობელთა პრობლემების გამო წარმოიშვება. ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით.



**თევზები** – მოსალოდნელია თქვენი საქმიანობის ან ბიზნესის რეფორმირება მოგიწიოთ და ამაში თქვენი ახლობლები და კომპანიონებიც იქნებიან ჩართული. იქნება იმის ალბათობაც, რომ მოგიწიოთ სახელმწიფო ორგანიზაციებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობა.